645
1991
ეროვნული ბიბლიოთეკა



ISSN 0821-1509
11-12•1991

# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა ნ ო ნ ს ი

## წაიკითხეთ „საქართველოს ქალის“ 1992 წლის № 1-ში

კომერციული სინდისი

ანუ ტანსაცმელი, რომლის ჩაცმაც შეიძლება, თბილისში იკერება.

ურჩხული ნახტომისათვის მზადაა

უბედურება გარდაუვალია, თუ ნარკომანიის დამოკლეს მახვილს დროზე არ მივხედავთ

როგორ ავღზარდოთ დედისერთა?

რა სიმაღლის გაიზრდება ბავშვი?

მემკვიდრეობითია თუ არა ცუდი კბილები?

ალერგია — საუკუნის ჭირვეული დაავადება

— ეს წერილები განსაკუთრებით დააინტერესებთ მშობლებს

მარიამ ბაგრატიონი: „საქართველოში საკუთარ სახლში ვარ“

საუბარი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთან, ირაკლი ბატონიშვილის შვილთან ქალბატონ მარიამთან

ჩემი ანტიგონე

ქალბატონი ზინა კვერენჩხილაძე იგონებს ანტიგონეს როლზე მუშაობის საინტერესო მომენტებს.

სილამაზის პატარა საიდუმლოებანი

ამ რუბრიკით გაეცნობით საინტერესო რჩევებს

ბაირონი და ქართველი ქალები

დიდი პოეტის შემოქმედების აქამდე უცნობ ასპექტებს მსოფლიოს აცნობს ქართველი მეცნიერი ქალი

მოდა

ამსტერდამელი მოდების ღმერთის ფრანს მოლინარის მაღაზიაში ჩვენ ვერაფერს ვიყიდით, მაგრამ ჩვენი კორესპონდენტი მაინც ესაუბრა მას და მისი უახლოესი მოდების ფერადი ფოტოებიც ჩამოგვიტანა

კულინარია, ქსოვა, იუმორი, სასარგებლო რჩევები

წაიკითხეთ, დარწმუნებული ვართ, კმაყოფილი დარჩებით.

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
ყოველთვიური
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და
მხატვრულ-
ლიტერატურული
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
**ნარგიზა მგელაძე**

სარედაქციო კოლეგია:

ნაზი თარგამაძე,
მაია თომაძე,
ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნაზი კილასონია,
ლაშა კიკალეიშვილი,
ნანა ოზოლაძე,
ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი),
ირმა ჩოფიკაშვილი,
ნინო ჯავახიშვილი,
ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — კინომსახიობი ია ფარულავა. ფოტო მოგვაწოდა ქალბატონმა დამანა მდივნიშვილმა;
მეოთხეზე — ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“, მ. კოსტავას ქ. 14

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magazine for Women of the
Republic of Georgia

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გთხოვთ მომისმინოთ

19.767



დავით იაკობაშვილის ფოტო

**ოჯახი: პრობლემა, განსჯა, პოზიცია**

## ცოლის ვერსია

ძალიან გთხოვთ გულდასმით მომისმინოთ და არ შემაწყვეტინოთ. რაც გინდათ, დაარქვით — ზღაპარი, გამოგონილი თუ მართალი, ჩემთვის მთელი სიცოცხლეა, ტკივილი და დარდია, რომელიც მოხსენებას მიკარგავს. რომ იცოდეთ, რა აუტანელი გახდა ჩემი ცხოვრება. თითქოს ჩემში ორი არსება დაბუდებულია. ერთს წარსულის გახსენებაც არ უნდა, მეორე კი გარდასულ დღეთა მოგონებებით სულდგმულობს. დრო ერთ წერტილში გაიყინა. ამაოდ ცდილობთ ჩემი ასაკი გამოიცნოთ. ნაოჭებს და თმაში გაბნეულ ჭაღარას ნუ ენდობით. არც ისე ხნიერი ვარ, როგორც გამოვიყურები. აი, შეხედეთ ამ სურათს, დიახ მე ვარ, გიკვირთ არა? ეს კი ირაკლია, ჩემი მეუღლე, უფრო სწორად, ყოფილი...

ასეთი ვიყავი ხუთი წლის წინათ. ახალგაზრდა, უდარდელი და ბედნიერი...

დედის კალთაში ნებივრად გაზრდილს არავითარი პრობლემა არ მაწუხებდა. ცხოვრება საოცრად ლამაზი და საამური მეგონა. თუმცა, მუდამ რაღაცის მოლოდინში ვიყავი. გული სიყვარულს ითხოვდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ირაკლი გავიცანი. ამ ქვეყნად, მასზე ჭკვიანი და ძლიერი თუ ვინმე იყო, არ მეგონა, მალე შევუღლდით კიდეც.

ირაკლის მშობლებს ზარ-ზეიმით არ მივუღივართ, თუმცა არც უკმაყოფილება გამოუთქვამთ.

ირაკლი ყურადღებიანი მეუღლე იყო. ყოველ წუთში მის მზრუნველობას ვგრძნობდი. თუმცა, რაღაც ხმა ჩამჩურჩულებდა: „დიდხანს არ გაგრძელდება ეს ბედნიერება". რაღაც ცუდის მოლოდინში გული მეწურებოდა. ალბათ, წინათგრძნობა თუ იყო.

ერთხელ, ირაკლი სამსახურიდან დაბრუნდა. კარი რომ გავაღე, მოვეხვიე და ლოყაზე ვაკოცე. უხერხულად შეიშმუშნა, სწრაფად მომიშორა და რაღაცნაირი უცხო ხმით მითხრა: კარგი, გეყოფა. გაოცებული მივაჩერდი. მიზეზი მაშინ გავიგე, დედამთილის სიტყვებს რომ მოვკარი ყური: ახლანდელმა გოგოებმა სულ დაკარგეს სინდისი. არავისი მორიდება არ აქვთო. ისეთი გრძნობა დამეუფლა. თითქოს ქურდობაზე წამასწრეს.

უცხო ოჯახში შესული ყველაფერს ფართოდ გახელილი თვალებით ვუყურებდი. ვატყობდი, დედამთილს დიდად არ მოვწონდი, მაგრამ თავს ვიმშვიდებდი. მის ცივ, უკარება ბუნებას ვაბრალებდი ჩემდამი გულგრილ დამოკიდებულებას.

იმ სიტყვების შემდეგ კი ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოსდა ვიღაც გამუდმებით მითვალთვალებდა. ხანდახან ზურგს უკან გამჭოლ მზერას რომ ვიგრძნობდი, სწრაფად შემოვბრუნდებოდი და დედამთილს მოვკრავდი თვალს.

ოჯახში მთავარი ჩემი დედამთილი იყო, მის სიტყვას წინ ვერავინ აღუდგებოდა. სახლში იდეალური წესრიგი სუფევდა. ყველა ნივთი მკაცრად განსაზღვრულ ადგილზე იდო. ოჯახის წევრებსაც კი თავიანთი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი. ალბათ, ფიქრობდა, რომ ჩემი ადგილი იმ სახლში საერთოდ არ იყო. მაგრამ მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსახდენი მოხდა, ახლა უკვე გვიანი იყო"...

მათ ოჯახში სტუმარი არ დადიოდა. ვინმე თუ მოვიდოდა, მხოლოდ საქმეზე. ერთხელ ირაკლის ამხანაგები მოვიდნენ, დედამთილმა სამზარეულოში გამიხმო და მითხრა: სუფრა არ გაუწყო და მალე წავლენო. ხმა ვერ ამოვიღე. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ცოტა ფიქრის შემდეგ სტუმრებს მაინც გავუმასპინძლდი. მთელი საღამოს განმავლო-



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში ჩემს დედამთილს სახიდან ირონიული ღიმილი არ მოსცილდებია. მივხვდი, აკრძალულ ზღვარს გადავაბიჯე და არ მაპატიებდა.

ცოტა ხანში თავისი ნაჩუქარი კაბა მომთხოვა. შენ მაინც არ იცვამო. უხმოდ დავუბრუნე. თავადაც განსაჯეთ. ზამთარში აბრეშუმის კაბას როგორ ჩავიცვამდი.

შემდეგ ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი გამომართვა. უნდა გავიკეთოო. კიდევ რამდენი რამე გავიხსენო...

ირაკლის გამო ყველაფერს უხმოდ ვიტანდი. არ მინდოდა ჩვენი სიყვარულისთვის ჩრდილი მიმეყენებინა. მაგრამ ვხვდებოდი, რომ ცოტაც და, მოთმინების ფიალა ამევსებოდა.

პირველად რომ შევეკამათე, ისე ვინერვიულე, მთელი დღე თავი მტკიოდა. ირაკლისთვის არაფერი მითქვამს. სამაგიეროდ, დედამთილმა უამბო ტყუილიც და მართალიც.

იმ დღეს პირველად ვიჩხუბეთ მე და ირაკლიმ...

ჩემი დედამთილი გამარჯვებული იერით დააბიჯებდა ოთახიდან ოთახში, თან ლოზუნგივით ისროდა: ამ ოჯახში მე ვარ უფროსი. ვისაც აქაური წეს-ჩვეულებები არ მოსწონს, შეუძლია წაბრძანდესო.

მეორე დღეს ირაკლი ნაცემი ბავშვივით იყო მობუზული. თვალებში ვერ მიყურებდა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ორ ცეცხლს შუა იწვოდა. მესმოდა კიდეც მისი. დედა ხომ ერთია ამ ქვეყნად. ვერც მე მთმობდა და რაღაცნაირად შემეცოდა.

უსიამოვნებას კი უსიამოვნება ემატებოდა. არჩევანის წინაშე დავდექი: ან უნდა შევგუებოდი ამგვარ ყოფას ან არადა... ისევ უკან დახევა ვამჯობინე. ფეხმძიმედ ვიყავი.

ჩემი დედამთილის დაბადების დღე ახლოვდებოდა. დიდი ფიქრის შემდეგ, მიხაკები ვიყიდე და გადავწყვიტე უბრალოდ მეთქვა:

— დედა, გთხოვთ მაპატიოთ.

მაგრამ კაცი ბჭობდაო... ყვავილები რომ დაინახა, ერთი ამბავი ატეხა: ამდენი ფული რაში გადაყარე. ამის მაგივრად არ ჯობდა ერთი კილო ხორცი გეყიდაო. გაოგნებული შევაცქერდი. სიტყვები ბაგეებზე შემეყინა.

თუმცა სიმართლე გითხრათ, იმ დღეს რომ შევრიგებულიყავით, ალბათ, დიდხანს მაინც არ გასტანდა ჩვენს ოჯახში სიმშვიდე.

მე და ჩემს ქმარს ცალკე რომ გვეცხოვრა, დარწმუნებული ვარ, ოჯახი არ დამენგრეოდა.

მაინც მქონდა რაღაცის იმედი. მეგონა ბავშვი რომ გაჩნდებოდა, დაძაბულობა თავისთავად განიმუხტებოდა, ბედნიერება შემოვიდოდა ოჯახში. მაგრამ ამჯერადაც შევცდი.

დღე ისე გავიდოდა, ჩემი დედამთილი ბავშვს ერთხელაც არ აიყვანდა ხელში.

ირაკლის საოცრად უხაროდა ბიჭის შეძენა. ძველებურად მოსიყვარულე და თბილი მეუღლე იყო. დაუზარებლად მეხმარებოდა. ყველა წყენა გადამავიწყდა. ბედნიერი ღიმილი სახიდან არ მცილდებოდა. მაგრამ ცოტა ხანს გაგრძელდა ჩვენი ბედნიერება.

ირაკლი ნელ-ნელა შეიცვალა. ყველაფერი აღიზიანებდა, ჭირვეულობდა. მივხვდი, დედამისი დღითიდღე წამლავდა მის გონებას. სმას მოუხშირა. აღარ ჭრიდა ჩემი ხვეწნა-მუდარა. ნახვამი თავგზას კარგავდა. რას არ მკადრებდა. პირველად რომ შემაგინა, ასე მეგონა ცა ჩამოიქცა. ჩემმა დედამთილმა კი, იცით როგორ დამამშვიდა:

— რა გატირებს. გათხოვილი ქალები უარესს ითმენენო.

ჩემი ნივთები სასწრაფოდ ჩავალაგე ჩანთაში და ირაკლის ვუთხარი, დედასთან მივდივარ — მეთქი. მან მიპასუხა:

— იცოდე, თუ წახვალ, ამ სახლში ვეღარ დაბრუნდები.

მე სერიოზულად არ ჩამითვლია მისი სიტყვები. მეგონა, ორი-სამი დღის შემდეგ მომვაკითხავდა.

ნეტავი დედას კარი არ გაეღო ჩემთვის ან ხელისკვრით გამოეგდე სახლიდან. რომ დამინახა, ჩემი მისვლის მიზეზს უსიტყვოდ მიხვდა. პირველი შემთხვევა ხომ არ იყო... ჯერ მომეფერა, გულში ჩამიკრა. საღამოს კი მკაცრად გამომიცხადა: მე და მამაშენმა მოვილაპარაკეთ, შენ თუ იმ ოჯახში დაბრუნდები, იცოდე, სახლში აღარ შემოგიშვებთო.

იმ დღიდან დაიწყო ჩემი გაორებული ცხოვრება. სულ შევიცვალე. ნორმალურად არავის არ ველაპარაკებოდი. ბავშვის უბრალო ცელქობასაც ვეღარ ვიტანდი. ხანდახან ისე გავლახავდი, შემდეგ მე თვითონ ვიტანჯებოდი. ირაკლიც არ ჩანდა...

მონატრება დამეუფლა. ის ადგილები შემოვიარე, სადაც სეირნობა გვიყვარდა, ყველგან ჩვენი სიყვარულის ნაფეხურებს ვეძებდი.

— ერთხელ ქუჩაში ბავშვს ვიღაც მოეფერა. ნიკამ მკითხა!

— დედა, ეს ძია მამაჩემია?

არა, მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. ნიკას ხელი ვტაცე და გავიქეცი. გზაში ვბუტბუტებდი: ღმერთო, ნეტავი კარი მან გამიღოს. კარი მართლაც ირაკლიმ გამიღო. მაგრამ... ბავშვი ხელში აიყვანა, მე კი ცივად მითხრა:

— თავმოყვარეობა არ გაქვს, აქ რომ მოხვედი?

ამ სიტყვებმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი ჩვენს ურთიერთობას, სიცივე ჩადგა ჩვენს შორის.

ახლა ყველაფერი წარსულია და საუბარიც ადვილია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ამ ცხოვრებიდან კარგს აღარას ველი. თითქოსდა გადავიწვი.

ყველაზე მეტად ის მტანჯავს, რომ მეც მიმიძღვის წვლილი ჩემი ბედნიერების დანგრევაში, მაგრამ უკვე ძალზე გვიანია. საკუთარ გრძნობებში ჩარევის უფლება არავის არ უნდა მისცე. მიუწვდომელი და ხელშეუხებელი უნდა იყოს ყველასგან. ჩემს მეგობრებს მდგომარეობას გულისტკივილით რომ გავანდობდი, უარესად მაღიზიანებდნენ. ახლა ყველა თავისი ოჯახით ხარობს, ჩემს ამბავს არც კითხულობენ. მეც აღარ ვაბეზრებ მათ თავს. ნიკა გაიზრდება და ოჯახს შექმნის. მანაც რომ არ ისურვოს ჩემთან ყოფნა, მაშინ სულ მარტო დავრჩები.

რომ იცოდეთ, როგორ მეშინია სიმარტოვის...

ახალგაზრდა ქალი თავდახრილი ხმადაბლა საუბრობდა. მისი ცისფერი დიდრონი თვალებიდან უსაზღვრო სევდა და სინანული ილვენთებოდა. ამ ქვეყნად სიყვარულისთვის გაჩენილი არსება უსიყვარულოდ იტანჯებოდა. ეფერებოდა, ელოლიავებოდა მოგონებებს. თხრობა რომ დაამთავრა, თავი ასწია, ნაღვლიანად გაიღიმა და თქვა:

— ღმერთმა ადამიანებს სიყვარულის ნიჭი უხვად მოგვამადლა, მაგრამ მიტევების უნარი წაგვართვა. არა. ძალიან გთხოვთ, ნურაფერს მეტყვით. ისედაც მადლობელი ვარ, რომ მომისმინეთ...

მარინე ნაკაიძე

## ქალსა და ოჯახზე

სრულქმნილი ქალი ადამიანის უფრო მაღალი ტიპია, ვიდრე სრულქმნილი მამაკაცი, მაგრამ ბევრად უფრო იშვიათი.

ფ. ნიცშე

მხოლოდ ცოლი და ქმარი ერთად ქმნიან ნამდვილ ადამიანს.

ლ. ფეიერბახი

ზნეობრივი ადამიანის ოჯახური ურთიერთობანი რთულია, უზნეოსი — ადვილი.

ლ. ტოლსტოი

მამულის სიყვარული ოჯახის სიყვარულით იწყება.

ფ. ბეკონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რობერტ დე ნიროს რეკომენდაციით ია ფარულავა ამერიკის კინოსკოლაში სწავლობს







ია ფარულავა კინოდან გავიცანით — რეჟისორ ლიანა ელიავას ფილმში „გზის დასაწყისი“ იგი ანც, მზიარულ თუშ გოგონას განასახიერებდა: ამ ფილმიდან კარგად დაგვამახსოვრდა მისი მშვენიერი სახე, ცეცხლოვანი თვალები.

რამდენიმე წლის შემდეგ იგი მართლაც ამშვენებდა თეატრალური ინსტიტუტის კედლებს. მას გაუმართლა იმითაც, რომ ბატონ მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში ჩაირიცხა. ლიდებული სკოლა გაიარა დიდი ოსტატი-პედაგოგის ხელმძღვანელობით. კარგად გვახსოვს მისი სტუდენტური როლები. პირველად დავით კლდიაშვილის „უბედურებაში“ (რეჟისორი ირინე ქლენტი) ითამაშა სოფლელი ქალი, მერე იგივე ავტორის „დარისპანის გასაჭირში“ — ნატალია, „ვასა ჟელეზნოვაში“ — ვასას ქალიშვილი. საკურსო სპექტაკლში ჭილა ლომთათიძის „თეთრ ღამეში“ (რეჟისორი ჭოლა წულაძე) სამი პერსონაჟი განასახიერა — ლამაზი მეძავი ქალი, მაწანწალა როსკიპი და სიკვდილი, მათში ნათლად ვლინდებოდა ია ფარულავას ხალასი ნიჭიერება, პლასტიკა, გარდასახვის ფართო დიაპაზონი.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი კინომსახიობთა თეატრშია. მალე ია ფარულავა როლზე მიიწვიეს პირველ ქართულ-ამერიკულ ერთობლივ ფილმში „შევარდენი“ (რეჟისორები — გრეგორი პალმერი და კობა წაქაძე). სწორედ ამ ფილმზე მუშაობისას ქალაქ სიეტლში ია შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს ქის რაისერს. იგი პროფესიით კინოკრიტიკოსია. როცა თბილისში იას ახლობლები შეეკითხნენ, — ნუთუ აქ თაყვანისმცემელთა უკმარობა იგრძენი, ასე უცებ რით მოგხიბლა ამერიკელმა სასიძომო, — მაშინ იას ასე უპასუხნია: — ერთია, როცა მოსწონხარ და სულ სხვაა ის, რომ არავის ჩემი ისე არ ესმის, როგორც ამ კაცს დედამიწის მეორე ნახევარსფეროდანო.

ქალაქ სიეტლიდან იამ მოკრძალებული წერილი მისწერა ამერიკელ კინოვარსკვლავს რობერტ დე ნიროს, რომელიც მოსკოვში 1987 წელს გაიცნო. იამ გაუმხილა რობერტ დე ნიროს თავისი უდიდესი სურვილი სტრასბურგის კინო-სკოლაში სწავლისა. აქ სწავლა 50 ათასი დოლარი ღირს. თუ ისეთი დიდი მსახიობის რეკომენდაციით მიდიხარ, როგორიც რობერტ დე ნიროა, სწავლების საფასურს არ ახდევინებენ.

სწორედ დე ნიროს რეკომენდაციით მოხვდა ია ფარულავა სტრასბურგის კინოსასწავლებელში.

**გიორგი ლალიაშვილი**

# განადგურდა 8,5 ტონა ცხიმი!

დიახ, გავანადგურეთ და „დავწვით“ 8,5 ტონა ცხიმი, რითაც ვამაყობთ კიდეც...

სანამ ვინმეს წყევლა-კრულვას დავიმსახურებდეთ, უმჯობესია გავხსნათ ფრჩხილები.

ჯანმრთელობის ცენტრ „საჩინოში“, რომელიც საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე მოქმედებს, რამდენიმე თვის განმავლობაში 1700 პაციენტი გავატარეთ, რომლებმაც წონაში დაკლების ჩვენს მიერ შემუშავებული ორკვირიანი ციკლი გაიარეს. ამ ხნის განმავლობაში თითოეულმა საშუალოდ 4-5 კგ დაიკლო. ციფრი 1700-ზე გავამრავლეთ და სიამაყით ვაცხადებთ, რომ ჩვენს ქალებს 8,5 ტონა ზედმეტი ცხიმი მოვაცილეთ და წელის გარშემოწერილობა თითქმის 100 მეტრით შევუმცირეთ.

ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით მოგახსენებთ, მაგრამ ზემოხსენებული ციფრებიც ზუსტია და ისიც, რომ მსოფლიოს მამაკაცების 40, ხოლო ქალების 60 პროცენტს ჭარბი წონა აწუხებს.

ვილაცამ ისიც დაიანგარიშა, რომ მსოფლიოს მოსახლეობა 2 მილიონ ტონამდე ზედმეტ ცხიმს ატარებს და რაოდენ დასანანია, რომ ზემოხსენებულ მონაცემებში ჩვენ ერთ-ერთი მოწინავე ადგილი გვიკავია.

წინასწარ ბოდიშს ვიხდი ჩვენი სათაყვანებელი ქალბატონების წინაშე, მაგრამ მწარე სინამდვილეს სად გავექცეთ ან ვის დავუმალოთ? ნუ მიწყენთ და, ჩემი გულისტკივილი თქვენც მინდა გაგიზიაროთ, რამეთუ, დადგა დრო დავრეკოთ განგაშის ზარები: ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!

ძვირფასო ქალებო! შეხედეთ ერთმანეთს, სარკეშიც ჩაიხედეთ, ნახეთ, რა მოდა დამკვიდრდა; 100 კილოს გადაცილებული მამაკაცები და არანაკლებ წონისანი ჩვენი მანდილოსნები, რომლებსაც ველარც ჰოლივუდისა და ვერც ფრანგულ-ჩინური დიეტები შველით და ველარც უცხოური გამახდინებელი აბი. მათ გვერდით კი ჩვენი „ლომგულა ბოკვრები“, რომლებსაც აღარც პერანგის და მაპატიეთ, და აღარც შარვლის ღილი ეკვრებათ და, რაღა თქმა უნდა, ორმაგ ღაბაბიანი, ლოყებღაჟღაჟა მძიმე წონის ქალიშვილები, მაგრამ ყველაზე დასანანია, რომ მეშჩანურ კომფორტში ჩაფლულნი თავს ბედნიერად გრძნობთ. ერთ გაჩერებას ფეხით არ გაივლით, მეოთხე სართულზე ლიფტით ადიხართ, ორ გაჩერებაზე შვილი მანქანით მიგყავთ სკოლაში.

ვგონებ, გადავაჭარბე ეთიკის ნორმებს, მაგრამ მაინც ისმინე: ერო გულადო, პურადო... კატასტროფულად მატულობს სკოლამდელთა შორის ფიზიკური განვითარებიდან გადახრების მქონე მოზარდთა რიცხვი. სულ ახლახანს, ჩვენს ცენტრში გამოკვლეული ორასი მოზარდიდან ორასივეს სერიოზული დარღვევები აღმოაჩნდა (სკოლიოზი, კიფოზი, ლორდოზი, ბრტყელტერფიანობა, ჭარბი წონა).

უკიდურესად გაახალგაზრდავდა ინფარქტი, გულსისხლძარღვთა დაავადებები, ნერვიულფსიქიკური მოშლილობა, ალერგია და სხვა ათასი უბედურება.

არ გჯერათ? მოუსინჯეთ თქვენს პირმშოს მკლავის ძალა, ნახეთ, იცის თუ არა სირბილი, ხეზე ასვლა და ბოლოს, იცის თუ არა ცურვა. ნუთუ ყველაფრისაგან დაზღვეულნი ხართ, ღმერთი გფარავდეთ, მაგრამ ვინ უწყის, რა ხდება და რა გველის?

ასეთია ჩვენი მომავალი თაობა გაფურჩქვნის წლებში, როგორები იქნებიან 20-25 წლის შემდეგ? გვიფიქრია კი ამაზე?

ქართველო ქალო. გონს მოდი! მაპატიე ასე უკმეხად პირში მოხლა, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. სადღაა ქართველი ქალის ტანის სილამაზე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიხრა-მოხრის განსაკუთრებული პეწი და ეშხი.

„... ანაგებით არიან შუენიერნი, ჰაეროვანნი, წერწეტნი, უმეტეს ქალნი იშვიათ სქელნი“... რა ბედის დაცინვად ჟღერს დღეს ვახუშტი ბატონიშვილის ეს სიტყვები.

ძვირფასო ქართველო ქალო! რატომ დაჰკარგე ინტერესი საკუთარი გარეგნობისადმი?

მრავალი წლის დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ამის მიზეზია ფიზიკური კულტურის შეუფასებლობა. ხოლო სმა-ჭამამ დიდად შესარგმა, შესარგი არაფერი მოგვიტანა.

თითქოს ყველას ესმის, ყველამ იცის ფიზიკური სრულყოფის აუცილებლობა, მაგრამ ე. წ. ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა გვიჭირს, ხალხი რას იტყვისო.

სხვაგან ხალხი ამაზე არ ფიქრობს, დარბის, ვარჯიშობს, იკაჟებს ორგანიზმს, მათ შორის პრეზიდენტები და პრემიერ მინისტრები, შაჰები და პრინცები, ხშირად სწორედ ისინი არიან მაგალითის მიმცემნი.

ჩემი მოპირდაპირე სახლის აივანზე, დილაობით ერთი ქალბატონი ვარჯიშობს, მაგრამ საკმარისია ვინმემ გამოიაროს, რომ იმავ წამს ვარჯიშს თავს ანებებს, ისე შეტრიალდება, ვითომ ყვავილებს უვლის.

რატომ, რატომ... ნუთუ ასე სირცხვილია ის, რაც ბუნებას ჩვენი ყოფიერების პირველი დღიდან სულთან ერთად ჩაუბერია და დაუპროგრამებია — მოძრაობა.

„სიცოცხლე — მოძრაობაა“ — უთქვამს არისტოტელეს.

სკოლა თავისი მოუწყობელი დარბაზებით, უსუსური პროგრამებითა და ყოქლად მავნე მერხებით მხოლოდ ამახინჯებს მოზარდს.

უმაღლეს სასწავლებელზე აღარას ვამბობთ, სადაც ლამის საერთოდ უარყოფილია ფიზიკური სრულყოფა.

რჩება ეზო, მაგრამ სადღაა ძველი თბილისური ეზო, თავისი განუმეორებელი კოლორიტითა და ტრადიციებით, როცა გალვართქული პერანგითა და ლანჩაამძვრალი ფეხსაცმლით ეზო ეზოს, უბანი უბანს ფეხბურთში, ლახტსა და ოთურმაში ვეჯიბრებოდით.

რა გვაქვს დღეს? უეზოო მაღლივი კორპუსები, ყოველგვარი სპორტული მოედნების გარეშე აშენებული მრავალათასიანი მასივები და ოთახში გამოკეტილი ბავშვები.

მოუცლელობას და სპორტული ნაგებობების სიმცირეს ვუჩივით, მაგრამ დილით ვარჯიშს, ფეხით სიარულს რა მოცლა უნდა?

ზომიერება კვებაში, ფიზიკური ენერგიის მიზანდასახული ხარჯვა და, რაც მთავარია, გაახალგაზრდავებისა და გაჯანმრთელების სურვილი და თქვენ კვლავ შეიგრძნობთ იმ უდიდეს განცდას, რომელსაც საკუთარი ტანის დამორჩილება, ხატოვნად რომ ვთქვათ, კუნთების სიმფონია ჰქვია.

სწორედ ამიტომ ყველას „საჩინოში“ გიწვევთ, სადაც შეძლებისდაგვარად თქვენს გაჯანმრთელებაში ჩვენი მცირე წვლილიც გვინდა შევიტანოთ. აქ დაგხვდებათ თანამედროვე სამედიცინო აპარატურა, კომპიუტერული ტექნიკა და, რაც ყველაზე მთავარია, მომსახურების მაღალი კულტურა, სითბო და ყურადღება, რის დეფიციტსაც დღეს ყველაზე უფრო განვიცდით.

მათთვის, ვისაც წონაში დაკლება სურს. გვაქვს აპრობირებული მეთოდიკა, უნიკალური ბიომექანიკური სტიმულიატორები, ამერიკული და გერმანული ტრენაჟერები, იზომეტრული, იოგთა ვარჯიშები და სხვ.

მოზარდებისათვის შემუშავებულია ფიზიკური განვითარებიდან გადახრების ექსპრეს-დიაგნოსტიკის ორიგინალური მეთოდი, სადაც გამოიყენება უნიკალური აპარატურა, კომპიუტერული ტესტირება რენტგენოლოგიური გამოკვლევის გარეშე, დიაგნოზს რამდენიმე წუთში დაგისვამთ. პროცედურები ადგილზევე ჩაგიტარდებათ.

აქვეა ბიოქიმიური ლაბორატორია, კომპიუტერული კარდიოლოგიური კაბინეტი, დიეტოლოგი, ენდოკრინოლოგი, თერაპევტი, უროლოგ-სექსოლოგი, ბიოთერაპევტი, (ექსტრასენსი) ფიტოთერაპევტი (ბალახებით მკურნალი). სამკურნალო ფიზკულტურის, მასაჟის. კოსმეტიკური და სხვა კაბინეტები, საცურაო აუზები, სპორტული დარბაზები და სტადიონი. თუმცა, მობრძანდით და თავად დარწმუნდით. ასჯერ გაგონილს ხომ ერთხელ ნანახი სჯობს.

და ბოლოს, როგორ არ მოვიშველიოთ სულმნათი ილია:

„...ცდებიან ისინი, ვინც მხოლოდ გონების გახსნით კმაყოფილდებიან და ივიწყებენ იმას, რომ კაცს ტანი და სხეულიც აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშით უნდა გაღონიერდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია“...

**გივი ჭირმელაშვილი**

ჯანმრთელობის ცენტრ „საჩინოს“ დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ალტერნატივის წინაშე მდგომი ჩვენი ქალები ხშირად მაინც აბორტს ანიჭებენ უპირატესობას, რაც ანადგურებს ქალის ორგანიზმს.

ამ საკითხსა და უშვილობის პრობლემის გადაწყვეტის ზოგ ასპექტზე გვესაუბრება ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **არჩილ ხომასურიძე**



# აბორტი თუ ბავშვი

ბატონო არჩილ, თქვენ აბორტის სასტიკი მოწინააღმდეგე ხართ და არასასურველი ფეხმძიმობის ისეთ საშუალებებს უჭერთ მხარს, როგორიცაა კონტრაცეპტივები ანუ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები. რას უპასუხებთ მეცნიერთა იმ ნაწილს, რომელიც თვლის, რომ კონტრაცეპტივების მიერ გამოწვეული შორსმიმავალი შედეგები ჯერაც შეუსწავლელია და მათი გამოყენება მთლად უხიფათო არ არის?

**— კონტრაცეპტივების წინააღმდეგ ძირითადად საბჭოთა მეცნიერები ილაშქრებენ, ისე, როგორც ყოველივე ახლისა და არატრადიციულის წინააღმდეგ, რაც მათ დრომოჭმულ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. მათ მხარს უჭერენ აბორტმახერები, რომლებსაც შემოსავლის დაკარგვის ეშინიათ.**

**მოგეხსენებათ, წამალი წამალია, მას თავის დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. კონტრაცეპტივები კი იმ თავისებურებითაც გამოირჩევა, რომ ისინი ავადმყოფმა კი არა, ჯანმრთელმა ქალმა უნდა მიიღოს. დასავლეთის მეცნიერები ყველაფერს აკეთებენ, რათა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები მაქსიმალურად უვნებელი იყოს. მათ მიაღწიეს კიდეც მიზანს. დღეს, ევროპელი და ამერიკელი ქალების უმრავლესობა აბორტს აღარ იკეთებს, რადგან იყენებენ კონტრაცეპტივებს. იმასაც დავსძენ, რომ, რაც უნდა დაგვაეჭვოთ წამლის ავკარგიანობამ, თუკი ის აბორტს აგვაცილებს თავიდან, სხვა წვრილმანებზე თვალი უნდა დავხუჭოთ, რადგან არაფერი ისე არ ვნებს ქალის ორგანიზმს, როგორც აბორტი.**

— თქვენ ბრძანეთ, რომ დასავლეთში შექმნილი კონტრაცეპტივები იდეალურს უახლოვდება. ჩვენს საავთიაქო ქსელში თუ შეიძლება მათი შეძენა?

**— წარმოიდგინეთ, ამ მხრივ არც ისე ცუდად გვაქვს საქმე. რამდენიმე წლის ბრძოლის შემდეგ საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელიდან „გამოვგლიჯეთ“ ჩვენთვის გათვალისწინებული უშვილობის სამკურნალო და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები. ახლა საბჭოთა ანალგინი და ასპირინი უფრო ძნელი საშოვნელია, ვიდრე კონტრაცეპტივები. ესეც რომ არ იყოს, ჩვენი ინსტიტუტი ღიაა ყველა მსურველისთვის. აქ ქალები უფასოდ მიიღებენ უახლეს კონტრაცეპტივებსა და კვალიფიციური ექიმების რჩევებს.**

— რას ურჩევთ ქალებს, ვისაც თბილისში ჩამოსვლის საშუალება არა აქვთ?

**— რაიონებში ოცი რეპროდუქციული კაბინეტი, ე. ი. ჩვენი ინსტიტუტის ფილიალი შევქმენით. ისინი მკურნალობენ უშვილობას და ებრძვიან აბორტს. ამ კაბინეტებს ჩვენ ვამარაგებთ უახლესი პრეპარატებით.**

— ზოგიერთი ქალი ჩასახვის საწინააღმდეგო მექანიკურ საშუალებებს ანიჭებს უპირატესობას, როგორიცაა, მაგალითად სპირალი...

**— ქალებს ვურჩევთ, მხოლოდ საკუთარ სურვილსა და არაპროფესიონალთა რჩევებს ნაკლებად დაუგდონ ყური. არ არსებობს ჩასახვის საწინააღმდეგო უკეთესი და უარესი საშუალებები. ყოველი ქალის ორგანიზმი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს, პაციენტი ექიმმა უნდა გასინჯოს და მანვე გადაწყვიტოს სპირალი სჯობს მისი ორგანიზმისათვის, თუ კონტრაცეპტივი.**

— ახლა მეორე, არანაკლებ მტკივნეულ პრობლემას შევეხოთ, როგორც ქალისთვის, ისე მთელი ოჯახისთვის. ეს უშვილობის პრობლემაა. ბოლო წლებში ჩვენს პრესაშიც გამოჩნდა ცნობები ნაყოფის ხელოვნურად ჩასახვის შესახებ. საიდან იღებს ეს პროცესი სათავეს და რა პერსპექტივები აქვს მას ჩვენთან?

**— ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ხელოვნური განაყოფიერების ორი მეთოდი. პირველი ძველია და მარტივი, მეორე შედარებით ახალი, ძნელი და იმდენად ძვირადღირებული, რომ უცხოეთის ზოგიერთი კლინიკა უარს ამბობს მასზე. პირველი მეთოდი მამაკაცის უშვილობის დროს გამოიყენება, მეორე კი — ქალის უშვილობის დროს. პირველ შემთხვევაში ქალის საშვილოსნოში შპრიცით შეჰყავს სპერმა. ეს ტექნიკურად საკმაოდ იოლი პროცედურაა და იურიდიული მხარეც გათვალისწინებულია. ამგვარი გზით მიღებული შთამომავლობა ბუნებრივად ჩასახული ბავშვისაგან არ განსხვავდება.**

**მეორე მეთოდს სხვანაირად „სინჯარის ბავშვს“ უწოდებენ. ეს ერთადერ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დაწყება. უკეთესი დრო კი, ვინ იცის, როდის დადგება. მანამდე გვსურს ოდნავ მაინც გავფართოვდეთ და დროებით სხვა შენობაში გადავიდეთ, რომლის შეკეთებას და აღჭურვას ისევ უცხოელები გვპირდებიან. ჩვენი მთავრობის თანხმობაც უკვე მიღებული გვაქვს.

— უშვილობის მკურნალობისა და აბორტის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, რა საქმიანობას ეწევა თქვენი ინსტიტუტი?

**— ვმკურნალობთ კლიმაქსს, მენსტრუალურ ციკლთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოშლილობას. ჩვენთან მოსვლისათვის პაციენტს არ სჭირდება არავითარი მომართვა და მისი სურვილისამებრ, შეიძლება ანონიმურადაც კი ვუმკურნალოთ.**

— თუ აქვს სერიოზული საერთაშორისო რეზონანსი თბილისში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებს?

**— შარშან თბილისში ჩატარდა პირველი ევროპული, ფაქტობრივად მსოფლიო მნიშვნელობის აბორტის საწინააღმდეგო სამედიცინო კონგრესი, რომელსაც 200 უცხოელი ექიმი დაესწრო და რომელმაც ე. წ. „თბილისის დეკლარაცია“ მიიღო აბორტის წინააღმდეგ.**

აქ საუბარში ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლები, ხელოვნური განაყოფიერების განყოფილების გამგე გია კავკასიძე და საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების გამგე თეიმურაზ მიქაბერიძე ჩაერთნენ.

**თ. მიქაბერიძე: მართალია, ამ საკითხზე ლაპარაკი უხერხულია, მაგრამ რაც საქართველომ მიწისძვრის შემდეგ ჰუმანიტარული დახმარება მიიღო, ლომის წილი ჩვენი ინსტიტუტის დამსახურებაა. სულ სამოცდახუთ ქვეყანაში გავაგზავნეთ ტელექსები ამ უბედურების შესახებ. სულ ცოტა სამოცდაათმა პროცენტმა დახმარების ხელი გამოგვიწოდა. ბატონი არჩილი თავად ელაპარაკა შვეიცარიაში „წითელი ჯვრის“ გამგეობის წევრს, რომელსაც მანამდე მოსკოვიდან უთხრეს, რომ არანაირი დახმარება საჭირო არ იყო.**

**გ. კავკასიძე: ჩვენი ინსტიტუტის სტუმარმა, ერთმა ჰოლანდიელმა ქალბატონმა ბავშვის ტანსაცმელი და კარვები თავად ჩაიტანა ამბროლაურში. იაპონელები მედიკამენტებით დაგვეხმარნენ. მიწისძვრა რომ მოხდა, მე ამერიკაში ვიყავი და ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ ნაჩუქარი ასი ათასი დოლარის წამლები და კარვები ჩავიბარე. ოთხი ტონა ტვირთის წამოღება შეუძლებელი ჩანდა. ბედად, სომხური ორგანიზაცია „გაერთიანებული სომხური ფონდი“ აღმოვაჩინე, რომლის მიზანი მიწისძვრით დაზარალებულ სპიტაკელთა დახმარებაა. მათ უსასყიდლოდ ჩამომატანინეს ტვირთი ერევანში, სადაც ჩვენი წარმომადგენელი დაგვხვდა. სხვათა შორის, ამერიკელ სომხებს ჩვენთან თანამშრომლობის დიდი სურვილი აქვთ.**

— გისურვებთ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში.

ესაუბრა **თეა გვასალია**

# წიგნების გმირი

ყურებ, ყოველთვის ვფიქრობ, რომ ის გადარჩება. ასევე „რომეო და ჯულიეტას“ ნახვისას — აი, წირვა დამთავრდება და საქმე კარგად წავა-მეთქი...

**— ბავშვობის წლები კაჟარკში გაატარეთ?**

— არა, ისე იქ დავიბადე. ჩემს მშობლებთან ერთად თითქმის სულ პარიზში ვცხოვრობდი. მამა მეწარმე იყო, იმ დროისათვის ბევრ ფულს შოულობდა.

**— მისმინეთ, ეცადეთ თქვენს შესახებ ილაპარაკოთ.**

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ცოტა არ იყოს, მიჭირს, თანაც, ზოგი რამ აღარც კი მახსოვს. ბავშვობაში მორცხვი ვიყავი, ენაბორძიკა, შეწუხებული არაფრის გამო, დაფეთებული მასწავლებლებისგან. ჩვენი სახლის ოცდაორმეტრიან დერეფანში ბორბლებიანი სათამაშო ვირით დავქროდი. თითქოს ძალიან მხიარული და ბედნიერი ვიყავი, ამავე დროს — ეული, რადგან მხოლოდ უფროსებს შორის ვიზრდებოდი. მაინც ბავშვად დავრჩი, დიდობაშიც კი. დედა მაიძულებდა, ზამთარში თბილი წინდები ჩამეცვა. იცით, გოგონები უკვე სნობები ვართ. გამოსასვლელშივე ვიხდიდი და სახლში დაბრუნებისას ისევ ვიცვამდი. საშინელი ხმაურიანი ვიყავი, საბოლოოდ კლასიდან მაგდებდნენ. მახსოვს, ერთხელ მოსაწყენი ლექციები ჩაგვიტარეს. მე მოლიერის ბიუსტი ავიღე და თოკით კარებზე ჩამოვკიდე, გადავწყვიტე. აღარ მეცლო სკოლაში. დილით 8 საათზე ჩანთით სახლიდან გავდიოდი და მთელი დღე პარიზის ქუჩებში დავეხეტებოდი.

**— მერე უაზოს მონასტერში მიგაბარეს?**

— დიახ, მაგრამ სამი თვის შემდეგ გამომაგდეს. მშობლები ძალიან ნერვიულობდნენ. ხატებსის კურსებზე გამაგზავნეს. მერე ბაკალავრის ხარისხის დასაცავად გამოცდებიც ჩავაბარე. ინგლისური სრულიად არ ვიცოდი და გამომცდელის წინაშე პანტომიმებით წარვსდექი. დაფეთებულმა გამომცდელმა სამიანი დამიწერა.

**— ბევრი ახალგაზრდა მწერალი უჩივის გამომცემლებს. თქვენც ხომ არ წააწყდით სირთულეებს?**

— რა თქმა უნდა, თავიდან ბუნდოვან პიესებს და ნოველებს ვწერდი. არ მიბეჭდავდნენ და მართლებიც იყვნენ. გოგონების მთავარი თვისება ცრუპენტელობაა. ჩემს ირგვლივ მყოფნი დავარწმუნე, რომ რომანი დავწერე... მოხდა ისე, რომ მერე მართლაც დავწერე „გამარჯობა, სევდავ“ და ამით დაიწყო ყველაფერი... როცა შევიტყვე წიგნის გამოცემას აპირებდნენ, სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი.. მახსენდება, ერთი ჭიქა კონიაკიც გადავკარი. წიგნს მაშინვე მოყვა წარმატებები, ფოტოები, ინტერვიუები, რაც ძალიან მალე მომბეზრდა.

**— როგორ წერთ?**

— ძალიან თავისუფლად. გეგმის გარეშე. მიყვარს იმპროვიზაცია, შემდეგ ტექსტზე ვმუშაობ, ფრაზებს ვაწონასწორებ, რაც ხელოსნის შავი სამუშაოსავითაა. ჩემთვის უმთავრესია წიგნის სათაური. მაშინ ვასათაურებ, როცა წერას ვამთავრებ.

**— გაინტერესებთ თუ არა კრიტიკოსები?**

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩემს შემოქმედებაზე ლაპარაკობენ და არა ჩემზე. ჩემი წიგნებისა და გმირების შესახებ მხოლოდ ჩემი მკითხველები მესაუბრებიან.

ძალიან ბევრი წერილია, ხშირად არაფერია საპასუხო: მაგალითად. როცა მკითხველი მწერს. 27-ე გვერდზე ჩემი თავი შევიცანიო, ის ნამდვილად მე ვარო...

**— ხომ არ გსაყვედურობენ ერთი და იგივე თემის გამო?**

— ჩემს შემოქმედებაში ორი თემა ბატონობს: სიყვარული და მარტოობა. სიყვარული დღესასწაულის ჩამშხამებელია, მარტოობა კი მისგან თავის დაღწევის საშუალება.

**— ამბობენ საგანის რომანებში მნიშვნელოვანი არაფერი ხდებაო.**

— ჩემს წიგნებში ნაკლებადაა დრამები, მაგრამ თუკი ჩაუკვირდებით, ყველაფერი დრამატულია: გაცნობაც, შეყვარებაც, ერთად ცხოვრებაც... მიყვარს მარტოობა და ამიტომაც ვარ მიწებებული ხალხზე.

**— ხომ არ უნდა ვეძიოთ თქვენი პიროვნება თქვენს ნაწარმოებებში?**

— ხშირად მაბრალებენ ამას. ნაწარმოების „გიყვართ თუ არა ბრამსი?“ გმირი 42 წლისაა, იგი 22 წლისამ დავწერე და მაინც მე შემიცნეს მასში. რას იზამ, თავად ვარ ჩემი წიგნების გმირი.

**— რას იტყვით მწერლობის ახალ ტექნიკაზე?**

— წერის ახალ ტექნიკაზე? ტექნიკისა არა მწამს, არც რომანის განახლებისა. ლიტერატურა გახლავთ ბალზაკი: „უცბად შენიშნა კაცმა, გაგიჟებით შეუყვარდა იგი. ქალს ცრემლი დაუგორდა ლოყაზე და მის ფეხებთან გარდაიცვალა“...

თარგმნა **ზერა რომანაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თი მეთოდია, რომელსაც ჩვენს ინსტიტუტში აქამდე არ ვიყენებდით, მაგრამ დღეისთვის უკვე დავამონტაჟეთ აპარატურა, ჩვენმა ექიმმა გია კაკასიძემ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარა სამთვიანი სტაჟირება. მომავალ წლიდან ჩვენს ინსტიტუტშიც დაინერგება ეს სიახლე.**

— რაში მდგომარეობს ამ მეთოდის თავისებურება?

**— ყოველგვარი ოპერაციის გარეშე ვიღებთ ქალის კვერცხუჯრედს. სინჯარაში გავანაყოფიერებთ ქმრის სპერმით და რამდენიმე დღის განმავლობაში თვალყურს ვადევნებთ ემბრიონის განვითარებას. შემდეგ განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს განსაკუთრებული სიფრთხილით ვათავსებთ ქალის საშვილოსნოში. პირველი „კოლბის ბავშვი“ ინგლისში დაიბადა 1976 წელს. დღეს მსოფლიოში 15 ათასზე მეტი ხელოვნური ბავშვი დადის.**

— ეს შეკითხვა ფანტასტიკის სფეროს უფრო განეკუთვნება. თქვენ, როგორც მეცნიერს, გჯერათ თუ არა, რომ ოდესმე შეიძლება ნამდვილი ხელოვნური ადამიანი შეიქმნას. ე. ი. ემბრიონი სინჯარაში განაყოფიერდეს, იქვე მომწიფდეს და დედ-მამას მზა-მზარეული ახალშობილი ჩაბარდეს?

**— თეორიულად არაფერია გამორიცხული. მაგრამ ჩემი აზრით, ეს პერიოდი კაცობრიობის აღსასრულს დაემთხვევა. ხელოვნური ადამიანებით დასახლებულ დედამიწას დიდი დღე არ ეწერება.**

— თქვენ ბევრს მოგზაურობთ საზღვარგარეთ და უცხოელი მედიკოსები ასე უანგაროდ რომ გვეხმარებიან, თქვენი დიდი დამსახურებაცაა, მაგრამ ასეთი ცალმხრივი გულუხვობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. რა შეუძლია საქართველოს შესთავაზოს უცხოელ პარტნიორებს მედიკამენტებისა და სამედიცინო აპარატურის სანაცვლოდ?

**— ჯერჯერობით, ჩვენს უცხოელ პარტნიორებს ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების გარდა ვერაფერს შევთავაზებთ, მაგრამ არ გეგონოთ, ეს მცირე საზღაურია. ჩვენი მეცნიერების ცოდნაზე საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნილებაა. პრეპარატების დიდ ნაწილს საჩუქრად ვიღებთ. რას ვ[illegible] საბჭოური არაფერი ვარგა. ჩვენ თავიდანვე ეშმაკურად მოვიქეცით. შევეცადეთ მოსკოვის გვერდის ავლით, პირდაპირ დასავლეთზე აგვეღო ორიენტაცია. თავიდან მცირე რაოდენობის პრეპარატები და რეაქტივები მივიღეთ, რომელთა გონივრულმა გამოყენებამ ჩვენს მეცნიერებს შორს გაუთქვა სახელი. ახლა იქით ვუზიარებთ გამოცდილებას ამ პრეპარატების შემქმნელებს.**

— დღეს ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი ძლივს აკმაყოფილებს აქ მოხვედრის მსურველთ. ინსტიტუტი გაფართოებას საჭიროებს. რა პერსპექტივები გაქვთ ამ მხრივ?

**— აქაც უცხოელები უნდა დაგვხმარებოდნენ. ახალი შენობის პროექტიც თითქმის გადაწყვეტილი იყო. მიწაც გამოგვიყვეს და კონტრაქტიც შედგა. მაგრამ სწორედ მაშინ, პროექტის დაფინანსება რომ უნდა დაწყებულიყო, საბჭოთა კავშირში პოლიტიკური არეულობები დაიწყო და უცხოელებმაც უკეთეს დრომდე გადადეს სამუშაოე-**

# თავად ვარ ჩემი

თანამედროვე ფრანგმა მწერალმა ფრანსუაზა საგანმა მისგან აღებული ყველა ინტერვიუ ერთად შეკრიბა და წიგნად გამოსცა. გთავაზობთ ამონაკრებს წიგნიდან „პასუხები“



**— 1954 წელს თვრამეტი წლის მადმუაზელ კუარემ, ფრანსუაზა საგანის ფსევდონიმით, ჯულიარის გამომცემლობაში მიიტანა რომანი „გამარჯობა, სევდავ“. წიგნი ყოველგვარი რეკლამის გარეშე გამოვიდა. ერთი წლის შემდეგ კი მისმა ტირაჟმა მილიონს გადააჭარბა, ითარგმნა ოცდახუთ ენაზე, საგანი ცნობილია, მაგრამ ყველამ არ იცის, რის გამო. მოგვიანებით, როცა სახელგანთქმულ პირებზე ანკეტებს ავსებდნენ, ბევრი ასე პასუხობდა: ფრანსუაზა საგანი? როგორ არ ვიცი, ის ხომ კინოვარსკვლავია.**

— მართლა ასე იყო? აღარც კი მახსოვს.

**— ასე იყო. მერე თქვენზე ლეგენდები შეიქმნა: ფული, ვისკი, ღამის ბარები, სპორტული მანქანები... ერთი სიტყვით ის ყველაფერი, რაც კინოვარსკვლავს უფრო შეეფერება, ვიდრე მწერალს. როგორ ზიდეთ ეს ლეგენდები ოცი წლის გოგონამ?**

— როგორც პირბადე... ყოველივე ეს კიდევაც შეესიტყვებოდა ჩემს სურვილებს — სიჩქარე, ზღვა, შუაღამე, სინათლე, სიბნელე, ის, რაც თავს დაგაკარგვინებს და გაპოვნინებს.

**— ასეთი სურვილები, ჩანს, ერთობ საინტერესოდ უნდა იყოს აკომპანირებული თქვენს სადა ჩაცმულობასთან. გაზეთები ბევრს ლაპარაკობდნენ თქვენს განუყრელ შავ კაბასა და მარგალიტის მძივზე.**

— შავი კაბა წარსულს ჩაბარდა. მიყვარს თანამედროვე სტილით ჩაცმა. რაც შეეხება მარგალიტის მძივს, დავკარგე.

**— არავისთვის არის საიდუმლო, რომ ალკოჰოლი თქვენი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია.**

— დიახ, ისევე, როგორც პური და მარილი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თავდავიწყებისთვის ვსვამდე, ვსვამ მხოლოდ აქსელერაციისთვის. ამ დროს ვთავისუფლდები მირაჟებისგან. დალევას შევწყვეტ თუ არა, მოწყენილობა მეუფლება.

**— ქალიშვილი რომ გყოლოდათ, რას უსურვებდით?**

— რას ვუსურვებდი? თვრამეტი წლის ასაკში შეყვარებოდა მამაკაცი, რომელიც მასაც ასევე შეიყვარებდა. ოთხმოცი წლის ასაკში გარდაცვლილიყვნენ ხელიხელჩაკიდებულნი, უკეთ რომ ვთქვა, რომანტიულად. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ასე იშვიათად ხდება. ზოგჯერ მგონია, ცხოვრება საშინელი ხუმრობაა, ყოველ წამს შეიძლება გაღიზიანდე, ანერვიულდე ტელევიზიით, სულელური სტატიით, პოლიციელით, ან შვეიცარის გამოხტომებით. არის შენში რაღაც მშიშარა ცხოველისნაირი, რაც გიჟდება, წრიალებს, როგორც ციყვი ბორბალში.

**— თქვენის აზრით, საშველი რა არის?**

— ვფიქრობ, იუმორი. იუმორის უკმარისობა სულის უკმარისობას ნიშნავს. მეჯავრებიან ადამიანები, რომლებიც ხუმრობას სერიოზულად ღებულობენ. ისინი მე იმ ანჩხლ პოლიციელს მაგონებენ, რომელმაც ერთხელ სენ-კლოდის გვირაბში გამაჩერა და მითხრა: „კარგად გამოიყურებით თქვენი კაპოტახდილი მანქანით,“ მეც ვუპასუხე, თქვენც კარგად გამოიყურებით თქვენი კეპით-მეთქი. და მან ამაზე მიჩივლა. რა თქმა უნდა, მე გავიმარჯვე.

**— ოპტიმისტი ხართ?**

— დიახ, როცა ჟანა დარკზე ფილმს ვუ-



**ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია**

დღეს შემოგთავაზებთ ჩეხი ექიმის მიროს[illegible] მატოუშეკის პასუხებს ახალგაზრდა დედების შეკითხვებზე. მასალა მომზადებულია წიგნის „ბავშვის ცხოვრების პირველი წელი" საფუძველზე და იბეჭდება მცირე შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვის ცხოვრების 1–3 კვირა

— ფეხმძიმობის დასაწყისში ანგინით ვიყავი ავად. შეიძლება თუ არა ამ ფაქტმა გავლენა მოახდინოს ჩემი ბავშვის ჯანმრთელობაზე?

**— ფეხმძიმობის პირველ ეტაპზე გადატანილმა ზოგიერთმა ვირუსულმა დაავადებამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს ნაყოფის განვითარებაზე. განსაკუთრებით საშიშია წითურა, რამაც შეიძლება ბავშვის თანდაყოლილი კატარაქტა, გულის მანკი ან სმენის დაქვეითება გამოიწვიოს. დადგენილია აგრეთვე, რომ დედის მიერ მიღებული ზოგიერთი მედიკამენტი ასევე ცუდად მოქმედებს ნაყოფზე. ამიტომ ფეხმძიმე ქალმა ექიმთან შეუთანხმებლად არანაირი წამალი არ უნდა მიიღოს, განსაკუთრებით ფეხმძიმობის პირველ ოთხ თვეს.**

— ბავშვს კეფაზე, თმებს შორის წითელი ლაქა აქვს. რა არის ეს?

**— ეს გაფართოებული სისხლძარღვების კაპილარებია, რაც სხეულის სხვა ადგილზეც, მაგალითად შუბლზე ან ცხვირის წვერზეც შეიძლება ჰქონდეს. ხშირ შემთხვევაში ის თავისით ქრება ერთი წლის განმავლობაში, თუ არა და ექიმის დახმარებით შეიძლება მისი მოცილება.**

— ბავშვი სამი კილოგრამი დაიბადა. ბევრია ეს თუ ცოტა?

**— ახალშობილი ბიჭის საშუალო წონა 3 500 გრამია, გოგონასი 3 200 გრ. ბიჭები საშუალოდ ერთი სანტიმეტრით გრძელები არიან გოგონებზე, მათი საშუალო სიგრძე 50 სანტიმეტრია, გოგონებისა კი 49. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს მონაცემები საშუალოა, თუ ერთი ახალშობილი სამ კილოგრამს იწონის, მეორე კი ოთხს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პირველი მეორეზე სუსტი ან ნაკლებად განვითარებულია. ახალშობილის სიგრძე და წონა, ბევრი ფაქტორითაა განპირობებული, აქ ერთ-ერთ მთავარ როლს მემკვიდრეობითობა და ოჯახური გარემოც ასრულებს.**

— მე ის მაინც გამხდარი მეჩვენება...

**— თქვენ ეს არ გეჩვენებათ. ყოველი ახალშობილი ცხოვრების პირველ დღეებში წონაში იკლებს. ამის ნუ შეგეშინდებათ.**

— მას კანი გაუყვითლდა!

**— ბავშვს მსუბუქი სიყვითლე აქვს, რაც ახალშობილთა უმრავლესობას გამოაჩნდება ხოლმე დაბადებიდან მესამე-მეოთხე დღეზე. ავადმყოფობის გამწვავების შემთხვევაში ბავშვი ნაკლებად აქტიურია და ცუდად წოვს ძუძუს.**

— ხანდახან ბავშვს მარცხენა ფეხი აუკანკალდება ხოლმე, განსაკუთრებით, როცა სახვევებს ვუხსნი.

**— საფენების გახსნისას, კანის ოდნავმა გაცივებამ შეიძლება ხანმოკლე კანკალი გამოიწვიოს. ეს არც ძლიერი გაცივებაა, არც კრუნჩხვა, ამიტომ ნუ ეცდებით სასწრაფოდ გაახვიოთ ბავშვი.**

— მეჩვენება, რომ ბავშვს სუნთქვა გახშირებული აქვს და ხშირად ოხრავს ხოლმე.

**— ახალშობილი მოზრდილ ადამიანებზე სამჯერ ჩქარა სუნთქავს. დროდადრო ამოოხვრებს კი ყურადღებას ნუ მიაქცევთ.**

— დღეს დილით მან ქუთუთოები ძლივს მოაცილა ერთმანეთს.

**— ბავშვის დაბადებისთანავე, კონიუნქტივიტის, მწვავე ანთების თავიდან ასაცილებლად პატარას თვალში წვეთებს ასხამენ. ზოგიერთ მგრძნობიარე ორგანიზმში ამან შეიძლება მსუბუქი კატარალური კონიუნქტივიტი გამოიწვიოს. ქუთუთოებზე მიმხმარი გამონაჟონი ანადუღარ, ნელთბილ წყალში ან გვირილის ნახარშში დასველებული ბამბით უნდა ამოუწმინდოთ ისე, რომ ბამბა მეორე თვალს არ შეახოთ. უფრო ძლიერი ანთების გამოვლენისთანავე მიმართეთ ექიმს.**

— ბავშვს ძუძუს რომ ვაწოვებ, მკერდი მტკივა. ნორმალურია ეს თუ არა?

**— პირველ დღეებში ბავშვისათვის ძუძუს მიცემამ შეიძლება ძუძუს ტკივილი გამოიწვიოს. ტკივილებით შეწუხებული ზოგიერთი დედა ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ბავშვი ხელოვნურ კვებაზე გადაიყვანოს, არადა, პირველი ორი თვე ის პერიოდია, როცა ახალშობილს განსაკუთრებით ესაჭიროება დედის რძე. ძუძუს მიცემიდან დაახლოებით ექვსი კვირის თავზე ტკივილები თანდათან ქრება და ბავშვის მიერ ძუძუს წოვა სასიამოვნოც კი ხდება ხოლმე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, რომ ძუძუსთავები არ დაგისკდეთ. საერთოდ, მშრალი კანი სკდება და ამიტომ. ძუძუს რომ თბილი წყლით მოიბანთ, კარგი ხარისხის ცხიმიანი კრემი წაისვით.**

— როგორ მივხვდე, საკმარისი რძე მაქვს თუ არა?

**— თუ ბავშვი წონაში იმატებს და ნორმალურად ვითარდება. ყველაფერი რიგზეა. ხოლო იმის გასაგებად, თუ რამდენ გრამ რძეს სვამს ბავშვი, ასე უნდა მოიქცეთ. ჭამის წინ მიიყვანეთ ბავშვი პოლიკლინიკაში, სადაც მას ასწონიან, შემდეგ ბავშვს აჭმევთ, რის შემდეგაც პატარას ხელმეორედ აწონიან. გამოაკელით მეორე რიცხვს პირველი და მიხვდებით რამდენი გრამი რძე მიიღო ბავშვმა. თუ შესაფერისი სასწორი სახლში გაქვთ, მეტი სიზუსტისათვის პატარა ყოველ ჭამაზე აწონეთ.**

— ბავშვის ძუძუ შესიებული მეჩვენება. ანთების ბრალი ხომ არ არის?

**— თუ მთელი მკერდი ერთნაირად არის შესივებული და ფერიც ძუძუზე და მის ირგვლივ ერთნაირია, ანთება არ არის. ორსულობის ბოლოს, განსაკუთრებით მშობიარობის შემდეგ, დედის სისხლში ცირკულირებს ჰორმონი, რომელიც ხელს უწყობს მკერდის გადიდებას და რძის გამომუშავებას. ამ ჰორმონის მცირე რაოდენობა შეიძლება გადავიდეს ბავშვის სისხლში და სწორედ ის იწვევს მკერდის შესივებას. (ზოგჯერ ატმის კურკის ზომამდე), მარტო გოგონებში კი არა, ბიჭებშიც. ის კი არა, ძუძუში ზოგჯერ სითხეც დგება და თუ ხელს დავაჭერთ, რძისმაგვარი მღვრიე სითხის წვეთიც გადმოვა. მაგრამ ეს არ უნდა გავაკეთოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ძუძუ დაჩირქდეს ან, თუ ინფექცია შეიჭრა, სისხლიც კი მოეწამლოს.**

**დედის ორგანიზმიდან გადასული ჰორმონის გამო, შესაძლოა გოგონას პირველ კვირას სასქესო ორგანოდან ვარდისფერი გამონადენიც ჰქონდეს. ნუ შეგეშინდებათ, რამდენიმე დღეში ეს მოვლენა თავისთავად გაივლის.**

— გუშინ კუჭმა ოთხჯერ იმოქმედა, ერთხელ კი — წყალივით.

**— ხუთ-ექვსჯერ კუჭის მოქმედება ნორმალურია, თუ დედას რძე ბლომად აქვს და ერთ ჭამაზე ბავშვი საჭირო დოზაზე მეტს იღებს. ზოგი ბავშვის კუჭი ყოველი ჭამის შემდეგ მოქმედებს, გამოდის თხელი ფაფის მსგავსი ან წყალწყალა მასა. რადგან ბავშვს გაზებიც უგროვდება, იგი კუჭში ხმაურით გადის და იქმნება კუჭის აშლილობის შთაბეჭდილება, მაგრამ თუ ბავშვი ნორმალურად იმატებს. საშიში არაფერია. ზოგი ბავშვის კუჭი უფრო იშვიათად მოქმედებს, გამოყოფილი მასა უფრო მკვრივია. 2-3 დღის გაუსვლელობა ბავშვს დისკომფორტს უქმნის, ამიტომ უნდა ვეცადოთ კუჭმა ყოველ დღე იმოქმედოს.**



# ნელის ვერავის შევადარებ

ქართველ მხატვარ ქალთა შორის ბევრი ბრწყინვალე შემოქმედია. მათ ტრადიციებს აგრძელებს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, დოცენტი ნელი ჩიქოვანი.

სილამაზითა და ხიბლით გამორჩეულ გოგონას სიბეჯითესთან ერთად თან დაჰყვა აბსოლიტური მუსიკალური სმენა, ხატვისა და ლიტერატურის სიყვარული. მშობლები — სოფიო ქიქოძე და ბადუ ჩიქოვანი დიდ ყურადღებას უთმობდნენ შვილების ღირსეულად აღზრდა-განათლებას.

მუსიკაზე შეყვარებული გოგონას მომავალი თითქოს გარკვეული იყო, მაგრამ მათი ოჯახის ხშირმა სტუმარმა, მხატვარმა მოსე თოიძემ, როცა ყურადღებით დაათვალიერა ნელის ნახატები, ურჩია მისაღები გამოცდები სამხატვრო აკადემიაში ჩაებარებინა. ეს არჩევანი გამართლდა, რასაც ადასტურებს ქალბატონი ნელის სიყვარული თავისი პროფესიისადმი.

როდესაც მის ნამუშევრებს ათვალიერებთ, მხატვარი გულისყურით შემოგცქერით, პასუხისმგებლობის გრძნობით იმსჭვალება და განგიმარტავთ, თუ რატომ აირჩია ისინი თავის შემოქმედების პერსონაჟებად. ხასიათების გახსნა, მათ ფსიქოლოგიაში წვდომა წარმოადგენს მხატვრის შემოქმედების კრედოს. თავის ნამუშევრებში: „სტუდენტი გოგონა“, „მოხუცის პორტრეტი“, „ბონდო ჩიქოვანი“ „ვერა წიგნაძე“, „ლია ელიავა“, „მედეა ჯაფარიძე“, „მარიკა ლორთქიფანიძე“, „მაია ქავთარაძე“. „სალომე ყანჩელი“, „მერი დავითაშვილი“. „ლალი ხიჩინაშვილი“, „ანა კალანდაძე“, „ელისო ჯაფარიძე“ და სხვები, მხატვარი ფაქიზ ფსიქოლოგად გვევლინება.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ბატონმა პარმენ ზაქარაიამ ვრცელი სტატია მიუძღვნა ნელი ჩიქოვანის შემოქმედებას: „მხატვარი პორტრეტის შექმნას იწყებს არა მარტო ხატვის სეანსების დროს. ხშირად ეს პროცესი იწყება გაცილებით ადრე. ზოგჯერ ეს ხდება ქვეცნობიერად. შემოქმედი აკვირდება ობიექტს. ეძებს დამახასიათებელს. უშუალოდ ხატვისას კი გრძელდება ეს პროცესი. იგი ავლენს მთავარს და უარს ამბობს ნაკლებად მეტყველზე თუ შემთხვევითზე. მხატვარი ინდივიდის კონკრეტული მსგავსებით ხსნის საერთოს, იძლევა ტიპიურს. მხატვარმა გამოიყენა ლითოგრაფიული სალებავი, სადაც მრავალფეროვნება პეიზაჟისა მიღწეულია აკვარელისა და პასტელის შერევით“ — წერს იგი.

საფრანგეთში ყოფნა მხატვრისათვის ძალიან სასარგებლო გამოდგა. პარიზში შექმნა მან მრავალი ეტიუდი და აკვარელური ჩანახატი.

შემოქმედი ქალის ცხოვრების ისტორია თავისებურია და იგი წარსულისაკენაც გვახედებს. მახსენდება მისი თანაკურსელი, ცნობილი მხატვარი ეკატერინე ბაღდავაძე, რომლის სიცოცხლესაც ნათელ სვეტად გასდევდა ნელისგან მიღებული სულიერი საზრდო. იგი ამაყობდა ნელის მეგობრობით და ხშირად ყვებოდა იმ ამაღლებულ დამოკიდებულებაზე, რომელიც ნელის ოჯახში სუფევდა მეუღლისა და შვილის მიმართ.

თბილისელებს ახსოვთ, ალბათ, ნელი 16 წლის ასაკში — ცისფერთვალება ფერია, გრძელი სქელი ნაწნავებით. სწორედ იმ წელს გადაიღეს იგი კინო-ფილმში „ქალი გაღმიდან“, სადაც მისი პარტნიორები იყვნენ ცნობილი მსახიობები — მედეა ჯაფარიძე, გრიშა კოსტავა, აკაკი კვანტალიანი, დიდი მუსიკოსი მელიტონ ბალანჩივაძე (ბაბუას როლში) კომპოზიტორი ალექსანდრე მაჭავარიანი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ნელი გულდაწყვეტით ამბობს, რომ ფილმის გადაღების გამო აკადემიაში ერთი წელი გაუცდა. კინოში გადაღება დიდი შრომა და დავიდარაბა ყოფილაო, ალბათ, ამიტომაც თქვა უარი ქალბატონმა ნელიმ სხვა ფილმებში გადაღებაზე.

უსიამოვნო მოსაგონარია მისი ცხოვრების ის წლები, როცა მძიმე ავად გახდა.

— დეა პატარა მყავდა, კოჯორში ვისვენებდით, მეზობლის ქალმა ახალი ხაჭო შემომიტანა, რომელმაც ბრუცელოზით დამაავადა. სწორი დიაგნოზი დროზე ვერ დამისვეს, ამიტომ რამდენიმე წელი ვიტანჯე, შრომის უნარი ნაწილობრივ დავკარგე, ვნანობ იმ გაცდენილი წლების გამო.

მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ დიდმა შრომისმოყვარეობამ ის გაცდენილი წლები აუნაზღაურა. ამჟამად ქალბატონი ნელი მხატვართა ახალ თაობას ზრდის, უშურველად გადასცემს მათ თავის ცოდნას. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის, ყოველთვის ობიექტური, მოკრძალებული და ტაქტიანია, ამიტომ ადვილია მასთან ურთიერთობა.

მხატვარი ქალის სრულფასოვნებას მისი კარგი დედობა აგვირგვინებს — მისი ერთადერთი ქალიშვილი დეა ჯაბუა, ცნობილი გრაფიკოსია და სამხატვრო აკადემიაში მოღვაწეობს. ოჯახი გაიზარდა, გამრავლდა. შვილიშვილმაც შექმნა ოჯახი, თავისი პატარა შვილით გაახარა ბებია.

ნელი ჩიქოვანი თავად ხათნოება და ჰაეროვნებაა. არ შეიძლება მასთან მოწყენა ან დაღლა იგრძნოთ. ნელის ვერავის შევადარებ სულიერებით, თავისებურად გამორჩეული ქალბატონია, სილამაზით კი პოეტის იდეალად დასახულ მერი შერვაშიძეს ვამსგავსებ.

დამანა მდივნიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომან ჯავახიშვილი

## როგორ კვდებიან და იბადებიან ანუ ყველაფერი პოეტების შესახებ

### ვუძღვნი მედეა კახიძეს

მთელი ცხოვრება ბურანია შემოქმედების,
უკვდავებისთვის მოციმციმე ხანთლის ალია,
გვწვავს სისპეტაკე და სიმრუშე კაცობრიობის
და სიცოცხლისთვის არა გვცალია.

ამირანივით მკერდს გვძიძგნიან უფლის ძერები,
მოთმინებაა ამ სოფელში რაც გვავალია,
თუ მგოსანია, უნუგეშო კვდება ცრემლებით,
თუ პოეტია, ჯერ ლექსია, მერე ქალია.

ჩვენ ერთმანეთში ვირეკლებით როგორც სხივები,
გადამსხვრეული, ახხლეტილი შორით ალიონს,
მაგრამ მთელისგან დაბნეული მარგალიტები
ერთ ყელსაბამად ვერავინ აკრიფოს.

და თუმცა ხშირად ერთი დარდი ერთგვარად გვათოვს,
და შენს სიტყვებში მე ვიცანი ჩემი სიზმარი,
ქარი იზრდება ჩვენს მინდვრებზე და მხოლოდ გვართობს
დრო, გასაწირად დანაფიცარი.

იმასაც ვდარდობ, რაც არასდროს არ გაგვიგია,
რაც დაგვავიწყდა, ისიც კი ვიცით,
დღეს ჩვენ მოვდივართ, პოეტობის ჩვენი რიგია,
ქარებში ვფანტავთ ზარების სიცილს.

ყველაფერს ვკარგავთ, რაც რას ვაგროვებთ,
და თუმცა ვჩნდებით ყოველთვის ახლად,
სულ მუდამ ახლავს თან სიმარტოვე —
— ამაყთა ფარდა!

## ნამცეცები

ჭეშმარიტება გრძნობას ჩამოგავს,
ბუნდოვანი და არასრულია,
ან ვინ მიაღწევს იმ ჰარმონიას,
რაც დანისლულ სულს ასე სწყურია.
მაგრამ სიმართლეს იტყოდა ბრძენი,
ეს გრძნობა ვისაც გამოუცდია,
როცა ქალია და ამურია,
სიცოცხლე უფრო საამურია.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

და მიყურებს სიყვარული სევდით დანაპურები,
სიფრიფანა მაიმუნი გაცრეცილი ყურებით.

## ბიბლიურ თემაზე

კაცს და ღმერთს შორის ლაფრინავს სული,
ჩვენთვის ნატანჯი, სპეტაკი მაქო,
მე აქ სიძულვილს კი არ ვაძაგებ,
მე სიყვარული მინდა შევაქო.

გოლგოთას მთაზე სხვაგვარი განცდით,
ვერავინ ავა, ყველა მწირია,
მე აქ ბატკანი კი არ დავკალი,
მე ჩემი თავი შემიწირია.

## მორევი

სხვადასხვა რანგის, სხვადასხვა დროის,
სხვადასხვა ვანცდის სიტყვები მოდის...
გლეხთა, მეძავთა და მეომართა,
ძეთა მამათა თუ ოჯახის მანდილოსანთა,
ყარიბი ლოთის, სათაყვანო ჩვენთა მგოსანთა...
ბადე დაიხა აძლენი თევზით,
გული მწყდება. რომ ჩემი არ გეხმით.

## შუალამისას

ის მირაჟია, ვისაც მე ვეტრფი.
ის ბრმაა, ჩემს სულს ვისაც ვაჩვენებ.
სხვას გულის წუხილს ვერავის ვეტყვი
და რუსთაველზე ჭადრებს ვაჩერებ.

მიამბეთ მზეზე, ქარზე, წვიმაზე,
ნატანჯი სული, ღამე გვიანი,
ადამიანზე, ნურაფერს მეტყვით...
ღირსი არ არის ადამიანი.

ყოველი დადის ციცაბო გზებით,
თუ გწამს — ინანებ, თუ გიყვარს — ცდები.

## მოლოდინი

დრო უმოწყალო. სიბერის სახე,
ჩამოსტეხია ჭადარს ტოტები,
თუ შეგიძლია იქამდე მნახე,
იქამდე მოდი, სანამ მოვკვდები.
სადაც ვიწყებდი, იქა ვარ ისევ,
წლებით სიცოცხლეს წრე შემოვარტყი,
მოდის ზამთართა თეთრი სიცივე
ფრენს შემოდგომის ყვითელი ბარტყი.
ასე ყოფილა, ადრე თუ გვიან
ამ ფოთლებისგან ქურებს დაგვიან,
და ჟღერს ის ძველი, ძნელი მოტივი...
მეტი პიანო, ნაკლები ფორტე,
შეეცადე არ დაიგვიანო,
მე არ მინდა, რომ უშენოდ მოვკვდე.

## დონ კიხოტი

ჩემი სული ტაძარია,
რომელშიც ღვთის ხანძარია,
სიყვარულით ვიფერფლები,
ბედი უკვე დამწვარია.
გზა შემიკრეს გრძნეულებმა
გადარჩენა ზღაპარია.

ჩვენს ირგვლივ რომ მორევია,
ვერც ვერავინ მორევია,
მეც ჩამძირა, ჩამითრია,
ქვევით, სადაც მდორევია.

## დანაპირები

პატარა გოგო —
მეზობლის ბავშვი,
ჩვენს ფანჯრების წინ
როცა მიდიხარ
და მარგალიტად ქუჩას
კიდიხარ,
ისე ლამაზი, ისე დიდი
ხარ,
აფეთქებული ფერთა თამაშით...
თვით უაღრესად გულგრილ
აივნებს
ალტაცებისგან ცვივათ
ბათქაში.

## სარკესთან

დრო და ჟამი.
გაფრენილი წამი,
საშინელი ძალით
გვარწევს საქანელა.
თუ გინდ გქონდეს ფრთები,
აქ ვერ გადარჩები,
ხომ მაინც ვბერდები
და ღმერთო!
ცოტა ნელა.

## ადამიანი

ადამიანი
ცოტა ღიმილი
და სიხარული,
ბევრი ტკივილი და გაოცება,
ერთგულების და ღალატის ნიჭი,
ველური ჟინი,
წყნარი ოცნება;
უბედურების მძაფრი უნარი,
სრულყოფისაკენ ლტოლვა
მარადი,
ღმერთო, შეცდენილს გადაარჩენდე,
ღმერთო, განწირულს დაიფარავდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზეცას აკრული პოეზია

ტატოს ფრთები,
ვაჟას გენია,
გალაკტიონის ღვთიური ქნარი.
მე, თქვენს
გულებზე ისე
      ვსეირნობ,
ვით შემოდგომის ფოთლებზე ქარი.
ო, მომიტევეთ, მათ პოეზიას
მხოლოდ იმიტომ მსურს ვეზიარო,
რომ თქვენ მიყვარხართ
და მინდა თქვენთვის
გამორჩეული გზებით
      ვიარო.
ტატოს ოცნება,
      ვაჟას ფიქრები,
გალაკტიონის მწუხარე ლანდი,
მე თქვენს ფეხებთან
      ისე
         ვაგდივარ,
როგორც ნაწვიმარ
      სილაში
         ვარდი.

## ჰარმონია

ელექტრონების პლიუს —
   — მინუსი,
ორსახოვნებით თვით
   იანუსი,
ერთი მოვლენის ორი
   საწყისი,
დაბოლოვება თუ დასაწყისი.
   არსი ურწმუნოც,
   ღვთის მოშიშარიც,
განუყოფელი ვით
   ამპლიტუდა,
ერთი საათის ორი ისარი
სატანა — ღმერთი,
ქრისტე — იუდა.

## სანთლებთან

თ. ჩალაურს

ხატთან რომ ანთია უფლის ბარათია,
წუხილი მათია.
ვინც მარტომ ათია,
სიცოცხლის მხილველნი
სურვილით ვილევით,
ცდუნება მრავალი
ცნება — სულ ათია.
კაცი სიყვარულით თუა
      დალოცვილი,
სიკეთე დაყვება, მუდამ სულმნათია,
და თუ მოფერების ცოდვებს
      ვინანიებთ,
მხოლოდ განწყობაა,
მხოლოდ სურათია.

იანინა სულაკველიძე

# ნელი შურისძიება



მხატვარი კარლო ფაჩულია

ზაფხულის საღამოა. ფეხით მივუყვები დალმართს ქალაქისკენ და ასფალტის სიმხურვალე მწვავს. ზოგი მანქანა სიჩქარეს უკლებს მათვალიერებენ. არაფერია, მზე მაცხუნებს და ვგრძნობ, თანდათან სხეული მტვრიანი ოფლით როგორ მეჟღინთება. მხრებზე გადაკიდებულ პატარა ჩანთას ხელს ვუჭერ.

მაინც რით დაიწყო ყველაფერი? უფრო სწორედ, რით დამთავრდა? დღეს დილით ყველაფერი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად ჩანდა. ბავშვები სპორტულ ბანაკში იყვნენ, სამი დღის წინ ერთად ვინახულეთ. მე სასწრაფოდ წიგნის რედაქტირება მქონდა დასამთავრებელი, ავტორი ყოველდღე მახსენებდა თავს. სარეცხის შემდეგ წიგნზე მუშაობას ვაპირებდი. თემო, სამზარეულოში საუზმობისას, გაზეთებს ათვალიერებდა, სარეცხის მანქანა ჩავრთე.

— წავალ და მერე არაფრაზე!

— რას გაწუხებს, ორი კარია დაკეტილი. სად აპირებ წასვლას?

— ვაჟასთან. სცენარზე უნდა ვიმუშაოთ. ვაჟა სცენარისტია, თემო კი, როგორც მისი დედიკო ამბობს, რეჟისორი. ამ ბოლოს სულ რაღაც საიდუმლო სცენარზე მუშაობენ. ჩვენში დარჩეს, როგორი რეჟისორიცაა ერთი, ისეთი დრამატურგია მეორეც. კიდევ კარგი, დოკუმენტურშიც მუშაობს, თორემ სიგარეტის ფულსაც მე გამომართმევდა.

— ვაჟასთან მიდიხარ?

— ხო... არ ვიცი. თუ იქ ვერ ვიმუშავეთ, ზემოთ ავალთ („ზემოთ“ ჩვენი აგარაკია, თემოს მამის აშენებული).

— მოდი, მეც წამოვალ და იქ ვიმუშავებ. ხმას არ გაგცემ. ბაღში გავალ, სახლსაც დავხედავ.

— კარგი რა, ხომ იცი, რომ ვერაფერს გავაკეთებთ, — თემო ადგა, თხელი პერანგი გადაიცვა, მანქანის და აგარაკის გასაღებები ლურსმნიდან ჩამოხსნა და კარი გაიხურა.

...რა ლამაზი ხეა, ღმერთო — ფართო, დიდებული. მოდი, დავისვენებ, რაც იყო, იყო, რა ვქნა ახლა, ხის ფესვებზე ვჯდები, ფეხსაცმელებს ვიხდი, ბალახი მსიამოვნებს. მართლა რამხელაა. მუხაა. — გამარჯობათ, ხომ მშვიდობაა თქვენს სამფლობელოში? — ხე-

ლით ვეფერები მუხას, თავს ვადებ და ერთად ვიწყებთ სუნთქვას.

კიდევ კარგი, მაღალქუსლიანები არ ჩავიცვი. გამოწყობა რომ მოვინდომე! რამდენი ხანია, ასე თავისუფლად არ გამივლია, ღიმილით ვემშვიდობები.

მაინც, რამ მომაფიქრა აგარაკზე აკითხვა?! ხარეცხის მანქანა რეცხავდა, მე იქვე, აბაზანის კიდეზე ვიჯექი და ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში. ბოლოს უკანასკნელი ზეწარიც რომ გაირეცხა, გაბრაზებით აბაზანაში მოვისროლე და გამოვედი. ვაჟასთან დავრეკე, არავინ მიპასუხა. ჩემი საყვარელი კაბა გადავიცვი და პირველივე თავისუფალი ტაქსით აგარაკისაკენ გავწიე. ჯანდაბას, თუ არ დამხვდება, ცოტას მივალაგებ, ბაღში დავჯდები და მერე წამოვალ, — ასე ვფიქრობდი, თუმც უკვე ვგრძნობდი, რაც დამხვდებოდა. წარმოვიდგინე, როგორ გამოვათრევდი იმ კახპას და კარგად მივჟეჟავდი. კრეტინი! წვრილთვალება, ცხვირმოჭრილი, კრუხის პალო, გამხდარი, გაძვალტყავებული, ფუ, დიდი ხანი არაა, რაც რაღაც ეპიზოდში გადაიღეს, თემო სულ იმის ნიჭიერებას აქებდა.

თემოს თითქოს არ გაკვირვებია ჩემი დანახვა, იქვე, პატარა შუშაბანდში ვაჟასთან და კიდევ ორ კაცთან ერთად სვამდა. მაგიდაზე გაზეთი გადაეფარებინათ, რამდენჯერ ვთხოვე, სულ ნურაფერს დააფარებ-მეთქი, გაზეთის დაფარება რაღა უბედურებაა.

ჰოდა ისე რაღაცნაირად. ვითომ გულგრილად ამომხედა. ეს კი იყო, გამარჯობის თქმისთანავე პირდაპირ ოთახისკენ რომ გავემართე, თითქოს რაღაცამ დამბორკა, კარის სახელურს ძლივს მოვკიდე ხელი.

ოთახში ის ცხვირპაჭუა, უყუნწო ნემსი იჯდა თავისი სამი მეგობრით. ერთი მაინც რამხელა იყო! მაინცდამაინც არ ეტყობოდა, კაცები რომ გიჟდებოდნენ მისთვის. წამოსვლისას სწორედ მაგან მითხრა: — თუ შეიძლება, რომ გინახულოთ? არაჩვეულებრივი ქალი ყოფილხართ.

— რასაკვირველია, დამირეკეთ (მეტი საქმე არ მაქვს, საერთო ქმარი არ მაკლია, რომ საერთო მეგობრებიც მყავდეს?!).

არა, თავი ცუდად არ მეჭირა. ვითომ რაღაცას ვეძებდი. მგონი მოვიბოდიშე კიდეც. ჩემზე რვა-ათი წლით ახალგაზრდა იქნება. ამბობენ, ეს დროებითი პრივილეგიააო, მაგრამ აბა რა აღარ არის ცხოვრებაში დროებითი. მოვისაზრე, — თემო, უკაცრავად, კალმისტარი გექნება? — თემომ გაკვირვებულმა გამომხედა ფანჯრიდან და გაბრაზებით გადმომიგდო მაგიდაზე, წვერწატეხილი ლურჯი ფანქარი. ბიჭები აორთქლებულიყვნენ.

— კი მაგრამ, სცენარს ამით სწერდით?

— სცენარს დაწერამდე მოფიქრება უნდა, — აქეთ შემომიტია.

— სრულიად გეთანხმებით, — ხო, მე მგონი სწორედ აქ დავმშვიდდი.

რაც თემომ დილით წასვლა აიჩემა, მას მერე სულ აფორიაქებული ვიყავი და ახლა დავმშვიდდი, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად. გამახსენდა, ჩანთაში პასტის პატარა კალმისტარი რომ მეგდო. ლაშას ნაჯღაბნი რვეულიდან ფურცელი ამოვხიე და გავუწოდე.

— მე მგონი, განცხადების დაწერას ბევრი ფიქრი არ უნდა.

— რა განცხადების?

— რომ ითხოვ განქორწინებას, ხასიათების შეუთავსებლობის გამო.

— მე არ ვითხოვ განქორწინებას! — ხელი მაჯაზე მომკიდა და ვითომ მკაცრად შემომხედა, მაგრამ ის აქ იჯდა თავისი წვრილი, ავი თვალებით და დამაჯერებლად არ გამოუვიდა. თავი ჩასწია.

— დაჯექი, — სკამი მივუწიე.

მერე რა იყო? აღარ მახსოვს. მგონი ქალები ადგნენ გასასვლელად. არ გავუშვი... არა. არ მიყვირია, ისე. თავაზიანად. მერე მახსოვს, იმან წაიწუწუნა:

— ამოგვიყვანა. თვითონ სვამდნენ, ჩვენ კი აქეთ დაგვსვა. აბა, რაღა აზრი ჰქონდა აქ ამოსვლას?

მე შემომჩივლა. შტერი!

— რას იზამ! — გამგებიანად გადავხედე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რაღაცა მრჩებოდა და ვეძებდი.

მგონი თემოც დავაჩქარე და ქაღალდი ჩანთაში ჩავიდე. საკვირველია, თითქოს მაშინვე გაუცხოვდა. საძინებელში შევედი. ძველებურ პირსაბანზე ჩემი კოსმეტიკის ნარჩენები ეწყო. ეს სუნამო ერთადერთია, რომელსაც ვხმარობ. სულ არ მინდა, სხვამ დაისხას — პირსაბანში ჩავაქციე. ამ უხმარ ფრჩხილების ლაქს კი წავიღებ, თუ ნებას მომცემთ! ჩემი საყვარელი ფერია. სულაც არ ვგრძნობ, რომ ჩემი დღეები დასრულდა.. არა! გამახსენდა, თემო განცხადებას რომ სწერდა, როგორ ვუთხარი.

— ბოლოს და ბოლოს ჩვენც გვექნება საშუალება, ვიყოთ ერთად! — მგონი საკმაოდ არადამაჯერებლად გამომივიდა.

— ვინ თქვენ, რას მაიმუნობ? — ამომხედა თემომ.

— არ არის საჭირო აქ მაგაზე ლაპარაკი. — სერიოზულად ჩავილაპარაკე და მგონი მეც დავიჯერე, — ჩვენთან ყავის დასალევად მეზობლის ბიჭი რომ შემოდიოდა, ის მიყვარდა. სწორედ მაშინ დავიჭირე ზორბა ქალიშვილის აღფრთოვანებული მზერა.

სასიამოვნო სითბო, ბალახისა და ტყის ჰაერი მოდიოდა გზისპირიდან...

... ხოდა, ის ლაქის შუშაც ჩემს ჩანთაში ჩავაგდე.

კარებში ის გაჩხიკინებული იდგა, რაღაცას ბუტბუტებდა, მგონი, — ვეცდები გოგო გავაჩინოო (ჩვენ ორი ბიჭი გვყავს და ოცდაორი რომ გვყოლოდა, თემოს მაინც ბიჭი ენდომებოდა).

— აბა რა, ეცადეთ, ეცადეთ!

— მე, იცით, იმ ზამთარშიც მეყოლებოდა, მაგრამ, — მხრები აიჩეჩა და საყვედურით მეორე ოთახისკენ გაიხედა.

გამახსენდა, ზამთარში ბავშვები აქ რომ მყავდა, რა იშვიათად და სულ ცუდ ხასიათზე ამოდიოდა თემო. მეგონა, საქმეებისგან ისე იყო გადაღლილი, რომ აღარ [illegible] როგორ მომესვენებინა.

— აქ ჩემი ძველმანები რაც ნახო, ფუთაში შეჰკარით და გამომიგზავნეთ, ან გადაყარეთ. გზადაგზა ვიბარებდი და ეზოში გავდიოდი. ქალები მომყვებოდნენ. და აი, აქ მითხრა იმ ზორბამ:

— შეიძლება გინახულოთ?

ამასობაში ეზოდან გავედი. მეზობლის ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, მარო გამოვიდა. ის აქაურია და ალბათ ამ საქმისაც უკეთ იცის.

— ნინო, გამარჯობა! ხომ კარგად ხარ, შემოიარე, თუ არ გეჩქარება.

მეც მოვიკითხე, როგორც შემეძლო.

— მოდი, ჩემმა რძალმა ნამცხვრები გამოაცხო, აი, შენ რომ გიყვარს, ისეთია, — თითქმის ძალით შემიყვანა ეზოში.

იქვე ბაღში მაგიდა ჰქონდა გაშლილი. ეტყობა, უკვე ესადილათ.

ძალიან მიყვარს ალუბლის ნამცხვარი და უნდა გამოვტყდე, საერთოდაც, ნამცხვარი.

შევედი. ნაჭერი ავიღე და ჭამით გამოვედი, თან ვცდილობდი, თავაზიანად დავმშვიდობებოდი, თუმცა რა თავაზიანობაზეა ლაპარაკი, პირი საჭმლით მქონდა გამოტენილი.

გამოსვლისას დავინახე. ჩემი ქალები გაკვირვებულნი, თითქმის პირდაღებულნი მიყურებდნენ.

— ხო, აი ამან დამაკარგვინა ქმარი! — პათეტიკურად ვთქვი და ბოლო ნარჩენსაც გადავუძახე. — არ ჭამო ნამცხვარი: — გავუცინე ცხვირპაჭუას და გზა გავაგრძელე. გამახსენდა, როგორ მაძალებდა საჭმელს პირველ ხანებში ჩემი მეუღლე, ათი კილო მომამატებინა. — თქვენებს არ უნდოდათ, რომ გამომყოლოდი, ახლა ნახონ, რა კარგად ხარო!

მერე მინდოდა, კარგი დღე მომგონებოდა თემოსთან, — ვერ გავიხსენე, კარგი საათი, — ვერ გავიხსენე. კარგი წუთი... გამახსენდა, რომ განცხადება ჩანთაში მიდევს, კრუხის პალოს თვალები ვეღარ აუჟუჟუნდება, რვა საათს სამსახურში რომ იმუშავებს და რვა საათს — სახლში. გამახსენდა, რომ მთვრალ თემოს ეხლა იმან უნდა მოუაროს, თუ უნდა, რომ ყველაფერი თავზე არ დააფშვნას; სამსახურიდან დომინოსა და ჭადრაკის თამაშით დაღლილი და ამჟავებული როცა შემოვა, უნდა მოელოლიავოს. მერე გამახსენდა, ათ კილოს რომ მოიმატებს, დაფსხრიკული გოგოლორის პალოს როგორ დაემსგავსება, ცხვირპირი და თვალები ლოყებში როგორ ჩაეკარგება და თემოს დამჟავება მაშინ იკითხე, იმ ჩერჩეტთან 15 წელს რომ იცხოვრებს, — ხა, ხა, ხა...

აგერ, ჩემი ქალაქიც გამოჩნდა. ნელ-ნელა შუქსაც ანთებენ, რა ლამაზია! მე თავისუფალი ვარ! ვაშა! გზის ნაპირას, პირით ქალაქისკენ დავდექი, ხელები პირს მოვუმჭუდროვე და მთელი ხმით დავიყვირე:

— თავისუფალი ვარ!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერლომ ახვლედიანი:

# ჩემი იდეალი შეუმჩნეველი ადამიანია

„როცა მოაწევს საათი, სახლში ხარ თუ გზაში, შეჩერდი და დაიწყე ლოცვა“... ვკითხულობთ ყოველდღიურ ლოცვების შესავალში და ჩვენ, რწმენაგაბზარულ ქართველთ, ალბათ უნებლიე ღიმილი გამოგვესახება: არის კი ვინმე, სასულიერო პირის გარდა, დღეში შვიდჯერ რომ აღავლენდეს ლოცვას? სამწუხაროდ, ჩვენს გულთა სმენამდე ველარ აღწევს შვიდგზის მლოცველთა ხმა, აღარ გვესმის და გვეუცხოება უფლისადმი მათი ასეთი სასოება... ისინი მცირენი არიან, მაგრამ აქა-იქ, შორი-შორ გაბნეულნი, სანთლებივით ამშვენებენ და დროდადრო მაინც ამრთელებენ რწმენის გაბზარულ კედლებს.

ერლომ ახვლედიანი — კაცი, რომელსაც შეიძლება ძნელად გაუგო, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გავუგებთ, მაგრამ ვერ ვიაზროვნებთ, ვერ ვიცხოვრებთ მისებურად. თუნდაც ისევ დღეში შვიდჯერ ლოცვას დავუბრუნდეთ. მართალია, ბატონ ერლომს დიდი დრო არ ეხარჯება, თითოეულ ლოცვას სამ წუთში წაიკითხავს ხოლმე, შვიდჯერ სამი მხოლოდ ოცდაერთია, მაგრამ ჩვენ ხომ ამ წუთების გამეტებასაც ვერ ვახერხებთ უფლისთვის.

— ყოველ ადამიანს აქვს რაღაც სიუჟეტი, რომლის ღირსეულად დასრულება მისი მისიაა. სახელმწიფო უნდა ცდილობდეს, მოვალეცაა, არ შეაფერხოს ადამიანის ამ მისიის შესრულება. ღმერთი ტყუილუბრალოდ არავის აჩენს, — ბრძანა ბატონმა ერლომმა, — ყოველ მოკვდავს, თუ ღვთის ნების გამცხადებლად მიიჩნევთ, მაშინ ხომ არავინ მოგვეჩვენება ზედმეტად და მით უფრო, საძულველად, ამაზე უკეთესი კი რა უნდა იყოს?!

საიდან იწყება ერლომ ახვლედიანის სიუჟეტი? მას შორი ფესვები აქვს, მაგრამ ჩვენ შედარებით ახლოდან დავიწყოთ, მამიდან, რომლის არამარტო ფიზიკურ, სულიერ გაგრძელებასაც წარმოადგენს მისი შვილი.

— მამა იყო თბილისის 23-ე სკოლის ერთ-ერთი პირველი პედაგოგი, ყველანი იცნობდნენ „სერგო პაპად“, თვით მისი მოსწავლეებიც. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ აღიქვამდნენ, როგორც ახლობელს, მასწავლებელზე მეტად. უამრავი ფოტო შემოგვრჩა, სადაც მამა ბავშვებთან ერთად არის გადაღებული. უდიდესი სითბო ასხივებს ამ სურათებიდან. სკოლა თავდაპირველად, ჩვენს ძველ სახლში, ყოფილ კამოს ქუჩაზე იყო მოთავსებული, შემდეგ ახალ შენობაში გადავიდა. მამას დიდი წვლილი მიუძღვის ამ შენობისა და სკოლის ქონების შენარჩუნებაში. ომის დროს იქ ინფექციური საავადმყოფო იყო. სწავლა, რა თქმა უნდა, შეწყდა, მაგრამ მამამ თავი არ მიანება და საავადმყოფოში კომენდანტად დაიწყო მუშაობა. ასე შემოინახა ის სასკოლო ინვენტარი, სასწავლო კაბინეტების აღჭურვილობა, რაც სკოლისათვის საჭიროა. არადა, იქ მუშაობა დიდი რისკი გახლდათ, რადგან საავადმყოფოში ძირითადად ტიფიანები იწვნენ.



ერლომ ახვლედიანის მამა სერგო ახვლედიანი

მამა იყო ჩემი ცხოვრების მაგალითი: იგი ორმოცი წელიწადი აშენებდა სახლს, კლდეში კვეთავდა საკუთარი ხელით. ეს სახლი მისთვის იგივე ტაძარი იყო. იმ პერიოდში ძველი ბინაც გვქონდა, მაგრამ მამას შენების სურვილი არ ასვენებდა, თანაც სახლს მარტო თავისი ოჯახისთვის კი არ აშენებდა... ჩვენს ოჯახში უამრავი ხალხი აღიზარდა — არა მარტო ახლობლები, უცხოებიც, უსახლკაროებიც, მამას ასე სურდა. ახლა კი მინდა, რომ მამაჩემის აშენებულ სახლს, რომელიც მდებარეობს ტიციან ტაბიძის პირველი შესახვევის № 36-ში, დავარქვა „სერგო პაპას სახლი“ და იგი გადავაქციო ყველასთვის ახლობელ, თბილ კერად.

როგორც ბატონ ერლომისთვის მამის ცხოვრება იყო მაგალითი, ასევე პატარა ბაქარისთვის იქნება მამის ეს ნაბიჯი საუკეთესო ნიმუში კარგი ქართველობისა.

...რაც შეეხება დედას, ბარბარე დადიანს, ბევრს არას ლაპარაკობს მასზე ბატონი ერლომი — მამის ზეგავლენა უფრო დიდი იყო. ერთი ფრიად საინტერესო დასკვნა კი მაინც გაგვიზიარა, — დედას განსაკუთრებული ნიჭი არაფრისა ჰქონდა, გარდა დედობისა. ამდენად, მის ამ გრძნობას სხვა განცდა არ უწევდა მეტოქეობას. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ სწევდა დედის ღირსებას დაბლა, პირიქით...



ერლომი და მისი შვილიშვილი

— საქართველოში ქალი ყოველთვის მამაკაცზე მაღლა იდგა. ამიტომ, ემანსიპაცია მიუღებელია ჩვენთვის. რა საჭიროა გათანაბრება?! სამწუხაროდ, ჩვენი ქალები ჩამდგილ მეომრებს დაემსგავსნენ დღეს, — წუხს ბატონი ერლომი.

სკოლის დამთავრების შემდეგ მან უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ რუსეთიდან ჩამოსული მავანისა და მავანის „წყალობით“ ირანის ისტორიის ჯგუფი გაუქმდა და ბატონმა ერლომმა აღმოსავლეთმცოდნეობის ნაცვლად, ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა 1957 წელს.

იმ პერიოდში ერლომის სულიერ წყობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა გურამ რჩეულიშვილთან მეგობრ-

ობამ. ახლაც სხვანაირი სიყვარულით იხსენებს და გურამის ხასიათის ერთ შტრიხს აღნიშნავს; — იგი ყოველთვის იმაზე უკეთესად ალგვიქვამდა, ვიდრე ვიყავით და ეგ თვისება მის მეგობრებს ძალიან გვეხმარებოდა ნაკლის გამოსწორებაში, სტიმულს გვაძლევდა, რომ უკეთესები ვყოფილიყავით.

ბატონმა ერლომმა სწორედ იმ დროს დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა — წერდა მოთხრობებს, რამდენიმე გამოქვეყნდა კიდეც „მნათობში". გურამის დალუპვასთან ერთად, თითქოს დასრულდა ყველაფერი... შემდეგ გაჩნდა ახალი სამყარო — კინო. დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სასცენარო კურსები და მას შემდეგ კინოში მუშაობს. თუმცა არც მხატვრული ლიტერატურისათვის მიუნებებია თავი და ამჟამად, ამ მხრივაც, ჩვენთვის გაუმჟღავნებელი ჩანაფიქრი აქვს.

ერთი რამ მაინც გაგვიმხილა ბატონმა ერლომმა, თანაც მისივე სიტყვებით ისეთი, ყველა სხვა ჩანაფიქრს რომ გადასწონის, ეს არის აღზრდის საქმე. სურვილი აქვს, შექმნას სრულიად სხვაგვარი სკოლა. მაგალითად, უპატრონო ბავშვებისათვის. მათთვის ხომ არსებობს სახელმწიფო ხარჯები და თუნდაც მის მატერიალურ ბაზაზე. ეს სკოლა აუცილებლად უნდა იყოს სოფელში. თუ ბავშვი მიწასთან არ არის დაკავშირებული, ის ქართველად ვერ გაიზრდება. უნდა აღვზარდოთ მიწათმოქმედი ადამიანი. სწორედ მისგან გამოვა შემდეგში კარგი ინჟინერი, მეცნიერი და სხვა. ამასთანავე, ჩვენ უნდა აღვზარდოთ თითო ბავშვი, რადგან ყოველი მათგანი ერთადერთია და განუმეორებელი. აღზრდაში მთავარი შეცდომა ის არის, რომ ნივთებში ვცვლით ხოლმე ადამიანურ, ცოცხალ ურთიერთობებს. რა მნიშვნელობა აქვს, რა იქნება ეს — კომპიუტერი თუ სხვა რამ. მოფერება, თანაგრძნობა, პატივება, მეგობრობა — აი, ამგვარი ღირებულებები უნდა ვასწავლოთ ბავშვებს და ყოველივე ამას უფრო მეტი დრო უნდა დავუთმოთ, ვიდრე რომელიმე ფორმულას ან ლექსს.

შემდეგ კვლავ „პაპა სერგოს" იხსენებს ბატონი ერლომი. მოხუცებულობაში სინათლე რომ [illegible], ხმაზე ცნობდა თავის ყოფილ მოსწავლეებსო. დღეს კი ასეთი, შეიძლება ითქვას, არამეცნიერული, მაგრამ უფრო ზნეობრივი ფასეულობები დაიკარგა. ჩვენ იმ თაობის მხოლოდღა ნამსხვრევები ვართ, — დანანებით ამბობს ბატონი ერლომი.

ხომ ყველანი მივისწრაფვით თავისუფლებისაკენ... ნამდვილი თავისუფლება კი, ერლომ ახვლედიანის აზრით, ცოდვისგან განთავისუფლებაა.

მთელი საუბრის მანძილზე არსად არ გაწყვეტილა ბატონი ერლომის ფიქრის ძაფი მამასთან — სერგო ახვლედიანთან და ამავე დროს შვილებთან — ანასა და ბაქართან.

— შეუმჩნეველი ხალხია ჩემი იდეალი. ყოველდღე წესიერად იცხოვრო და ამის საზღაური არ მოითხოვო, ეს არის გმირობა. მამა თავის ღვაწლს ფასს არ ადებდა. მას ყოველთვის სჯეროდა და ჩვენც მინდა გვჯეროდეს; „არა არს დაფარული, რომელი არა გამოსცხადნეს"

**რუსუდან გაგროშვილი**

## ტესტი

# მამაკაცებო, როგორები ხართ შინ?

ეს ტესტი, თუმცა გასართობია, მაგრამ შეიძლება დაეხმაროს მამაკაცებს, უკეთესად შეიცნონ თავიანთი ადგილი ოჯახში.

1. აკეთებთ თუ არა თვითონ დილის საუზმეს? (დიახ — 3 ქულა, არა — 1)

2. ხდება თუ არა ისე, რომ დასვენების დღეებში თქვენ ამზადებთ საჭმელს? (დიახ — 3 ქულა, არა — 1)

3. დასვენების დღეებში ეხმარებით თუ არა თქვენს მეუღლეს სურსათის ყიდვაში? (დიახ — 3 ქულა, იშვიათად — 2, არა — 1)

4. შედის თუ არა თქვენს მოვალეობაში მოამარაგოთ ოჯახში კარტოფილი (დიახ — 3 ქულა, იშვიათად — 2, არა — 1)

5. სახლის გენერალურ დალაგებაში ეხმარებით თუ არა ცოლს? (დიახ — 3 ქულა, იშვიათად — 2, არა — 1)

6 შეგიძლიათ თუ არა მოაწყოთ სამზარეულო იმ ნივთებით, რომლებიც გაგიადვილებთ შრომას? (დიახ — 3 ქულა, არა — 1)

7. დადიხართ თუ არა მშობელთა კრებაზე სკოლაში ან საბავშვო ბაღში, როდესაც ცოლს არ სცალია? (დიახ — 3 ქულა, არა — 1)

8. სახლში საცობები გადაიწვა. შეგიძლიათ გააკეთოთ? (დიახ — 3 ქულა, არა — 1)

9. გაღიზიანებთ თუ არა, რომ მეუღლე საპარიკმახეროში მიდის, თქვენ კი სახლში რჩებით საჭმლის მოსამზადებლად? (დიახ — 1 ქულა, იშვიათად — 2, არა — 3)

10. ბრაზდებით თუ არა, როცა მეუღლე სამსახურიდან გვიან ბრუნდება სახლში? (დიახ — 1 ქულა, არა — 3)

**ახლა კი შევკრიბოთ ქულები:**

26-30 ქულა. თქვენს ცოლს გაუმართლა: სახლში შეუცვლელი ხართ. თქვენი შრომა დაფასდება ცოლის კარგი განწყობილებითა და მადლიერებით.

16-25 ქულა. საოჯახო საქმეებში თქვენი წვლილი დიდი არ არის. კარგად მიადევნეთ თვალი ცოლის საქმიანობას და დაინახავთ, რამდენის გაკეთება შეგიძლიათ პირადად თქვენ.

10-15 ქულა. თქვენ პრაქტიკულად არ ეხმარებით მეუღლეს და მოსიყვარულე ქმარი კი არა ხართ, არამედ საშინაო საქმეების ფირმის „მეუღლეს" კლიენტი.

# სახარება ყმაწვილთათვის



● ტაძარში, მასწავლებელთა შორის ზის იესო

## იესო ქრისტეს ყრმობა

იესო ქრისტეს ბავშვობაზე სახარებაში არაფერია მოთხრობილი, ნათქვამია მხოლოდ, რომ იგი ნაზარეთში ცხოვრობდა დედასა და იოსებთან ერთად და მათი დამჯერე იყო.

ლუკა მახარებელი გვიყვება მხოლოდ ერთი შემთხვევის შესახებ ქრისტეს ბავშვობის წლებიდან:

პასექის დღესასწაულს წმინდა ოჯახი ყოველ წელს იერუსალიმში ატარებდა. ქრისტე, რომელიც იმ დროს თორმეტი წლისა იყო, ერთხელ ბრბოში ჩამორჩა მარიამსა და იოსებს და მათ მხოლოდ დიდი ხნის ძებნის შემდეგ იპოვეს იგი ტაძარში. იგი ბრძენ კაცებსა და მწიგნობრებს შორის იჯდა, უსმენდა მათ მეცნიერულ საუბრებს, უსვამდა კითხვებს და პასუხობდა მათ შეკითხვებზე, ისე რომ ყველანი განცვიფრებულნი იყვნენ მისი ჭკუითა და გონებით.

## იოანე ნათლისმცემელი

იოანე, ზაქარიასა და ელისაბედის ვაჟი, ჯერ კიდევ ჭაბუკობისას წავიდა უდაბნოში, სადაც დროს ლოცვაში ატარებდა. იგი აქლემის ბეწვის უხეშ ტანსაცმელს იცვამდა და იკვებებოდა იმით, რასაც უნაყოფო უდაბნოში იპოვიდა.

როდესაც მას ოცდაათი წელი შეუსრულდა, მდინარე იორდანეს ნაპირას მივიდა და ქადაგება დაიწყო: „მოინანიეთ! მოგვიახლოვდა სასუფეველი უფლისა!“ იგი ისეთი რწმენით ლაპარაკობდა, რომ ყოველი მხრიდან მოიყარა ხალხმა თავი მის მოსასმენად.

მრავალი ეკითხებოდა მას: „როგორ მოვიქცეთ?“ იგი პასუხობდა: „ვისაც ორი ზელი ტანსაცმელი აქვს, ერთი მისცეს იმას, ვისაც არა აქვს. ვისაც ბევრი საჭმელი აქვს, ნახევარი მისცეს იმას, ვინც მშიერია“.

მასთან მისულ გადასახადის ამკრებებს ეუბნებოდა: „არავის არ გამოართვათ ზედმეტი“, ხოლო გუშაგ ჯარისკაცებს: „არ აწყენინოთ არავის“.

მათ, ვინც აღიარებდა თავის ცოდვებს,



● იოანე წინასწარმეტყველი მოუწოდებს მოემზადონ მხსნელის შეხვედრისათვის

იოანე მდინარე იორდანეში ნათლავდა, ცოდვებისაგან განწმენდის ნიშნად.

ზოგიერთები, რომლებიც ხედავდნენ, თუ როგორ წმინდად ცხოვრობდა იოანე და ყურს უგდებდნენ მის ქადაგებას, ფიქრობდნენ, რომ იგი იყო მესია ქრისტე, მხსნელი, რომლის გამოცხადება ნაწინასწარმეტყველები იყო მრავალი წინასწარმეტყველის მიერ. მაგრამ იგი ყველას ეუბნებოდა: „არა, მე არა ვარ ქრისტე. მე მხოლოდ მისი გამოცხადებისათვის გამზადებთ თქვენ“.

# გურამის ბედისწერა





გურამ თიკანაძე — ქართული მხატვრული ფოტოხელოვნების ფუძემდებელი, მისი საქვეყნოდ ცნობილი ნამუშევრები — „ტკბილი ნესვი", „შემოდგომის ნატურმორტი", „მარწყვიც დამწიფდა", „შემოდგომა თრუსოს ხეობაში", „აისი მთაში"... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

პროფესიით ინჟინერ-გეოლოგი — მღვიმეთმცოდნე, ხელოვნური გამოქვაბულების მკვლევარი, ალპინისტი — ორმოცამდე მწვერვალი დაიპყრო: მყინვარწვერი და შტავლერი, უშბა და შხელდი, თეთნულდი და შხარა... ნამყოფი იყო ცადაზიდულ პამირზეც...

წერდა მშვენიერ ფოტომოთხრობებს.

კრივში პირველი თანრიგი ჰქონდა... მოცალეობისას გიტარაზე უკრავდა, მღეროდა შესანიშნავად.

ლამაზი იყო, ვაჟკაცურად ლამაზი — მაღალი, აშოლტილი, სწორი ბეჭებით, გაშლილი მხრებით, ლურჯი სუფთა თვალებით. გოგოებს მის დანახვაზე ელეთმელეთი მოსდიოდათ.

და უპირველესად კაი ყმა — ჭკვიანი, ნიჭიერი, განათლებული, ბავშვივით ჩვილი გულითა და ვაჟკაცური შემართებით.

30 წლისა დაიღუპა — 1963 წლის 27 აგვისტოს, შხარიდან დაშვებისას.



გურამის დედას ქალბატონ ტატიანას შინ ვეწვიეთ. — ხწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო გურამის დედა — ტანმაღალი, კეთილშობილი გარეგნობის, ძალზე თბილი და მოხიყვარული, თავმდაბალი:

„რა გააკეთა ჩემმა ბიჭმა ისეთი, ამდენს რომ წერენ"...

მაგიდაზე აწყვია მაგარყდიანი ალბომები — ერთი კვირა მაინც გინდა, გულდასმით რომ დაათვალიერო. კედლებზე გურამის ნამუშევრები ჰკიდია, კარადაში გურამის ხელშენავლები წიგნები აწყვია — აქ გურამის სული ტრიალებს... ალბომებს ვათვალიერებ — გურამი ბავშვობაში, დიდობაში, შვილთან ერთად... მერე კვლავ მისი ნამუშევრები... მინდა ჟურნალისთვის ხურათები შევარჩიო, ძალზე ძნელია — ყველა ისეთი კარგია... პატარა გურამი დედიკოს ჩახუტებია — იქნებ ეს? — არა; ეს — გურამი დაიკოსთან, ან გურამი — მეგობრებთან? თავის შვილთან, გურამი მწვერვალზე, გურამი — გიტარით ხელში, გურამი —





სადაცაა აუზში გადახტება, ულამაზესი ყვავილი ნაქანდაკარს უგავს.

„ჩემი ბიჭი, ჩემი ბიჭი... რამდენი რამის გაკეთება ვერ მოასწრო. 15 ათასი ნეგატივი დარჩა. ლიტერატურის მუზეუმს ჩავაბარე — მთლა შირდებოდა. გაფრთხილება, უნიკალურად შეფასდა, ფასიც ვერ დაადეს. ჩვენ მის ნამდვილ ფასს ვერ გადაგიხდითო. ძლივს შემომბედეს. არც მომითხოვია. 300 000 მანეთი გამოყვეს ხვანეთში გურამის სახლის დასამთავრებლად, ვერ მოასწრეს. მას მერე რამდენი წელიწადი გავიდა, იმ სახლ-მუზეუმს, ხვანებმა რომ აუშენეს გურამს ლატალში, ბევრი რამ ხჭირდება, მაგრამ ახლა მაგის დრო არ არის, სული რომ მოვითქვამთ, მერე..."

„...ერთი დიდი ალბომი ჰქონდა ჩემს ბიჭს, ახალ-ახალ რეცეპტებს იგონებდა ფერადი ფოტოებისათვის და ყველაფერს იმ ალბომში იწერდა. კარადაში გვქონდა ფოტოწამლებთან ერთად. წამლები აფეთქდა და ალბომიც დაიწვა. რომ გადარჩენილიყო, ალბათ სამაგიდო წიგნი იქნებოდა ფოტოხელოვანთათვის."

„მართლა კარგი ბიჭი მყავდა. ისეთი იყო, გვინდოდა, არ გვინდოდა, მისი შემხედვარე, ჩვენც კარგები უნდა ვყოფილიყავით. ბავშვობიდანვე მეტად მგრძნობიარე, არაფერს არ მოითხოვდა ზედმეტს, რასაც ვუიდულობდით, იმას ჯერდებოდა, უფრო ხშირად ხპორტული ტანსაცმელი ეცვა. სუფთა კრიალა ბიჭი იყო.

მოგეხსენებათ ის ავბედითი წლები. ჩემი მეუღლე რამდენჯერმე დააპატიმრეს. მე ვმუშაობდი, ბავშვები შინ მარტო რჩებოდნენ. ათი წლისა იყო გურამი, რომ ამიხირდა, მიყიდე ფოტოაპარატიო. ვუყიდე — სახლში გაერთობა, გარეთ არ ირბენს-მეთქი, მეშინოდა, ცუდ გზას არ დადგომოდა. გაგიგონია? — თურმე საერთოდ არ ჩერდება სახლში, პიონერთა სასახლეში დადის, ფოტოწრეში ჩაწერილა. მის ხელმძღვანელს მივაკითხე. ძალზე მიქო გურამი. მეც დავმშვიდდი. მერე ვახტანგ ესვანჯიამ შიამბო: ბახმაროში რომ ვისვენებდი, პატარა გურამი სულ კუდში დამდევდა ჩემი ფოტოაპარატის ეშხით (გურამი მამიდასთან ერთად ისვენებდა). ერთხელ მზის ამოსვლა უნდა გვენახა. გურამმა მთხოვა, წამიყვანეთო, დედის ნებართვის გარეშე ვერ წაგიყვან-მეთქი. მომიყვანა ლამაზი ქალი, დედაჩემიაო და იმ ქალმა ნება დამრთო, წაიყვანეთო. კარგახანს თქვენ მეგონეთ ის ქალი, — მითხრა ხიცილით ვახტანგმა.

ტყუილი არ უყვარდა, მაგრამ ხანდახან იცოდა ასეთი კეთილი ტყუილები, მე რომ არ შევშფოთებულიყავი.

კრივზე ისე დაიწყო სიარული, ჩემთვის არც უთქვამს. ერთხელ ჩემს მეგობართან ერთად კინოში წავედი. „მერვე რაუნდს" ვუყურეთ. უცებ თავში გამიელვა, გურამი ჩვენს დიდ ღუმელს სულ რომ მუშტებს ურტყამს, კრივზე ხომ არ დადის-მეთქი, ჩემს ქალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილს ვკითხე — ბლოკნოტში ყველაფერი უწერია, სად და როდის დადისო, ჩავხედე ბლოკნოტს და ყველაფერი შევიტყვე. მწვრთნელს მივაკითხე, — მშობლების გარეშე როგორ მიიღეთ ბავშვი-მეთქი. მაჩვენა ვითომდა ჩემი დაწერილი ნებართვა. ხმა ვეღარ ამოვიღე. გამოსვლისთანავე დავინახე გაწითლებული გურამი (უბრალო რამეზე რომ წითლდებოდა), მორცხვად წამომყვა. გზაში შემეხვეწა, მაშინ დასასვენებლად გამიშვი ბათუმშიო. შემეცოდა და დავთანხმდი. თურმე კრივში ჰქონიათ შეჯიბრი, კიდეც გაუმარჯვია და კოსტუმითაც დაუჯილდოებიათ. მერე მიყვებოდა, ის კოსტუმი ბიჭებმა გავყიდეთ და დავამღერეთო. აი, ასეთი ტყუილები იცოდა, კეთილი ტყუილები“.

„გურამი ჩემი მეგობარი იყო, დედის მოსიყვარულე ბიჭი. სხვა ისეთი მეგობარი არც მყოლია — არც ქმარი, არც არავინ. უსიტყვოდ მიგებდა. უყვარდა მოხმარება. როცა ეცალა, სადილს ერთად ვამზადებდით! გეოლოგიურზე შენი ხათრით ჩავაბარეო, მეუბნებოდა (არ მინდოდა, ჯარში წავეყვანათ, მაშინ გეოლოგიურიდან არ მიჰყავდათ). დიპლომს რომ ავიღებ, შენ მოგიტანო. არ უყვარდა მღვიმეებში მუშაობა, ცასთან ახლოს უნდოდა ყოფნა. ერთხელ დაფიქრებულმა მითხრა: რა ვქნა, არ ვიცი, რომელ გზას დავადგეო. მე ვუთხარი, რომელი საქმეც გიყვარს, იმ გზას-მეთქი. ფოტოხელოვნებამ ძალიან გაიტაცა. რედაქციები ბევრ დავალებას აძლევდნენ, მაგრამ ყველას არ აკეთებდა. განწყობის გარეშე მუშაობა არ შეეძლო. ხშირად ისეთ რამეს გადაიღებდა, ყურადღებას რომ არც მიაქცევდი. იმის თვალი ჩვენთვის შეუმჩნეველ სილამაზეს ხედავდა. ბავშვივით უხაროდა, საზღვარგარეთის ჟურნალები მის ფოტოებს რომ ბეჭდავდნენ. საერთაშორისო გამოფენაშიც მიიღო მონაწილეობა. საპატიო ჯილდოები გადასცეს“...

„...ეჰ, მოგიკვდეს დედა, შვილო, როგორ მოწონდა ყველას. ერთხელ სამსახურში მოვიდა ჩემთან. ქალებს მოეწონათ, გაგიჟდნენ, რა ბიჭი გყოლიაო. მერე ჩემს უფროსთან წვეულებაზეც გვყავდა. მეამაყებოდა, რომ მიქებდნენ. თვითონ სულ წითლდებოდა“.

„...როგორ უხაროდა სვანეთში წასვლა. ხელცარიელი არასოდეს წავიდოდა — ბავშვებისათვის ყიდულობდა ტანსაცმელს, წიგნებს, სათამაშოებს. სულ უკან დასდევდნენ სვანი ბავშვები. როცა გურამი დაიღუპა, ერთი პატარა ბიჭი თურმე გულამოსკვნილი ტიროდა, რომ კითხეს, რა გატირებსო, მეგობარი დამეღუპაო, უპასუხნია. აი, ასეთი იყო — დიდთან დიდი, პატარასთან — პატარა. რამდენი კეთილი საქმე გაუკეთებია, არც არაფერს ამბობდა, მერე მიყვებოდნენ მისით მადლიერები...“

„დაღუპვის წინა დღეებში ძალიან გალიზიანებული დადიოდა. ბათუ კრავეიშვილს ვთხოვე (მათ ოჯახთან ვმეგობრობდით), სად მიდის, ნუ მიდის-მეთქი. ნუ გეშინია, მუზეუმის გასაფორმებლად მიდისო.

თურმე ალექსანდრა ჯაფარიძეს უგზავნიდა დეპეშებს, ნება დაგვრთე, შხარაზე ავიდეთო. ალექსანდრამ, იმდენად მიყვარდა, ნება მივეციო. მაშინ ნავარჯიშევი არ იყო, ცოტაც გახუქდა“...

„გურამის ხახლის გახსნაზე რომ ჩავედი ლატალში, ხვანები გურამს იფიცებდნენ. ახლაც ასეა. ჩემ გურამს ძალიან უყვარდა ისინი.

უცბად იცოდა დამეგობრება, ყველას უწყობდა ხახიათს, ჯიუტი არ იყო. უამრავი მეგობარი ყავდა, კარგი ბიჭები, ბევრი მათგანი ახლა ცოცხალი აღარ არის. მისი სიკვდილის შემდეგ ხშირად მოდიოდნენ ბიჭები ჩემთან. განა მარტო ისინი... ახლაც მოდიან გურამის თაყვანისმცემლები. ისევ ცოცხალია ჩემი ბიჭი, ისევ მეხმარება...“

„...მესიზმრება ხოლმე. პირველად როცა მესიზმრა, ახალი დაღუპული იყო, დედა, დედა! — თითქოს საშველად მეძახდა, ისე, როგორც იცოდა. როგორც კი გამომეღვიძა, იმ წუთში ავედი სასაფლაოზე. ადრიანი დილა იყო. საფლავი ჩაწეულიყო. ხელებით მოვასწორე..

მეორედ დამესიზმრა. ვითომ გამომცემლობა „მერანის“ კიბის ბაქანზე იჯდა დაფიქრებული. მერე იქ მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

როცა კი გურამი დამესიზმრება, აუცილებლად ამიხდება ხოლმე“...

გ

12 სექტემბერია — გურამის დაბადების დღე. 58-ის იქნებოდა ახლა. ძნელი წარმოსადგენია ხანდაზმული გურამი. მზიანი, მყუდრო დღეა. მის საფლავთან ახლობლებს მოუყრიათ თავი. მე ქალბატონ ტატიანასთან ერთად მოვედი. სულ ერთი ფეხით გაგვასწრო იამ — გურამის ქალიშვილმა, შვილთან ერთად ყოფილიყო, ბიჭუნას ეტირნა და ბებიას ველარ მოუცადა.

გურამის დედა ათრთოლებული ხელებით სანთლებს ანთებს... ყვავილები შვენის გრანიტის ფილას. როგორი გარინდება იცის სასაფლაომ, თავთით დარგული ტირიფიც არ შრიალებს, ეს არის, ტირის და ტირის ჩუმად, ისე, როგორც გურამის დედა...

გურამ. ბიჭო, სადა ხარ?!

...კვლავ ამაყად დგას შხარა — გურამის ბედისწერა, თეთრად და ზვიადად იმზირება. ახევე გამოიყურება გურამის ფოტოზეც.

რატომ შეიწირე შენი მოთაყვანე ბიჭი, შხარავ? .

მანანა ზარიძე

# როგორი ქალი მოგწონთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი კითხვით მიმართა ჟურნალმა „კოსმოპოლიტან“-მა რამდენიმე პოპულარულ მამაკაცს. აი, მათი

## პასუხები:

**ტომ კრუზი** (მსახიობი): „ქალი, რომელიც ყველანაირ გარემოცვაში თავისუფლად გრძნობს თავს. მომწონს ინტელიგენტი და გამომგონებელი ქალები. ქალს თავის მსოფლმხედველობა უნდა ჰქონდეს და ბრმად არაფერში გეთანხმებოდეს. ჩემი მეუღლე ნიკოლ კიდმანი ყველა ამ თვისებითაა შემკული“.

**სტინგი** (მომღერალი). „სილამაზე და ჭკუა. აი, იდეალური კომბინაცია. იდეალურ ქალში რომ ენდა იყოს გაერთიანებული, სხვა დანარჩენი მეორე ხარისხოვანია“.

**სილვესტერ სტალონე** (მსახიობი): „ქალში ერთგულებას ვაფასებ. ის არ უნდა ძველმოდურად ჟღერდეს. ქალს იმდენად უნდა ენდობოდე, რომ ხანდახან მასზეც კი უნდა იყო დამოკიდებული. ეს არის სიყვარულის ჩემეული იდეალი. ალბათ, მეტისმეტად ამაღელვებლად ვლაპარაკობ?“.

**მიხეილ ბარიშნიკოვი** (მოცეკვავე). „ყოველ ქალში პოეტივით მის ქალურ საიდუმლოს ვეძებ. კაცის გულში ყოველთვის უნდა იყოს ადგილი ქალისთვის. მეც მათთვის ვცეკვავ“.

**ჯეკ ნიკოლსონი** (მსახიობი). „მე ყველანაირი ქალი მომწონს და დიდ პატივს ვცემ ყოველ მათგანს. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, როცა ქალური ბუნების საიდუმლოებას ჩავწვდები.

**ომარ შერიფი** (მსახიობი): „ვაფასებ ქალს, რომელიც გაიგებს და შეეგუება ჩემს ბუნებას. საშინელი ეგოისტი ვარ და დიდხანს სიყვარული არ შემიძლია, როცა მიყვარს, ყველაფერს ვაკეთებ მისთვის. მაგრამ დგება დღე, სიყვარული ქრება და მეც ვქრები მასთან ერთად“.



# შიბი-ანი ქსოვა



შიბიანი ქსოვა (დაშიბვა) მთის ხალხის, კერძოდ, ფშაველების უძველესი ხელოვნებაა. დღესაც გაოცებას იწვევს ფშაველ წინაპართა ნახელავი: დაშიბული წინდები თუ საფუხრები, ხელთათმანები, და რაოდენ სამწუხაროა, რომ თანდათან დავიწყებას ეძლევა იგი.

სამწუხაროდ, დამკვიდრდა აზრი, რომ შიბით ქსოვა არამოდურია. სხვაგვარად უდგებიან ამ საკითხს სკანდინავიელი თუ ევროპელი ქალები. ისინი მოხდენილად უსადაგებენ თანამედროვე მოდას ძველი, ეროვნული ხელგარჯილობის სახეებს: ქარგვას, ქსოვას. ვერ გადაშლით მოდების უცხოურ ჟურნალს, რომ სადღაც ეროვნულმა ორნამენტებმა არ გაიელვონ. ჩვენ კი, ქართველებმა სრულიად დავივიწყეთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ხელგარჯილობა. მსოფლიოში არცერთი ეროვნული ქსოვა არ შეედრება და ანალოგი არ მოეპოვება ფშაურ შიბს.

შიბის გამოყვანის ტექნიკა მარტივია. იგი წააგავს ორნამენტებით ქსოვას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ორნამენტები იქსოვება სხვადასხვა ფერის ძაფებით წალმა თვლების გამოყვანით, შიბი კი შემდეგნაირად იქსოვება: ძირითადი ფერის ძაფით (მთის ხალხი ძირითად ფერად მხოლოდ შავს არჩევდა, შავ ფონზე გამოჰყავდათ ფერად-ფერადი ნახჭები) თვლები სულ წალმა უნდა ამოვიყვანოთ (წინდურად). ფერადი ნახჭის ამოქსოვა ხდება წალმა თვლებზე ფერადი ძაფის შემოხვევით. ეს კი ასე კეთდება: ძირითად ძაფს წააბამთ მოკლე ფერად ძაფს (საშიბავ ძაფს), სანამ წალმა თვალს გამოქსოვთ, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს გამოსდებთ ფერად ძაფს, შემოიხვევთ თითზე და გადაჯვარედინებულად გადააცმევთ მარცხენა ჩხირზე ისე, რომ პირველი თვალი მის რკალში მოხვდეს. გამოქსოვთ ერთ თვალს წალმა, გადაიტანთ მარჯვენა ჩხირზე და ფერად ძაფს გამოსწევთ, მოჭიმავთ, ძაფი აღმოჩნდება გადაქსოვილი თვალის ფუძეზე შემოხვეული, შემოჭდობილი. ასე გააგრძელებთ ქსოვას თვლების იმ რაოდენობით და ფერების იმ მონაცვლეობით, როგორც ნახჭის ნიმუშები გიჩვენებთ. შიბიანი ქსოვისას რაიმე ნიმუში (ნახატი ან ნაქსოვი) უნდა გედოთ წინ. იგი ზეპირად არ იქსოვება.

შიბიანი ქსოვა იმდენად რთული არ არის, რამდენადაც შრომატევადია და გულისყურით, დაკვირვებით საქსოვი. დ შიბულს ძირითადად წინდებს ქსოვდნენ წინათ.

ბოლო წლებში ერთგვარ ბუმად იქცა მთიელთა ნაქსოვებით გატაცება. ზამთარში ბაკურიანსა თუ გუდაურში ჩვენი გოგო-ბიჭები თავს იწონებენ დაშიბული წინდებითა თუ პაჭიჭებით.

აბა დააკვირდით ამ სურათზე მოცემულ ნიმუშებს, რითია ნაკლები სხვათა და სხვათა ეროვნულ ხატოვან ნაქსოვებზე?

ახლა ჯერი თქვენს ფანტაზიასა და გემოვნებაზეა, ქართველო ქალებო. გავაცოცხლოთ ჩვენი მდიდარი ხალხური ხელგარჯილობა, მივუსადაგოთ იგი ჩვენს დღევანდელ მოდურ ჩაცმულობას, ჩავრთოთ ჩვენს ყოფიერებაში. რაღა სხვებს დავესესხოთ, სამადლო რა გვჭირს. უცხოეთიდან შემოჭრილი უსახური აბსტრაქტული ქსოვა რითაა უკეთესი, თუნდაც აი, ამ ეთნიკურ მოტივებზე, რომლებსაც აქ გთავაზობთ.

**ლატავრა თეთრაული**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავარ ლომაძის ფოტო

# თქვენი სამკაულის ძვირფასი თვლები

**ძვირფასო მკითხველო, გავითვალისწინეთ რა თქვენი ინტერესი ძვირფასი ქვების (მინერალების) — ფირუზის, გიშერის, მარგალიტის ირგვლივ, გავესაუბრეთ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგეს, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ნიკო ხეირბლაძეს.**





— ბატონო ნიკო, თუ შეიძლება გვესაუბრეთ ქართულ სამკაულებში ისეთ პოპულარულ ქვებზე, როგორიცაა ფირუზი, გიშერი, მარგალიტი.

**— ფირუზი გამარჯვებისა და ბედნიერების ქვად არის ცნობილი. სახელწოდება ფირუზი სპარსულია და გამარჯვებას ან გამარჯვებულს ნიშნავს. ვფიქრობ, ეს მომენტიც განსაზღვრავს ძუდაძ ბრძოლაში მყოფი, გამარჯვებას დანატრებულ ქართველთა სიყვარულსა და პატივისცემას ამ მინერალისადმი. ფირუზის ქვით დაინტერესებული პირი მოიხიბლება იმ უმდიდრესი კოლექციით, რომელიც აქვს ჩვენს თანამედროვეს, ხომეხთა სულიერი ცხოვრების წინამძღვარს, კათოლიკოს ვაზგენს.**

საქართველოში ფირუზის საბადო ცნობილი არ ყოფილა. ეს მინერალი შემოჰქონდათ ჩრდილოეთ სპარსეთიდან. მაგრამ ქართულ საიუველირო ხელოვნებაში ფირუზი (ანუ ფეროზი) ძველთაგანვე რჩეული ქვა იყო.

— რამდენი ფერის ფირუზი არსებობს და დამოკიდებულია თუ არა ხარისხი ფერზე?

**— იგი მრავალნაირი შეფერილობისაა: ცისფერი, მტრედისფერი, მომწვანო და ძალიან მკრთალი შეფერილიც. შეფერვის ინტენსივობას განაპირობებს მასში შემავალი სპილენძის რაოდენობა. რაც მეტია ეს უკანასკნელი, მით მუქადაა შეფერილი მინერალი. ზოგჯერ ფირუზში შემავალ ალუმინს რკინა ენაცვლება. ამ გზით წარმოქმნილი რკინის ჰიდროჟანგის ძარღვები ობობას ქსელს მოგვაგონებს. რითაც მეტად ლამაზი ფაქტურა იქმნება.**

ფირუზისაგან განსხვავებით საქართველოს მოსახლეობა უძველესი დროიდან აწარმოებდა გიშერის მოპოვებას და დამუშავებას. გიშერი მურაქვანახშირების ლიგნიტის რიგს მიეკუთვნება. დანით ადვილად იჭრება. იხერხება და პრიალდება.

— აკადემიკოსი ა. ფერსმანი ქართულ სახელწოდება „გიშერს" სომხურ სიტყვა „გეშირ" — (ღამე). უკავშირებს. თქვენ რა აზრისა ბრძანდებით?

— გიშერს ქუთაისში შავ ქარვას ეძახიან. ქართულ ენაზე გიშრის სახელწოდებაა სათი. რუსთაველიც ხმარობს ამ სიტყვას. „ვარდმა ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა". —

გიშრის საბადოების არსებობა მითითებულია ძირითადად ოკრიბაში (ქუთაისთან, ტყიბულთან) სოხუმის მახლობლადაც, თბილისის მიდამოებში, ცივგომბორის ქედში, საგურამოსთან ახლოს, ბურიანში, სართიჭალაში და სხვაგან.

ქართველები გიშრისაგან დამზადებულ სამ-



კაულებს — მძივებს, საყურეებს, კრიალოსნებს, მუნშტუკებს, სავარცხლებს უხვად აწვდიდნენ მეზობლად მცხოვრებ ხალხებს. ცნობილია ისიც, რომ გიშრით ამკობდნენ მეფის გვირგვინებს.

ქართველი ოსტატები ახალმოპოვებულ გიშერს წლების განმავლობაში ინახავდნენ წყალში, გარემოსთან შეგუების მიზნით. ასე გამოყვანილი გიშერი ადვილად არ იბზარებოდა და მისგან დამზადებული ესა თუ ის სამკაული განსაკუთრებული ხარისხისა იყო. გიშერზე, ისე როგორც ფირუზზე, არსებობს ხალხური შეხედულება, რომ მას შეუძლია ავი თვალისგან ადამიანის დაცვა.

— ფირუზი და გიშერი განსხვავებული მინერალებია, მაგრამ საერთო ისა აქვთ, რომ მიწის წიაღის შვილებია. სხვა ქვაა მარგალიტი...

**— მარგალიტი ყველაზე უცნაური ქმნილება ბუნებრივ ქვებს შორის და მიეკუთვნება პირველი რიგის ძვირფას ქვებს. ქიმიური შემადგენლობით ის არის კარბონატი, რომელიც არაგონიტად იწოდება.**

**ხვადასხვა ქვეყნებში მოპოვებული მარგალიტი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ფერით, ახევე სილამაზით და ელვარებით. არსებობს მარგალიტი თეთრი, ვარდისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი და შავიც კი.**

— საქართველოში მარგალიტი უყვართ, მაგრამ ვრცელდება უცნაური მითქმა-მოთქმა, თითქოს ქვა დაავადების მატარებელია.

**— საქართველოში მარგალიტი ხპარსეთიდან შემოჰქონდათ. ქართველების სიყვარული და პატივისცემა ამ ქვისადმი უდიდესია. ქართული ხატები და ჯვრები უმეტესწილად მარგალიტით არის შემკული. ძველ და ახალ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში უხვად მოიპოვება ეპითეტები, სადაც მარგალიტი მოხსენებულია, როგორც სილამაზისა და სიმშვენიერის სიმბოლო. ქართველები მარგალიტს გამოჰყოფდნენ სხვა ქვებისაგან და მას „თვალმარგალიტს“ უწოდებდნენ.**

**მარგალიტი ნაზი ქვაა. ორგანული ნივთიერების შემცველობის გამო იგი დროთა განმავლობაში შრება, უფერულდება, კარგავს მიმზიდველობას და შეიძლება მტვრადაც იქცეს. მარგალიტი 300 წლამდე ცოცხლობს, თუმცა არქეოლოგები გამონაკლის შემთხვევებსაც აწყდებიან. აღსანიშნავია პომპეის გათხრების დროს ნაპოვნი ქალის ჩონჩხი მარგალიტის საყურეებით.**

**მარგალიტი ადვილად იშლება მჟავით, ტუტით, საპნიანი წყლის მოქმედებით, ასევე გახურებითა და ძლიერი გაცივებით. ის კარგად ინახება ტანსაცმელზე...**

**მკითხველთა საყურადღებოდ გვინდა ვთქვათ, რომ მცდარია აზრი, თითქოს მარგალიტის მძივებს შეუძლია ზიანი მიაყენოს ქალის ორგანიზმს. როგორც „კალმახობის“ ავტორი გვამცნობს, ევროპელებს ალმას-ბრილიანტი უყვართ, აზიელებს წითელი იაგუნდი, მარგალიტი კი ის ქვაა, რომელსაც დიდი პატივი აქვს ევროპაშიც და აზიაშიც.**

გულნარა სტურუა

ელენა კოლაროვა

# ფრანგი ქალები

თითქმის ერთი წლის განმავლობაში საშუალება მქონდა დავკვირვებოდი ფრანგების ცხოვრებას, განსაკუთრებით — ქალებისას.

ჩემი დაკვირვებანი დაკავშირებულია თანამედროვე რიგით ფრანგ ქალთან, რომელსაც შეიძლება შევხვდეთ მეტროში, ქუჩებში, მაღაზიებში, დაწესებულებებში.

საშუალო ფენის ფრანგები ფრიად დარბაისელი ხალხია, მათ უყვართ ოჯახი და, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მათი ოჯახი მრავალრიცხოვანია. ახალგაზრდა დედები, გარშემორტყმულნი სამი თუ ოთხი შვილით, — ჩვეულებრივი სანახაობაა პარიზის ქუჩებში.

ფრანგი დედა არ ანებივრებს შვილებს. იგი მათ რამდენადმე სპარტანულად ზრდის — მშვიდად, თანაბარი, ზომიერი (ყოველგვარი ანჩხლობის გარეშე) სიმკაცრით, ბავშვის სულიერი სამყაროსადმი რიდით და კრძალვით, რის წყალობითაც მას მოპოვებული აქვს თავისი შვილების მეგობრული დამოკიდებულება. უფროსი შვილები ეხმარებიან კიდეც უმცროსების აღზრდაში.

შვილები პატივისცემით ეპყრობიან მშობლებს. ტრადიციული ფრანგული თავაზიანობა, ესოდენ დამკვიდრებული ფრანგთა ყოფიერებაში, ბუნებრივად გადაეცემა შვილებსაც. ფრანგი ბავშვები ფრიად ზრდილნი არიან.

ფრანგ ქალს შესწევს უნარი შექმნას თავის ოჯახში ყველა წევრისათვის სასიამოვნო ვითარება. ოჯახის ბიუჯეტისადმი გონივრული დამოკიდებულებისა და გააზრებული მომჭირნეობის წყალობით იგი ახერხებს შექმნას თავის ბინაში სილამაზეცა და სიმყუდროვეც.

ფრანგი ქალის ქმარი აფასებს თავისი მეუღლის შრომას, როგორიც არ უნდა იყოს იგი — დიასახლისისა, მაღაზიის გამყიდველის, მოსამსახურის თუ მუშისა. და არა მარტო აფასებს ამ შრომას, ეხმარება კიდეც ყველაფერში. ფრანგმა ქალმა შეძლო პატივისცემის გრძნობა აღეძრა მამაკაცში თავის მიმართ, რაც მისი დიდი მონაპოვარია.

სწორედ ამის გამოა, რომ ქალი საფრანგეთში მხნე ნაბიჯს უსწორებს ცხოვრებას, თავისი სრულფასოვნების, თავისი ადამიანური ღირსების შეგნებით.

პარიზის ქუჩებში ქალები დადიან, სადად და გემოვნებით ჩაცმულნი. ფრანგ ქალს უყვარს სამკაულები, მაგრამ მხოლოდ ის, რაც მის ტანსაცმელს მოუხდება. ასე, მაგალითად, არც თუ დიდი ხნის წინ მოდურ მოკლე კაბებს მხოლოდ ის ქალები იცვამდნენ, ვისაც ლამაზი ფეხები ჰქონდა. მისი ჩაცმულობა გამოირჩევა სისადავით, პრაქტიკულობით და შეესაბამება მის სახესა და აღნაგობას. ფრანგ ქალს შესწევს უნარი უმალ მოიწესრიგოს თავი. იგი ყოველთვის ფორმაშია. ხანდაზმული მანდილოსნები ელეგანტურობის მხრივ ახალგაზრდებს როდი ჩამორჩებიან.

ჩემი ყურადღება არაერთხელ მიუქცევია ხანდაზმულ წყვილებს, რომლებიც ხელკავით მიდიან ქუჩაში და ძლივს დგამენ ნაბიჯებს. მაგრამ ყოველი მათი მოძრაობა ერთმანეთისადმი ყურადღებაზე მეტყველებს. მოხუცები ერთმანეთს რაღაცაზე ხმადაბლა ემასლაათებიან, ხან ჩერდებიან, მცირე ხანს ისვენებენ და ისევ წალასლასდებიან. მათი ცქერა გულს აგიჩუყებს. პოლიციელი კი მოძრაობასაც აჩერებს, რათა ამ ორმა ქუჩის მეორე მხარეზე გადასვლა შესძლოს.

პარიზში არ შეიძლება გულმა მოგითმინოთ და მცირე ხნით მაინც არ შეჩერდეთ მოედნებზე, ხიდებზე, ბულვარებზე აღმართული მრავალრიცხოვანი ძეგლებისა და სკულპტურული კომპოზიციების წინ. ამ ქანდაკებათა ცენტრალურ ფიგურას ყველგან ქალი წარმოადგენს. უთვალავია ამ ისტორიულ ძეგლთა რიცხვი და ყველგან მათი შთამაგონებელი ქალია.

აი, რატომ დადის იგი დღეს მხნე ნაბიჯით, ამაყად თავაწეული და წელგამართული, აღსავსე თავისი პიროვნული სრულფასოვნების რწმენით.

თარგმნა გიორგი ჯაბაშვილმა

ჟურ. „ბოლგარსკაია ჟენშჩინა“. 1968 წ. №12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა სალონის დიასახლისი





ნურავინ იფიქრებს, რომ ყოველი ქართველისათვის ცნობილი და მოწიწებით წარმოსათქმელი ეს სიტყვები რუბრიკად ნოსტალგიურმა გრძნობამ მიკარნახა. თითქოს გარდასულ დროთა ქართველ დედებს, ქართველ ქალებს მივსტიროდე, თითქოს ზნეკეთილობას, ამაღლებულ სულს, ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულს მხოლოდ მათში ვხედავდე და ამით თანამედროვესადმი საყვედურის გამჟღავნება მსურდეს.

სწორედაც, იმედით და სიამაყით უნდა გვავსებდეს ის გარემოება, რომ ქართველი ქალის ისტორიულად ჩამოყალიბებული მშვენიერი სახე, შინაურისა თუ უცხოთა მიერ ერთხმად აღიარებული, ქართველი მწერლობის მიერ ასეთი სიყვარულითა და მადლიერებით გამოხატული, ისტორიასვე კი არ ჩაბარებულა, არამედ დღესაც ცოცხლობს, დღესაც შემწეა საქართველოს დღეგრძელობისა.

განა ქართველი დედის ძუძუთი არ არის ნასაზრდოები ის ახალგაზრდობა, ეროვნული მოძრაობის ცეცხლი რომ დაანთო?:

მართლაც, „მარად ნეტარნი“ არიან ქართველი დედები, რადგან არა მარტო უწინ, ახლაც მამულს უზრდიან შვილებს.

გულუბრყვილო მეხოტბეობას ნურავინ დამწამებს. მეც კარგად ვხედავ, რომ ზნედაცემულებიც და გზას აცდენილებიც ბევრი გვყავს, რომ მომრავლდნენ ნარკომანები და მეძავები, მაგრამ, ჯერ ერთი, არც ყოფილა რომელიმე ერი ისეთი, ულირსები რომ არ ჰყოლოდათ და არც დღეს არის. მეორეც კიდევ, ღირსეულნი ნაკლებ საჩინონი არიან, ვიდრე ულირსნი, რადგან ბოროტება უფრო თვალში საცემია და თუ მის აღსაკვეთად გვინდა ვილვაწოთ, ამ საშურ საქმეში კეთილის გამომზეურებაც დიდად შეგვიწყობს ხელს

* * *

სწორედ ამ მიზნით, ერთი ამგვარი, ჩემთვის ახლობელი ქალბატონის ცხოვრებაზე მინდა მოვუთხრო მკითხველს. მისი სახელია ფატი ჯაყელი.

ქართველი მკითხველისათვის ჯაყელების გვარი თავისთავად მრავლისმთქმელია, იმწამს გვახსენდება ადრე უძლიერესი, პოლიტიკურადაც და კულტურულადაც, შემდეგ კი მრავალტანჯული სამცხე-საათაბაგო. დიდგვაროვან ჯაყელთა სამფლობელო, თურქთა მიერ გაპარტახებული და გამაჰმადიანებული ამ მხარიდან, სხვებთან ერთად, ჯაყელებსაც მოუხდათ აყრა და თავშესაფრის აჭარა-გურიაში ძებნა. უშუალოდ ქალბატონ ფატის წინაპრებისათვის გურიელს ჩოხატაურის მახლობლად მიუცია მამული. მათი შთამომავალნი დღესაც სახლობენ დაბლაციხეში, ზოგნი ისტორიულ სამშობლოში, მესხეთში დაბრუნდნენ, ზოგნიც ცხოვრების გზამ დედაქალაქში მოიყვანა.

ქალბატონი ფატის მამა, ახოვანი ვაჟკაცი გიგო ჯაყელი ქართული მილიციის რიგებში მსახურობდა, თურქეთთან ომშიც მონაწილეობდა და მამაცობისთვის უმაღლესი ჯილდო — გიორგის ჯვრის ორდენიც დაიმსახურა. დედა — სათნოებითა და სილამაზით გამორჩეული ვარდო ქლენტი გურიის აზნაურთა შთამომავალი იყო. და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამ ოჯახში თერთმეტი და-ძმა აღიზარდა.

სულ ახალგაზრდა ქალიშვილი — ფატი განათლების სამმართველომ კახეთის სოფელ პატარძეულში გაამწესა მასწავლებლად და სწორედ აქ გადაწყდა მისი ბედი. ამ დროს, ანუ 1924 წლის შემოდგომაზე, პატარძეულს შეაფარა თავი სამეგრელოდან ლტოლვილმა სოლომონ ცაიშვილმა, ვისაც „ფედერალისტობის“ გამო არა სწყალობდნენ ბოლშევიკები. იგი ერთხანს დაპატიმრებულიც ჰყავდათ, ხოლო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ დაწყებული რეპრესიები მასაც იმსხვერპლებდა, მშობლიურ სამეგრელოს რომ არ გამორიდებოდა.

პატარძეული ხომ გოგლა ლეონიძის მშობლიური სოფელია. გოგლა სულ რამდენიმე წლით იყო უფროსი სოლომონ ცაიშვილზე, თუმცა ამ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი და მოღვაწე გახლდათ, ბატონი სოლომონი კი მხოლოდ ახლა იწყებდა თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას. ამ გარემოებას სულაც არ შეუშლია ხელი მათი დამეგობრებისათვის. მალე პატარძეულის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ბ-ნი სოლომონი და მასწავლებელი ქ-ნი ფატი დაქორწინდნენ. მათი პირმშოს ნათლია კი გოგლა გახლდათ. მან ჯაყელთა საგვარეულოში ძველად გავრცელებული, ახლა კი იშვიათობად ქცეული სახელი სარგისი შეარქვა ცაიშვილების ერთადერთ ვაჟს. თერთმეტი და-ძმის პატრონ ქ-ნ ფატის ბუნებამ მხოლოდ ერთი შვილი უბოძა.

ქ-ნ ფატის სამსახურეობრივი ბიოგრაფია არ არის მრავალფეროვანი, ან რაიმეთი გამორჩეული. თბილისში გადმოსახლების შემდეგაც მასწავლებლობდა, მერე კი დიდხანს, გარდაცვალებამდე საინჟინრო-გეოლოგიის ლაბორატორიის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. თავისი კეთილსინდისიერი შრომით, სხვისადმი გულისხმიერებითა და უშურველობით მან ყველგან კეთილი კვალი და კარგი სახელი დატოვა. მისი მთავარი საფიქრალი და საზრუნავი ქმარი და ოჯახი გახლდათ, ვისდამი ერთგულებაც და მსახურებაც ჭეშმარიტად ქართულ ტრადიციებს ეფუძნებოდა. სწორედ ამას მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო, რადგან ეს ტრადიციები, სამწუხაროდ, დღეს სუსტდება.

სოლომონ ცაიშვილი რომ ცნობილი მეცნიერი და ლიტერატორი დადგა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ქ-ნ ფატის იმითაც, რომ ოჯახის ყოფით საზრუნავს მაქსიმალურად არიდებდა მეუღლეს და იმითაც, რომ საარქივო და სარედაქციო მძიმე სამუშაოებში უშუალო დახმარებას უწევდა.

ჩვენი მამების თაობას დალხინებული ცხოვრება არ ჰქონია. მათ ძნელი გზა განვლეს, მარტო 30-იანი წლების გახსენებაა საკმარისი. მითუმეტეს, თუ ბოლშევიკების თვალსაზრისით, რაიმე „ცოდვები“ მოგდევდათ, სოლომონ ცაიშვილსაც მუდამ ჰქონდა შიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი „ფედერალისტობა“ არ შეეხსენებიათ. ამას თან სდევდა ხელისუფლებისგან ინტელიგენციის ზნეობრივი დამცირება, მატერიალური ვიწროობა და მრავალი სხვა გასაჭირი. ყოველივე ამის გადატანას სოლომონ ცაიშვილს უმსუბუქებდა ის გარემოება, რომ მას მხარში ედგა დიდი სულიერი სიმტკიცის მქონე მეუღლე.

როგორც ვთქვი, ტრადიციულ ქართულ ოჯახში იყო გაზრდილი ქ-ნი ფატი და ამასვე ნერგავდა თავის საკუთარშიც. ყოველი ღირშესანიშნავი დღე უთუოდ მხოლოდ ოჯახში აღინიშნებოდა შეძლებისდაგვარად, მათთან ისეთი სიმშვიდე, სითბო, გულითადობა სუფევდა, რომ ბევრს მიუხაროდა აქეთ. ოჯახის ყოველ წევრს შემოჰქონდა წვლილი ამგვარი ატმოსფეროს შექმნაში, მაგრამ, დამეთანხმებით, მთავარი მაინც დიასახლისია. ქ-ნი ფატი შესანიშნავი დიასახლისი გახლდათ, თავისი აღზრდით, მანერებით. გულწრფელობით, სტუმართმოყვარეობით, მომხიბვლელობითა და კულინარული ოსტატობით.

სწორედ ამ გულღია, განათლებული, უშურველი მასპინძლობის წყალობით იქცა ცაიშვილების მოძცრო ბინა — ძველი თბილისური სახლის ერთი ოთახი თავის შუშაბანდით — ნათესავ-ახლობელთა და მეგობართა თავშესაყარ ადგილად. ჩემ თავს ვაძლევ უფლებას, ცაიშვილების საცხოვრისს სალონი ვუწოდო, აქ ხშირად იკრიბებოდნენ ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები: გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, ტერენტი გრანელი, შალვა დადიანი, იოსებ იმედაშვილი, თედო სახოკია, ლეო ქიაჩელი, იოსებ მჭედლიშვილი, იპოლიტე ვართაგავა და სხვანი და სხვანი.

იმართებოდა საუბარი მწერლობაზე, ხელოვნებაზე, საქართველოს ბედ-იღბალზე, აქ იოხებდნენ გულს. რაკი სიმართლის საჯაროდ თქმა შეუძლებელი იყო დამსჯელი ორგანოების სიმრავლისა და სიფხიზლის გამო. შემდეგ ქართულ სუფრასაც ხალისით შლიდა დიასახლისი და თუ ნათესავებიც შემოესწრებოდნენ, ქ-ნი ფატი მათი იმედით (ჯაყელები შესანიშნავად მღეროდნენ და მღერიან) ქართულ სიმღერას წამოიწყებდა.

ბ-ნი სოლომონი. სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა, თანდათან მისი მეგობრებიც წავიდნენ ამ სოფლიდან. მაგრამ ცაიშვილებში არ მოშლილა ის ტრადიციები, რომლითაც ასე მდიდარი და მომხიბვლელი იყო მათი ოჯახი. ქ-ნი ფატი ახლა უკვე მოსწრებული შვილის — სარგისის მეგობრების გულმხურვალე დიასახლისი გახლდათ.

სარგისმა მამის კვალზე სიარული არჩია, თავიდანვე გამოიჩინა თავი ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობით. მისი თაობის წარჩინებულ წარმომადგენლად იქცა. იმედი მაქვს, მკითხველი იცნობს მის წიგნებსა და გამოკვლევებს. დღეს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, დოქტორი, ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია.

ფატი ჯაყელის, ამ ჭეშმარიტად ქართველი ქალისა და დედის სიხარული ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს შვილის ამ წარმატებათა გამო. იგი ისეთივე გულითადობით მასპინძლობდა ახლა უკვე შვილის მეგობრებს, როგორც ადრე მეუღლისას. არჩილ სულაკაური, რეზი თვარაძე, გურამ ასათიანი, ნოდარ დუმბაძე, თამაზ ჩხენკელი და ბევრი სხვაც, (ყველას რა ჩამოთვლის და მეც, მათ შორის), ხშირი სტუმრები, უფრო სწორად, შინაურები ვიყავით ქ-ნი ფატის ტრადიციული ოჯახისა და მისი დიდი ქალობა უშუალოდ, თვალნათლივ. სრულად დავინახეთ და შევიგრძენით.

ქ-ნი ფატის გარდაცვალებაც რაღაც ნიშანდობლივი იყო. მან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მძაფრად ატარა ბ-ნი სოლომონის სიყვარული და, ალბათ, შვება იყო მისთვის, რომ სწორედ მეუღლის მშობლიურ სოფელ-ურთაში სტუმრობისას მიიცვალა უეცრად და მშვიდად.

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, ჩემთვის კი ქ-ნი ფატი ჯაყელის ცხოვრება, მისი სახე, სამაგალითოა თავისი ჩვეულებრივი გამორჩეულობით, უპრეტენზიობით, სიყვარულით და ერთგულებით.

ღმერთმა არ მოგვიშალოს ქართველებს ამგვარი მეუღლეები და დედები!

გურამ გვერდწითელი

# ნუ დავკარგავთ ძველსა გზასა

საქართველოში მაღალგანვითარებული, დახვეწილი ჭურჭლის გვერდით გვხვდება ქალების მიერ შინაურული წესით დამზადებული თიხის „წითელი ჭურჭელი“, რომლის წარმოებაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (რაჭა, კახეთი, ქართლი) უძველესი დროიდან მომდინარეობს.

ამგვარი კერამიკის დამზადების დიდი ტრადიცია აქვს სოფელ ვანათს, რომელიც შიდა ქართლის ვაკის ჩრდილოეთ პერიფერიულ ნაწილში მდებარეობს.

სოფელში ქართველები და ოსები ცხოვრობენ (ეს უკანასკნელნი გვიან პერიოდში ჩამოსახლებულან). აღსანიშნავია, რომ თიხის დამუშავებას მხოლოდ ქართველები მისდევენ.

სოფელ ვანათში ქალები სხვადასხვა სახის ჭურჭელსაც ამზადებენ და თონეებიც ამოჰყავთ. სოფელში ჭურჭლის კეთების უძველეს ტრადიციაზე მიუთითებს ჭურჭლის ნაირგვარობა, ფორმები, დასამუშავებელი იარაღები, გამოსაწვავი თონე და მეჭურჭლეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. თუ ადრეულ პერიოდში ამ სოფლის ყველა ოჯახი თიხაზე მუშაობდა, ახლა მხოლოდ რამოდენიმე ოსტატი ქალიღაა შემორჩენილი.

სათიხე მიწა თვით სოფელში მოიპოვება, რომელსაც სპეციალური დანიშნულების ქვიშას ურევენ.

ჭურჭლის დასამზადებელ ერთ-ერთ ძირითად ხელსაწყოს ხის „ციბრუტი“ (მორგვი) წარმოადგენს. დამზადებული ჭურჭელი ორი კვირის გაშრობის შემდეგ ვარგა გამოსაწვავად. ჭურჭელს პურის საცხობ თონეში წვავენ. ჭურჭელი სადაა, მის შესამკობად არავითარ ხერხს არ იყენებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქვაბ-ქოთნის პირის და თონის „კუწობით“ გალამაზებას.

ვანათში მეჭურჭლეობასთან დაკავშირებით საყურადღებოა ტერმინი — ხელის მუშა. ეს იყო დამხმარე, დაქირავებული ქალი, რომელსაც ევალებოდა დღეში ოცი ცალი ჭურჭლის ან ორი თონის დამზადება და გასამრჯელოც გარკვეული წესით უნაზღაურდებოდა. ქალების მიერ დამზადებულ ჭურჭელს ახლო სოფლებში მამაკაცები ჰყიდდნენ, რასაც კალოობის მოთავებისას ამჯობინებდნენ, როცა ჭირნახული უხვად იყო და მეტი საშუალება ეძლეოდათ გაცვლა-გამოცვლისათვის.

ჭურჭელთან ერთად ვანათელი მეთუნე ქალები თონეებსაც ამზადებდნენ და მყიდველს შინ ელოდებოდნენ. თუ ადრე ხელოსანი თონეს სახლიდან ჰყიდდა, უკანასკნელ წლებში ახალი მეთოდი დამკვიდრდა: ხელოსანი წინასწარ იღებს დაკვეთას ქართლის სხვადასხვა სოფლებში და თიხის მზა გუნდებითა და ხელსაწყოებით შეიარაღებული თონის დასამზადებლად შემკვეთთან მიდის, ამას „მუშად წასვლას“ ეძახიან.

მაყვალა ზანდუკელი

# მოდა დემოკრატიული ხდება









სულ რამდენიმე წლის წინათ, მოდაზე ადვილი იყო საუბარი, ტანსაცმლის სიგრძე, ფორმა, სილუეტი თუ ქსოვილის ფერი მკაფიოდ იყო გამოკვეთილი და დადგენილი ამა თუ იმ სეზონის და წლისათვის. დღეს კი იგი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ძნელია გამოყო, ან უპირატესობა მისცე რომელიმე მათგანს. ერთდროულად მოდაშია ტანსაცმლის რამდენიმე სილუეტი და ფორმა, რამდენიმე ფერი, საშუალზეა სიგრძე და სტილი, რომელსაც მოდა კი აღარ გვკარნახობს, არამედ გვთავაზობს და გვირჩევს, მივაქციოთ ყურადღება მის ახალ მიმართულებას და ტენდენციებს.

რაშია საქმე, რატომ დაკარგა მოდამ მისთვის დამახასიათებელი კატეგორიული ტონი და ასეთი გულმოწყალე გახდა? ალბათ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩვენი ცხოვრების აჩქარებულ ხასიათში, რომელმაც თანდათან უმატა სვლას, დაძაბული გახდა. აუცილებელი შეიქნა მოდის პრინციპულად შეეცვალა ხასიათი და დემოკრატიული გამხდარიყო.

დღეს მოდის ძირითადი ტენდენცია მოხერხებულობა, პრაქტიკულობა და მისი გამოყენების მიზანშეწონილობაა. თითოეულ ადამიანს შეუძლია თავისი გემოვნების, ასაკის, საქმიანობისა და მიდრეკილების შესაბამისად ჩაიცვას, ეს გარემოება კი ითხოვს ჩაცმის ხელოვნების ჭეშმარიტ ცოდნას და მოდის ამ მრავალფეროვნებაში სწორ ორიენტაციასა და გარკვევის უნარს.

მაგრამ, რადგან მოდა თავს არიდებს ზუსტ და პირდაპირ მითითებებს, მივუდგეთ მას, როგორც საინტერესო, სასიამოვნო თამაშს, რომელშიც წაგებული არავინ რჩება.

ლელი ხვედელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავიწყოთ თავიდან

როგორ შევინარჩუნოთ სიყვარული? ეს პრობლემა ყველგან აღელვებთ. დღეს გთავაზობთ „ესპანურ რეცეპტს“.



ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენთ, რომ შეყვარებული ხართ და ამ დღიდან თქვენი ცხოვრება რადიკალურად იცვლება. თქვენი სიყვარული დღითიდღე იზრდება, გარშემო ვეღარავის ამჩნევთ და სატრფოსთან ერთად აწყობთ მომავალი ბედნიერი ცხოვრების გეგმებს. ამ დროს ორივე დარწმუნებული ხართ, რომ გრძნობა დროთა განმავლობაში არა თუ არ გაქრება, ოდნავადაც არ გახუნდება. მაგრამ გადის ერთი ან ორი წელი, თქვენ უკვე ერთად ცხოვრობთ და გრძნობთ, როგორ ავიწროვებს თქვენს სიყვარულს მრავალი გაუთვალისწინებელი პრობლემა — ეკონომიური, სამსახურის, მშობლებთან ურთიერთობის და ა. შ. თუ სიყვარულის გადარჩენა გსურთ, ამ პრობლემებს რამე უნდა მოუხერხოთ, მაგრამ როგორ?

მრავალი წყვილი თვალს ხუჭავს და არაფრად აგდებს ფაქტს, რომ მათი ურთიერთობა ის აღარ არის, რაც იყო. „ბოლოს და ბოლოს, — ამბობენ ისინი, — ჩვენ ისევ გვიყვარს ერთმანეთი. ვნება კი, ცნობილია, დროთა განმავლობაში ცხრება“. აი, სწორედ მაშინ, როცა სექსუალური ლტოლვა ხელდება, კაცი თავის სამუშაოში ჩაღრმავებას არჩევს, ქალს კი ბავშვებზე გადააქვს მთელი ყურადღება და ხშირად ვერც ამჩნევენ, როგორ იზრდება მათ შორის ბზარი.

გადის ცოტა ხანი, ისინი უსიამოვნო აღმოჩენას აკეთებენ: ცხოვრება უფრო და უფრო იტვირთება მოვალეობებით და იცლება სიამოვნებებისგან. არა, ასეთ ცხოვრებაზე მათ არ უოცნებიათ. ისინი დაფაცურდებიან, ეძებენ თავიანთ ადგილს, უხერხულად გრძნობენ თავს ოჯახში. აი, სწორედ ამ დროს უნდა ეცადოთ ხელახლა დაიპყროთ ერთმანეთის გულები, თუ გნებავთ, ხელახლა შეიყვაროთ ერთმანეთი.

სამწუხაროდ, არ არსებობს ფორმულა, რომელიც სიყვარულს ფერფლისგან აღადგენს, მაგრამ შეუძლებელი როდია დაიბრუნოთ ის ხალისი და მომავლისადმი რწმენა, შეყვარებულებს რომ გახასიათებდათ. უპირველეს ყოვლისა, ეცადეთ ნაცრისფერი ყოველდღიურობისაგან თავის დაღწევას. გაუკეთეთ ერთმანეთს სიურპრიზი, ღამე [illegible] წადით სტუმრად, კინოში, პიკნიკზე, სამოგზაუროდ.

როდესაც იგრძნობთ, ერთფეროვანი ცხოვრებისგან აპათია დაგეუფლებათ, დასხედით და გულახდილად ისაუბრეთ. გაუზიარეთ ერთმანეთს ფიქრები (რაც უნდა უსიამოვნო იყოს) და თუ ორივე თანახმა ხართ, რომ დაიბრუნოთ ძველი გრძნობები, საქმეს შეუდექით.

უპირველეს ყოვლისა, მოიგონეთ ერთად ცხოვრების პირველი ხანა, გაიხსენეთ, რა ბედნიერები იყავით მაშინ და აწონ-დაწონეთ, რა შეიცვალა მას შემდეგ. მართალია, გული სიხარულით აღარ გიფანცქალებთ, როცა თქვენი მეუღლე კარზე რეკავს, სამაგიეროდ მის გვერდით მშვიდად და მყუდროდ გრძნობთ თავს. მართალია, დროთა განმავლობაში გაქრა ერთმანეთისადმი თავდავიწყებული ლტოლვა, მაგრამ ყოველთვის ეცადეთ მოაწონოთ მეუღლეს თავი. რაც უნდა აპათიაში იყოთ, ეცადეთ კოხტად გამოიყურებოდეთ.

არ დაივიწყოთ ღირსშესანიშნავი თარიღები: დაბადების დღე, გაცნობის დღე, ქორწინების დღე, ბავშვის დაბადების დღე. სიყვარულითა და პატარა სიურპრიზით მიულოცეთ მეუღლეს. მარტონი წადით სავახშმოდ და ნუ რაფრის და ნურვის. მოგერიდებათ, აგრძნობინეთ მეუღლეს, რომ გიყვართ.

ახლა გთავაზობთ სიყვარულით შეზავებულ რამდენიმე რეცეპტს.

როცა თქვენს მეუღლესთან ერთად სადმე მიდიხართ, ისე მოინდომებით გამოეწყვეთ, თითქოს მასთან პირველ პაემანზე მიდიოდეთ.

მანქანით მგზავრობისას არ ჩართოთ რადიო, ისაუბრეთ წყნარად და გულახდილად.

ბოთლი შამპანურით მეუღლესთან ერთად აღნიშნეთ ყველაზე უმნიშვნელო თარიღიც კი.

ერთად გააკეთეთ რაიმე არაყოველდღიური: იცურავეთ, ითამაშეთ ჩოგბურთი, წადით საცეკვაოდ.

სექსუალურ ცხოვრებაში მოუხმეთ მეტ ფანტაზიას.

პატარა, ორიგინალური საჩუქრებით გაახარეთ მეუღლე.

ნუ წალაპარაკდებით უმნიშვნელო წვრილმანებზე.

მოუყევით მეუღლეს ახლად მოსმენილი ანეკდოტები.

ყურადღება მიაქციეთ საკუთარ თავს და ჩაცმულობას.

ხშირად გაიცინეთ.

დაარღვიეთ ყოველდღიური მონოტონურობა. ნუ დაგეზარებათ სეირნობა, სტუმრად ან თეატრში წასვლა.

ესპანურიდან თარგმნა:

**თეა გვასალიამ**

ჟურნალი „სერ პადრეს ოი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენ ჩემი ბედის ვარსკვლავი



თხის რქა

22 დეკემბერი — —20 იანვარი

მე-10 ნიშანი ზოდიაქოსი; მე-3 მიწის ნიშანი; მე-4 ძირითადი ნიშანი. მართავს პლანეტა სატურნი; ბედნიერი რიცხვია 8 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 8-ზე იყოფა. ასტროლოგიური სიმბოლოა: თხა; ასტროლოგიური ფერებია: შავი, მუქი ყავისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი და ღია ყვითელი; ასტროლოგიური ქვებია: ფირუზი, ლილაქვა. (ლაზურიტი), ონიქსი, მთვარის ბროლი; თხის რქა მართავს მე-10 სახლს (სოციალური ამბიციები და საზოგადოებრივი სტატუსი).

ამ ნიშნის ადამიანები ჩვეულებრივ დუნე, ინერტული, მძიმე ხასიათისანი არიან.

სიყმაწვილეში დამჯერნი და შრომისმოყვარენი, მაგრამ დუნენი, მოთმინებით ელიან შესაძლებლობას, უფროსის ადგილის დასაკავებლად.

თხის რქა ორგანიზებული, ერთგული და მეგობრისათვის თავდადებულია. სიტყვა „კარიერა“ სინონიმურია თხის რქის ნიშნისათვის. მამაკაცი — თხის რქები კარგად უზრუნველყოფენ ოჯახს, ქალები შესანიშნავი დედები და კარგი დიასახლისები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად ზრდიან შვილებს და არც დიდი მხიარული გუნება-განწყობილება შეაქვთ ოჯახში. მათი ყველაზე დიდი უარყოფითი თვისებაა მელანქოლია და მოწყენილობა. იგი შიშით უყურებს თავის მომავალს. ამიტომ თხის რქებმა უნდა გამოიმუშაონ ოპტიმისტური შეხედულება ცხოვრებაზე.

თხის რქა სექსში მორცხვი და თავშეკავებულია. 29,5 წლამდე იგი კარგად ეთვისება კუროსა და ქალწულის ნიშნებს. მათ შორის ურთიერთობა ადვილად მყარდება, ამ დროს თხის რქა ძალზე თავშეკავებულია სექსუალურად და უფრო მეტად ფიქრობს სწავლაზე ან სამსახურებრივ დაწინაურებაზე. ეს პერიოდი თხის რქებისათვის ხშირად ანგარიშიანი ქორწინებით მთავრდება.

29,5 წლის შემდეგ თხის რქები საქმიანობაში წარმატებებს აღწევენ და. სექსშიაც უფრო თვითდაჯერებულები არიან. ამ დროს მათთვის ყველაზე შესაფერისი პარტნიორები არიან მერწყულისა და ღრიანკალის ნიშნის ქვეშ დაბადებულნი.

41,5 წლის შემდეგ თხის რქა კარგად ეწყობა თევზებსა და იმ ნიშნებს, რომლებიც თავგანწირვისაკენ ისწრაფვიან.

## შენ ჩემი ბედის ვარსკვლავი



მერწყული

21 იანვარი — 18 თებერვალი

მე-11 ნიშანი ზოდიაქოსი, მე-4 მუდმივი ნიშანი, მე-3 ჰაერის ნიშანი, მართავს პლანეტა იუპიტერი, ბედნიერი რიცხვია 4 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 4-ზე იყოფა; ასტროლოგიური სიმბოლოა მერწყული; ასტროლოგიური ფერებია: ლურჯ-მწვანე, ულტრამარინი, იისფერი; ასტროლოგიური ქვებია: ძოწი, ამეთვისტო, ლილაქვა; მერწყული მართავს ჰოროსკოპის მე11 სახლს. მერწყული გულკეთილობის ნიშანია. იგი ფლობს იმ ძალას, რომელიც, როგორც ასტროლოგები ამბობენ, პრაქტიკულად აუცილებელია. მას ახასიათებს ორიგინალობა და თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა, აკეთებს რაც სურს და არ დაგიდევთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას.

მერწყული ადვილად არ განაწყენდება; განსჯის უნარი აქვს, მაგრამ დარწმუნებული არ არის თავის თავში. მერწყულს უყვარს განმარტოება, რის გამოც იგი ხშირად მიუკარებელ ადამიანადაც გეჩვენებათ.

მერწყულს აღაგზნებს ყოველივე ახალი, ამიტომ ეძებს ახალ-ახალ საინტერესო ადამიანებს. მას სტიმულს აძლევს სექსუალური პარტნიორების სიმრავლე. მერწყულის ნიშანში ჩადებულია შინაგანი კონფლიქტი. მერწყული ყოყმანობს და დიდხანს არ ქორწინდება. მაგრამ თუ მაინც შეარჩევს მეუღლეს, იგი ერთადერთია მთელი სიცოცხლის მანძილზე. მერწყული ადრე თავისუფლდება საზოგადოებისა თუ მშობელთა ზეგავლენისაგან.

ქალი — მერწყული იშვიათად იცავს ტრადიციას, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ სქესს. იგი ადვილად იქცევა სატრფო-ამხანაგად, კარგად არის გარკვეული ბიზნესისა და პოლიტიკის საკითხებში და ხშირად ტრიალებს იმ მამაკაცთა წრეში, რომლებიც მას მეგობრად მიიჩნევენ. მერწყული ქალი ძალზე პირდაპირი და თავისუფალია სექსში. მამაკაცი — მერწყული ნებისმიერ ხელმისაწვდომ პარტნიორს ირჩევს.

ძალიან პირდაპირია სექსუალური სურვილების გამოთქმაში. მეტწილად ცოლს ირთავს ანგარიშით და არა სიყვარულის გამო.

29,5 წლამდე მერწყულისათვის ყველაზე შესაფერისი პარტნიორი უნდა ვეძებოთ ტყუპებისა და სასწორის ნიშნებში.

29,5 წლის შემდეგ მერწყული უფრო კარგად ეგუება ქალწულსა და ვერძის ნიშნებს.

41,5 წლის შემდეგ კი ძალზე შეწყობილია თავის საპირისპირო ნიშანთან — ლომთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უბრალოდ... ნიჭიერი

## სტუდენტი 12 წლისა

დღეს, მთელმა საქართველომ იცის, რომ ქუთაისელი თამაზ გიორგაძე, რომელიც მხოლოდ თორმეტი წლისაა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

ინტელექტუალური სახე, ჭკვიანური გამოხედვა, დინჯი საუბარი, არაფრით მიგანიშნებს მის ნამდვილ ასაკზე.

დედა — ქალბატონი მანანა გიორგაძე თვლის, რომ საოცარი არაფერია, მისი შვილი უბრალოდ... ნიჭიერია.

— ბავშვობაში? არაფრით გამორჩეული. დინჯი და ჭკვიანი ბავშვი იყო, მაგრამ თანატოლებისაგან ძლიერ განსხვავდებოდაო, ვერ ვიტყვი. ერთადერთი, რაც სხვებისაგან გამოარჩევდა, იყო ჭადრაკის სიყვარული. თამაში ოთხი წლისამ დაიწყო. თამაშობდა აზრიანად, დაფიქრებით...

ახლობლები ხშირად მეუბნებოდნენ, ჭკვიანი ბავშვია, ადვილად ითვისებს ყველაფერს და სკოლისათვის წინასწარ რატომ არ მოამზადეო?! არ გაგეცინოთ, ნაადრევი არაფერი მიყვარს. ამიტომ თამაზისთვის წინასწარ არც წერაკითხვა მისწავლებია, არც ანგარიში. არც თვითონ გამოუთქვამს საამისო სურვილი.

ყველაფერი მერე, ერთბაშად, სკოლაში დაიწყო. ერთ წელიწადში ორი კლასის პროგრამას გადიოდა...

— თქვენ თუ ეხმარებოდით რამით?

— როგორ გითხრათ... გამორჩეულად არაფრით. ვიდრე დაწყებით კლასებში იყო, მეც ისე ვაშველებდი ხელს, როგორც ყველა დედა. მერე კი ვცდილობდი, სამეცადინოდ ყველანაირი პირობა ჰქონოდა, ხელი არაფერს შეეშალა...

— როგორ გგონიათ, ეს ყველაფერი საოცარი მახსოვრობის გამო ხომ არ ხდება?

— არა, არა! არც უმაგისობა იქნება, მაგრამ მარტო მახსოვრობით თამაზი ამდენს ვერ შეძლებდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ყველაზე მეტად მათემატიკური საგნები ეხერხებოდა...

არასოდეს მიგიმართავთ ამ უჩვეულო მოვლენის გამო სპეციალისტებისათვის? ვთქვათ, ექიმისთვის...

— არა, რას ამბობთ, — გულიანად იცინის ქალბატონი მანანა, — ეგ არასოდეს მიფიქრია, პირველად თქვენგან მესმის...

მე სპეციალობით ბიოქიმიკოსი ვარ. ადამიანი ჩემთვის უცხო არ არის. მაგრამ თამაზის მოქმედებას არასოდეს გაუჩენია ამგვარი აზრი. იგი უბრალოდ ნიჭიერია.

— არ გეშინიათ, რომ ამის შემდეგ თქვენი შვილის განვითარება შეიძლება ჩვეულებრივი კალაპოტით წარიმართოს, რაკი მან შესაძლოა უკვე ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები?

— შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ რატომ უნდა მეშინოდეს?

მთავარია, ჩემი შვილი კარგი სპეციალისტი და პიროვნება დადგეს. ამის იმედი ნამდვილად მაქვს. მეტი კი... მართალი გითხრათ, ნამდვილად არ მინდა.

რას ფიქრობს თავად სტუდენტი?

— ძალიან უხარია და ბედნიერია.

— არ ეშინია უფროს სტუდენტებთან ურთიერთობის?

არა, თვითონ თვლის რომ უმცროს-უფროსობას მარტო ასაკი არ ქმნის.

— ბედნიერი დედა ხართ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

— გმადლობთ.

ესაუბრა
**მანანა ჯორბენაძე**

# ხანულობა

მესხეთის საოჯახო ტრადიციებიდან აღსანიშნავია ხანულობა — ორ მეზობელს შორის რძის გასესხება. რძის გასესხებით ანუ გაცვლა-გამოცვლით მეზობლები ერთმანეთს ხელს უმართავდნენ კარაქის თუ ყველის ერთდროული წარმოებისათვის.

ერთი მეზობელი გარკვეული ხნის განმავლობაში თავის ცხვარ-ძროხის ნაწველ რძეს უზიდავდა მეორე მეზობელს, შემდეგ მეორე ასევე თანდათანობით უბრუნებდა ვალს.

რძის რაოდენობის საზომად იყენებდნენ საგანგებოდ შერჩეულ ბალის ან თხილის (ნახევარი მეტრის სიგრძის) ჯოხს, რომელზეც აღნიშნული იყო ჭდეები.

რძის მიმტანი — მეხანულე ქალი რძეში აუცილებლად ჭინჭრის ღერს ჩააგდებდა, რომ რძეს ვინმესგან თვალი არ აელო. ხოლო რძის მიმღები კი ხანულის მოტანილ რძიან კასრში მაშინვე კვერცხს ჩააგდებდა და გადაწურვის შემდეგ ამ კვერცხს ყველის დედაში, — წათხში მოათავსებდა — ბოროტი თვალი არ ეცესო.

თუ ყველი კარგად არ შედგებოდა, ამოყვანისას იტყოდნენ: ალბათ რძემ თვალი აიღო და ყველი ჩურუგდებაო (ამწკლარტდაო). ამ შემთხვევაში ნაკვერჩხლებზე კარგად გაახურებდნენ ცომის საფხეკ ასტამს, მიიტანდნენ იმ დღით მოტანილ ხანულის რძის ჭურჭელთან, ზედ ჯვარს გამოსახავდნენ და იტყოდნენ: ასე იწოდეს მოშურნის თვალი, არ ღირსებოდეს ქრისტეს ჯვართან სანთლის დანთებაო და ჩაუშვებდნენ შიგ.

**ნოდარ ივანიძე**
ასპინძა — სოფელი
აწყვიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველაზე დიდი დარდი

ახვავარი ცხოვრების გზა გავ-
იე, მყავს ორი შვილი და ოთხი
შვილიშვილი. ბავშვების გაზრდა-
ში ბევრი ნერვიულობა და გაჭირ-
ვება გადავიტანე. ახლა, როცა ამო-
ვისუნთქე, ყველაზე დიდი დარდი
გადამელობა წინ. ჩემს მეუღლეს
უღირსი ქალი გადაეკიდა, რომელ-
მაც ჩემი ხანშიშესული ქმარი ისე
გადარია, ოჯახიდან წაიყვანა. რა-
ლა დროს მისი სიყვარული იყო...
იმ ქალისათვის ეს კაცი მეხუთე
ქმარია. ქალის ზნეობაზე ლაპარა-
კი ზედმეტია, მაგრამ მეუღლეს
რამ დაუკარგა გონება, რამ დაავიწ-
ყა სინდისი და მოვალეობა? რა-
ტომ არ ფიქრობს კარზე მომდგარ
სიბერეზე, ვინ უპატრონებს? ვინ
დამარხავს? ის ხომ ჩვენთვის მკვდა-
რია? თურმე მარტო მე არ ვყო-
ფილვარ ამ დღეში. გთხოვთ, გა-
მომეხმაუროთ, მირჩიოთ, როგორ
მოვიქცე.

ლილი ნ.

**მკითხველო, ამ ბარათების ავტორები თქვენს გამოხმაურებას ელიან**

## ალარც შიდსის ეშინიათ?

ჩემს სახლში ცხოვრობს ნანა გ. მოწიფული ქალია, არსად არ მუშაობს, გარყვნილებით ირჩენს თავს.

საღამოს მასთან იწყება „სტუმრების“ მოსვლა და შუაღამემდე გრძელდება მუსიკის წივილ-კივილი, ხშირად ფანჯრების მტვრევისა და უწმაწური გინების ხმა.

მოზრდილებთან ერთად ამ აღვირახსნილობის უნებლიე მოწმენი ბავშვებიც ხდებიან. ბევრჯერ მოვიყვანეთ უბნის ინსპექტორი, მაგრამ რა! ცოტახანს ჩაწყნარდებიან, მერე ისევ თავიდან იწყება ყველაფერი.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ის ადამიანები, რომლებიც ასეთ ამორალურ ცხოვრებას ეწევიან, რატომ არ აშინებთ განუკურნებელი სენის — შიდსის ინფექცია, რომელმაც საქართველოშიც შემოაღწია? ხომ შეიძლება მათი მსხვერპლი გახდნენ უდანაშაულო შვილები, ქმრები ან ცოლები.

თურმე მარტო ჩვენს სახლში როდი არიან ასეთი მობინადრენი, ამიტომ არა აქვს აზრი მისამართის ჩვენებას. ეს მტკივნეული საკითხი ფართო საზოგადოების ქმედებას მოითხოვს.

ლია ნ.

## როდის იყო, ობოლს უმართლებდა

პატარა ვიყავი, მშობლები რომ გაცილდნენ. მამამ არ მისურვა, დედამ წამიყვანა, მაგრამ მალევე გათხოვდა. შემდეგ მამაც დაქორწინდა. მე ბებია-პაპასთან (დედის მშობლებთან) დავრჩი. პაპას რომ გავემეტებინე, საბავშვო სახლში აღმოვჩნდებოდი.

მშობლებს მეტი შვილი არ შეძენიათ. მეცხრე კლასში ვიყავი, მამა გარდაიცვალა. დედამ შვილი აიყვანა. იმ დედამ, საკუთარ ქალიშვილს „დედის“ დამახებას რომ უშლიდა.

მამინაცვალმა პირველი დღიდანვე შემიძულა. ცივი იყო ის ქურდული შეხვედრებიც, ჩემს და დედას შორის რომ იმართებოდა. დედაჩემმა ბოლომდე ვერ იგრძნო შვილის სიყვარული, არც მე მიგრძვნია დედობრივი სიყვარული მაშინ...

ახლა, დედა ვარ და ვერ წარმომიდგენია ქალი, რომელსაც საკუთარი შვილი გვერდით არა ჰყავს, ან როგორ სძინავს ღამით, როცა მისი სუნთქვა არ ესმის.

შემდეგ დავამთავრე სკოლა, ინსტიტუტი. იმედი მქონდა, ცხოვრების თანამგზავრი შემხვდებოდა ისეთი, გამიგებდა. აქაც მწარედ მოვტყუვდი, როდის იყო, ობოლს უმართლებდა...

ამბობენ, მშობლების დანაშაულს შვილები იმკიანო. ალბათ, მეც მათი მსხვერპლი ვარ. უბრალო უსიამოვნების დროსაც, ოჯახის წევრებისა და განსაკუთრებით მეუღლისაგან მესმის: უპატრონო, უდედმამო...

მინდა დაიწეროს ჩემი პატარა ამბავი. იქნებ წაიკითხონ მამაკაცებმა და იფიქრონ, თუ ცხოვრებას დაუკავშირებენ ჩემნაირ ქალს, რომელსაც ტკივილიანი ბავშვობა აქვს გამოვლილი და მეუღლისაგან ელის ხვედრის შემსუბუქებას, ნუ დაჩაგრავენ და ჯოჯოხეთად ნუ გადაუქცევენ სიცოცხლეს.

ნინო ჯ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანანა მასწავლებელი



მანანა შეყილაძე ისტორიკოსია. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა დაამთავრა და შემდეგ სიმღერის მასწავლებლად დაუბრუნდა აქაურობას.

— ის ერთი წელი დაკარგულად არ მიმაჩნია. შენი ქვეყნის ისტორია რომ იცოდე, აუცილებელია გიყვარდეს მისი კულტურა და ხელოვნება. აბა, რა ქართველია ის, ვისაც იავნანა სულს არ შეუძრავს!

მასწავლებელი თვლის, რომ ბავშვი ისტორიულ ფაქტებთან ერთად უნდა ეცნობოდეს ეპოქისათვის დამახასიათებელ კულტურასა და ხელოვნების მნიშვნელოვან ძეგლებს. ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი აჯობიაო, — ამბობს იგი და ნარიყალაზე, არაგვის პირას, კინოთეატრში ხშირად ნახავთ მას, ბავშვებთან ერთად, ისტორიული ფილმების სანახავად და გაკვეთილის ჩასატარებლად.

უყვართ მოსწავლეებს მანანა მასწავლებელი. რატომ?

— ის ცდილობს ნათლად დაგვანახოს ჩვენი შრომის შედეგი, რატომ უნდა ვისწავლოთ და საერთოდ, როგორ გავნათლდეთ. — ამბობენ ბავშვები. გაკვეთილების მოყოლის შემდეგ კი ღიმილით გვეუბნება: გმადლობთ, დაბრძანდით. ჩვენ უკვე ნიშნისათვის აღარ ვსწავლობთ. მასწავლებელმა შეგვაყვარა ისტორია, ჩვენიც და სხვა ქვეყნებისაც. მანანა მასწავლებელი ჩვენში პიროვნებას ხედავს.

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ჩატეხილი ხიდი მიაჩნია მას სკოლისადმი ბავშვების გაორგულების მთავარ მიზეზად.

მხოლოდ სიყვარულმა და ნდობამ, გულწრფელმა ურთიერთპატივისცემამ შეიძლება აღადგინოს იგი. ახალი საქართველოა ამ ხიდის აღდგენის მთავარი საწინდარი. — ამბობს მანანა შეყილაძე.

მართლაც რომ ასეა.

ნინო ტაკიძე

ყველამ უნდა ვიცოდეთ

# პირველი დახმარება დამწვრობისას

დამწვრობაზე რეაქცია სხვადასხვანაირია და ხშირად არასწორიც: დამწვარზე იყრიან მარილს, სახამებელს, ისხამენ მანგანუმის ხსნარს, ოდეკოლონს... მაგრამ, სამწუხაროდ, ამას შვება არ მოაქვს. გარდა ამისა, არასწორად ჩატარებული პირველი დახმარების გამო ძნელია დამწვრობის ხარისხის დადგენა.

თუ დამწვრობა დიდია, სწორად ჩატარებული პირველი დახმარება ხშირად ადამიანს სიცოცხლეს უნარჩუნებს.

განსაკუთრებით საშიშია ცეცხლით დამწვრობა. თუ ადამიანს ალი ტანსაცმელზე მოედო, საჩქაროდ უნდა ეცადოთ მის ჩაქრობას. მჭიდროდ შემოახვიეთ დაზარალებულს პალტო, საბანი, ოღონდ ისე, თავი თავისუფალი ჰქონდეს, რათა არ მოხდეს სასუნთქი გზების დამწვრობა და ალის გამონაყოფი ტოქსიკური პროდუქტებით მოწამვლა; ცეცხლის ჩაქრობა წყლითაც შეიძლება.

განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ ბავშვებს. ამოავლეთ ბავშვი წყალში და შემდეგ ფრთხილად გახადეთ რეიტუზი და სხვა ტანსაცმელი. მოზრდილ ადამიანს კი შემოაძრეთ მბჟუტავი სამოსი, ისე რომ არ დააზიანოთ დამწვარი კანი.

ვრცელი დამწვრობისას დაშავებული გაახვიეთ სუფთა ზეწარში, სასწრაფოდ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება, ან მიიყვანეთ ავადმყოფი პოლიკლინიკაში. თუ ღებინება არ აქვს, მიეცით ბლომად სითხე, უმჯობესია საჭმლის სოდით ან სუფრის მარილით (ერთი ჩაის კოვზი ერთ ლიტრ წყალზე).

სასწრაფოს მოსვლამდე ტკივილის გასაყუჩებლად შეიძლება მისცეთ 1-2 აბი ანალგინი, ბარალგინი ან ასპირინი.

ცხელი წყლით ან ალით მცირე დამწვრობისას, საჭიროა სასწრაფოდ გაავციოთ დამწვარი კანი წყლით, ყინულით, თოვლით 5-10 წუთის განმავლობაში ტკივილის გაყუჩებამდე.

თუ კანზე მჟავა ან ტუტე მოხვდა, 10-15 წუთი გქონდეთ დაზიანებული ადგილი ცივი წყლის ჭავლის ქვეშ, შემდეგ კი ტუტით დამწვრობის შემთხვევაში დაიდეთ დამწვარ ადგილზე წყალში განზავებულ სუფრის ძმარში დასველებული მარლა, ხოლო მჟავით დაწვისას — სოდიან წყალში დასველებული (ერთი ჩაის კოვზი ერთ ჭიქა წყალში) საფენი.

საერთო წესები: წყლის ნაკადით გაგრილების შემდეგ დაზიანებულ ზედაპირზე უნდა დაადოთ მშრალი, შესაძლებლობისდაგვარად სტერილური სახვევი, პირსახოცი, ან ნებისმიერი სუფთა ნაჭერი. ეს აუცილებელია ინფექციისაგან დასაცავად.

დაიმახსოვრეთ! დამწვრობისას არ შეიძლება სახამებლის, მცენარეული ზეთის, საპნის, სპირტის, სალებავი ნივთიერების გამოყენება.

ხოლო ხუთ პროცენტიანი დიბუნოლის ლინიმენტი კი აუცილებელია საოჯახო აფთიაქში. ეს პრეპარატი მკვეთრად გამოხატული ანთების საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება, ამცირებს ტკივილს და ქსოვილის შეშუპებას.

მას თხელ ფენად გადაისვამენ დამწვარ ზედაპირზე დღეში 1-2 ჯერ

# უცხოური იუმორი

### მხუნაბოგა

— შადაზე როგორა ხართ? — ჰკითხა ექიმმა პაციენტს საფუძვლიანად გასინჯვის შემდეგ.

— ახ, ბატონო ექიმო, ეს არის ვისადილე, მაგრამ თუ კარგი რამე გაქვთ...

### ალიარება

— მეზობელთან ჭადრაკის თამაში რად მიატოვე? — ჰკითხა ინეზამ ქმარს.

— შენ ითამაშებდი ისეთ ადამიანთან, რომელიც დაუსრულებელი ლაქლაქით პარტნიორს თავს აბეზრებს და წაგების შემთხვევაში ნამდვილი ისტერიკა ემართება?!

— ცხადია, არა.

— ჰოდა, ისიც ასე მოიქცა.

### გულჩრფელობა

— როგორ შეგიკეროთ კაბა, მოწყალეო ქალბატონო, ლამაზად თუ, უკანასკნელ მოდაზე? — ჰკითხა მკერავმა ატელიეში მისულ ევამარიას.

### პირუთვნელობა

ქვრივი: საბრალო ჯონი, ისე მიყვარდა, რომ ახლაც კი მზად ვარ სამარეში ჩავყვე.

ოჯახის მეგობარი: სუზანა, იყავი გულმოწყალე და იქ მაინც მოასვენე.

### ვარაუდი

როცა მილიონერის სიკვდილი უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, ექიმმა ცოლს უთხრა:

— ქალბატონო, ყველაფრისათვის მზად უნდა იყოთ...

— ყველაფრისათვის? რა მოგახსენოთ, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში, ნახევარი ქონების იმედი მაქვს.

### დიალოგი

— მე ერთი ბუღალტერი მყავს, რომელიც ჩემთან, სამსახურში გაჭაღარავდა.

— ეგ ვერაფერი იმედია! მე ერთი მდივანი ქალი მყავს, რომელიც ჩემთან სამსახურში ქერა, შავი და ქღალთმიანი გახდა.

### შეცდომა

ერთი ხანშიშესული ქალი მღვდელთან მივიდა და ჰკითხა:

— დღეს დილას სარკეში ჩავიხედე და თავი ძალიან ლამაზად მომეჩვენა. ეს ცოდვაა?

— არავითარ შემთხვევაში, ქალბატონო, — მიუგო მღვდელმა, — ეგ მხოლოდ შეცდომაა.

### სიყვარულის სახელით

— არ ვიცი, შენ როგორ მიგაჩნია, მატილდა, მაგრამ პირადად მე, ერთი შეხედვით შეყვარება არ მწამს.

— რატომ?

— აბა ერთი შეხედვით როგორ უნდა გაიგო, რა ქონების პატრონია?

გერმანულიდან თარგმნა

შოთა ამირანაშვილმა



# ჯენტლმენები ხუმრობენ

ჯენტლმენებო, თქვენ ალბათ არ დამიჯერებთ, რომ ვიცნობ ერთ უბრალო ინჟინერს, რომლის შემოსავალი საკმაოდ სოლიდური გახდა.

— რაიმე გამოიგონა?

— უფრო მეტიც.

— რა, ცა გაეხსნა?

— არა, სერ, კოოპერატიული კაფე.

* * *

ჯენტლმენებო, როგორ გგონიათ, შეიძლება თუ არა, თვითკრიტიკა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობად ჩაითვალოს?

— აუცილებლად, სერ. დღეს აშ საქმით ზოგიერთი გვარიან ფულს შოულობს.

* * *

— შეიძლება თუ არა, ჯენტლმენს ერთდროულად ჰყავდეს ორი ცოლი?

— შეიძლება, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად სხვა ჯენტლმენის ცოლი უნდა იყოს.

* * *

როგორ გგონიათ, ჯენტლმენებო, სად გაქრა ჩვენი ტელეეკრანებიდან ამერიკელ უმუშევართა მრავალმილიონიანი არმია?

— გასაკვირი არაფერია, სერ, ჩვენი ტელევიზია ხომ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა.

— მერე რა?

— მერე ის, რომ მას აღარ შეუძლია ამოდენა მასისათვის ფულის გადახდა.

* * *

როგორ ფიქრობთ, სერ, ჯენტლმენი მამაკაცზე მეტია თუ ნაკლები?

— ჯენტლმენი მამაკაცზე არც მეტია, არც ნაკლები.

ჯენტლმენი ეს... მამაკაცის მაგიერია.

* * *

შეიძლება თუ არა შიშველ ენთუზიაზმზე გადაღებული ფილმი ეროტიკულ ფილმად ჩაითვალოს?

— უფრო მეტიც, ის ყველაზე უფრო ეროტიკულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ჩვენი შიშველი ენთუზიაზმი მსოფლიოში ყველაზე მეტად შიშველია.

* * *

— რა შეგიძლიათ თქვათ ჩვენს ჯანმრთელობის დაცვაზე?

— აი უკვე რამდენი წელიწადია, იგი მუშაობს დევიზით. „რაც უფრო ძნელია მკურნალობა, მით უფრო ადვილია სამოთხეში შესვლა“.

* * *

— როგორ უნდა დაიყოლიო ქალი წავიდეს თქვენზე წინ, თუ გზა შავმა კატამ გადაგიჭრათ?

— სჯობს კატა დაიყოლიო უკან დაბრუნებაზე.

ოდესელი ჯენტლმენების დიალოგებიდან

# კულინარია კულინარია

მამაკაცი სამზარეულოში

ძვირფასო მამაკაცებო და ახალბედა დიასახლისებო! როგორც იქნა, მივადექით სანუკვარ მეორე თავ კერძებს. თქვენ შეისწავლით, როგორ დაამზადოთ სწრაფად და ყუათიანად კარტოფილი, ხორცი, თევზი, კვერცხი, სოკო, წიწილი, ყაბაყი და ა. შ. ნუ ჩამოუშვით ხელები უმწეოდ! მერე რა, რომ კარგა ხანია, რაც ხსენებული პროდუქტები მაღაზიაში არ გინახავთ. პეტრე სარალიევის რეცეპტები წიგნიდან „მამაკაცი სამზარეულოში“ ხომ იმით გამოირჩევა, რომ მწირი მასალისგან უმოკლეს დროში უგემრიელესი კერძი შეგიძლიათ დაამზადოთ. მაშ ასე, დავიწყოთ უხორცო კერძებით:

უხორცო კერძები

## ბრინზით გამომცხვარი კარტოფილი

მასალა: 5-6 კარტოფილი, 50-100 გრ ბრინზა ყველი, 3 კვერცხი, 1,4 კოლოფი კარაქი, 1 სუფრის კოვზი არაჟანი, ცოტა მწვანილი, ცოტა მარილი.

კარტოფილი გარეცხეთ და მოხარშეთ. ყველი გახეხეთ ან წვრილად დაჭერით, დაუმატეთ კვერცხი და არაჟანი და კარგათ აურიეთ. მოხარშული კარტოფილი გაფცქვენით. გააცივეთ. ღუმელში შესადებ ქვაბში გაადნეთ კარაქი, ჩააწყვეთ მხზვილად, წრიულად დაჭრილი კარტოფილი მოასხით ყველისა და არაჟნისაგან მიღებული მასა. მოაყარეთ მწვანილი და აურიეთ. ღუმელიც წინასწარ გაახურეთ და 10 წუთი გამოაცხვეთ მაღალ ცეცხლზე. სუფრაზე მიტანის წინ შეგიძლიათ არაჟანი მოასხათ.

## ყაბაყის კატლეტები

მასალა: 2 ყაბაყი (დაახლოებით 500 გრ) 2 კვერცხი, 2 სუფრის კოვზი ფქვილი, მწვანილი, დაფქული წიწაკა, 1 1/2 ჩაის კოვზი მარილი, ზეთი.

ყაბაყი გარეცხეთ, გათალეთ და ბოლოები დააჭერით. გახეხეთ ფართო ჭურჭელში, მარილი მოაყარეთ და აურიეთ. შემდეგ ჭურჭელი ოდნავ დააქანეთ და ასე გააჩერეთ 30 წუთი, სანამ წვენი არ გამოუვა. შემდეგ გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში, დაუმატეთ კვერცხი, ფქვილი, წიწაკა, სხვადასხვა სანელებლები და კარგად აურიეთ, რომ სქელი მასა მიიღოთ. კარგად გააზურეთ ცეცხლზე ზეთიანი ტაფა და ზედ მიღებული მასა მოათავსეთ, შებრაწეთ სანამ კატლეტი ოქროსფერს არ მიიღებს. სუფრაზე მიტანის წინ შეგიძლიათ მოასხათ არაჟანში არეული ნიორი.

## ბულგარული წიწაკა ბრინჯის ფარშით

მასალა: 500 გრ. ბულგარული წიწაკა. 2 ხახვი, 2 სტაფილო, ნახევარი ჭიქა ზეთი, 3/4 ჭიქა ბრინჯი, 2 პომიდორი, 1 ჩაის კოვზი მარილი, 1 ჩაის კოვზი წითელი წიწაკა, ფქვილი, მწვანილი, არაჟანი.

წიწაკა გარეცხეთ და თესლი გამოაცალეთ. წვრილად დაჭრილი ხახვი და სტაფილო ტაფაზე მოათავსეთ, დაუმატეთ 1/2 კოვზი მარილი, ზეთი და 1/4 ჭიქა წყალი. აურიეთ რამდენჯერმე და მოშუშეთ 5 წუთი, დაუმატეთ გარეცხილი ბრინჯი 1 არასრული ჩაის კოვზი მარილი და ხარშეთ 3 წუთი. ხშირად ურიეთ, შეაზავეთ წიწაკით, სწრაფად მოურიეთ და ცეცხლიდან ჩამოდგით. მიღებულ მასას დაუმატეთ გახეხილი პომიდორი, დაჭრილი მწვანილი, და კარგად აურიეთ. ამ ფარშით აავსეთ წიწაკები. ფქვილი მოაყარეთ და ქვაბში ჩააწყვეთ. დაუმატეთ 2 ჭიქა წყალი და შესაფერისი ზომის თეფში დაახურეთ. ხარშეთ 25 წუთი, შემდეგ თეფში აიღეთ და კიდევ 10 წუთი გააჩერეთ ნელ ცეცხლზე. სუფრაზე მიიტანეთ ცივი, შეგიძლიათ არაჟანი მოასხათ.

## შემწვარი ბულგარული წიწაკა სოუსით

მასალა: 500 გრ. ბულგარული წიწაკა, 1/4 ჭიქა ზეთი, 4 პომიდორი, 2 კვერცხი, 1 თავი ნიორი, ფქვილი, მარილი.

წიწაკა გარეცხეთ, გაასუფთავეთ და დაამარილეთ. ამოსვარეთ ფქვილში და ჩააწყვეთ გახურებულ ზეთიან ტაფაში, შეწვით ორივე მხარეს. ბოლოს ცხელ ზეთში ჩაასხით გახეხილი პომიდორი, ცოტა მარილი, დაჭრილი ნიორი და მოშუშეთ. თან ხშირად ურიეთ. 5 წუთის შემდეგ დაუმატეთ შემწვარი წიწაკა და მოასხით ათქვეფილი კვერცხი, აურიეთ, გააჩერეთ ცეცხლზე 2-3 წუთი და კვერცხი მზად იქნება.




რედაქციის მისამართი: 380096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
რედაქტორის 99-98-71;
პ. მგ. მდივნის 99-71-68
ცნობებისათვის 98-95-79

მასალები გადაეცა ასაწყობად 4. 10. 91. წ ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 12. 91 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 95.000 შეკვ. 1817.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ალვა პრესმა“ შარშანდელი მონაცამების მიხედვით გამოაქვეყნა ყველაზე ძვირადღირებული მომღერლების, მსახიობების, რეჟისორების, ტელეკომენტატორებისა და ანსამბლების სია, მომღერლებში ლიდერობს მადონა, მას მოჰყვებიან მაიკლ ჯექსონი, პოლ მაკარტნი, ხულიო იგლესიასი, ჯანეტ ჯექსონი, ბილი ჯოელი, ფრენკ სინატრა, და ა. შ. მსახიობებში პირველ ადგილზეა ბილ კოსბი, შემდეგ: კევინ კოსტნერი, ბრუს უილისი, ედი მარფი, ტომ კრუზი, არნოლდ შვარცნეგერი, შონ კონერი, ჯეკ ნიკოლსონი, მაიკლ დუგლასი, მაიკლ მოქსი, სილვესტერ სტალონე და მელ გიბსონი. მილიონერების სიაში ფიგურირებენ აგრეთვე მწერალი სტივენ კინგი და რეჟისორი სტივენ სპილბერგი.



● მაიკლ ჯექსონი



● ჯონ კერზონი



● ხულიო იგლესიასი



● კევინ კოსტნერი

ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ჟან-პოლ ბელმონდომ ამ ცოტა ხნის წინ პარიზის ვარიეტეს თეატრი შეიძინა. „თუ ხანდახან სისულელეებს არ ჩავიდენთ, ცხოვრება მოსაწყენი იქნება“, განაცხადა მსახიობმა ამ ფაქტთან დაკავშირებით. ბელმონდო თვლის, რომ სრული ბედნიერებისათვის მას აღარაფერი აკლია, რადგან ჰყავს ვაჟი, — პოლი, შვილიშვილი ალესანდრო, ოთხმოცდაათი წლის დედა, რომელსაც ის აღმერთებს და მომხიბლავი საცოლე ნატი.

**სურათზე:** ჟან-პოლ ბელმონდო და ნატი ვარიეტეს თეატრში.



● ჟან-პოლ ბელმონდო და ნატი



● ტომ კრუზი



● სტივენ სპილბერგი

## ტყუპები

გრეჰემ და ჯენეტ უოლტონები თავიანთი ექვსი ქალიშვილით ლივერპოში ცხოვრობენ საკუთარ სამსართულიან სახლში, რომელსაც ლამაზი ბაღი არტყია გარს. ეს ოჯახი არაფრით იქნებოდა გამორჩეული დანარჩენი ინგლისური ოჯახებისგან, რომ არა ეს ექვსი მოუსვენარი და მხიარული გოგონა. ექვსივე ტყუპია. მათ ახლახან რვა წელი შეუსრულდათ. გოგონები რომ დაიბადნენ, მამამ სამსახურს თავი დაანება და მეუღლეს ამოუდგა მხარში. აქვე დავსძენთ, რომ ექვსი ტყუპი უნიკალური მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში.

ჟურნალი „ოლა!“



● გრეჰემ და ჯენეტ უოლტონების ოჯახი



● მადონა

668/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინდექსი 76178

ფასი 1 მან.